PRIME Time

N44 (242), ორშაბათი 4 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



EXCLUSIVE

## ვინ არის საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი



**ბიძინა ივანიშვილი:** „ახალი კონსტიტუციით, ქვეყნის პირველი პირი პრემიერ-მინისტრი იქნება და შესაბამისად, ქვეყანას ღირსეული პირველი ლედი ეყოლება“



EXCLUSIVE

## გიორგი ბაგრატიონის ნათლობა



## ექსკლუზიური ინტერვიუ მთავარ პროკურორთან

„ჩემთვის ცნობილი არ არის, ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, კვლავ დავრჩები თუ არა ამ პოზიციაზე “

## ციხეში ე.წ. მაყურებელთა გავლენა განეიტრალდება



„ადამიანები, რომლებიც არიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და ცდილობენ ამ გავლენის გაძლიერებას, უნდა აღმოჩნდნენ უფრო მკაცრ პირობებში, უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, რისთვისაც ციხე შენდება ლაითურში“

# SCANDAL

## რა მოხდა რაულ უსუპოვისა და ზურაბ ჟვანიას სიკვდილის ღამეს?



## უსუპოვის მეგობარი ალაპარაკდა

EXCLUSIVE

ვაჟა ხატიაშვილი: „რაული ბოლოს მე ვნახე, ჩემი სახლიდან გავიდა, – საათ-ნახევარში დავბრუნდებიო... გეტყვით რაღაცას, მაგრამ, ალბათ, ოჯახს ეს არ მოეწონება, განსაკუთრებით რაულის მეუღლეს...“

„მოხდება თუ არა ჟვანიას საქმეზე ცალკეული მტკიცებულების გასაჯაროება, ამის პროგნოზირება ჩემთვის ძნელია“



EXCLUSIVE

## ელენე თევდორაძე დაკითხეს



## ცნობილმა პატიმარმა ციხის კონტროლიორი გააუპატიურა?

EXCLUSIVE

ექსკლუზიური დეტალები ბაჩო ახალაიას „ბოლო ბრალდებიდან“



## ექსკლუზიური ინტერვიუ თინა ხიდაშელთან

EXCLUSIVE

„ბოკერია იყო იდეოლოგიური მონსტრი და შეიძლება ყველაზე დიდი მიზეზი იმ ბოროტებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობდა“



**ელენე თევდორაძე:** „ციხის ბუნტის დროს ვეძებდი ახალაიას და ის „პაპეგუშკებზე“ იყო, ძირითადად იქ იყვნენ მერაბიშვილი და გიგა ბოკერია“

## საქართველო საერთაშორისო სკანდალში ეხვევა?!

## ხვდებოდა თუ არა რუსული იარაღი ირანსა და სირიაში საქართველოს გავლით?

„ამ შესყიდვებსა და გაყიდვებში ფიგურირებს მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანიაც“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ არის საქართველოს

ქეთი ხატიაშვილი



**ირაკლი ღარიბაშვილი ჯერჯერობით ერთადერთი ფიგურაა, ვის მიმართაც შეკითხვები არ ჩნდება. თუკი ვერავინ გაიგო, იგივე გიორგი მარგველაშვილი რატომ უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი, ირაკლი ღარიბაშვილის კარიერული წინსვლა – ჯერ შს მინისტრის პოსტი რომ ჩააბარეს, შემდეგ კი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა – არავის გაჰკვირვებია.**

ეს არა მხოლოდ მოსალოდნელი, ლოგიკურიც იყო. სხვა მასზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ფიგურა კოალიცია „ქართულ ოცნებაში" უბრალოდ არ არის. წინა წერილშიც ვწერდი, რომ ყველაზე დიდი შანსები, ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა. ის თავისთავად გამოიკვეთა ლიდერად კოალიციაში; თავისთავად გახდა ანგარიშგასაწევი ფიგურა რესპუბლიკელებისთვისაც კი. ამ ფსონით ბიძინა ივანიშვილმა აჩვენა, რომ მან მმართველობა ძლიერ ფიგურას ჩააბარა.

ირაკლი ღარიბაშვილი პირადად ჩემთვის იმითაც არის საინტერესო, რომ ის ახალ თაობას წარმოადგენს. პოლიტიკურ კარიერას სუფთა ფურცლიდან იწყებს. სასურველია, მას ეყოს გამბედაობა, წარსულის წარმატებებს წარმატება უწოდოს, ისევე როგორც ეყოფა ძალა, შეცვალოს ის, რაც მიუღებელი იყო.

დანარჩენი, ტრადიციულად – საკუთარი გუნდის წევრებმა მხოლოდ შეაქეს, ოპოზიციამ კი გააკრიტიკა. რაც მთავარია, ორივე მხარემ მოიყვანა კონკრეტული მაგალითები და არგუმენტები. კოალიციაში ამბობდნენ, რომ ღარიბაშვილმა პოლიცია აპოლიტიკური გახადა და ეს მისი მთავარი დამსახურებაა. მთავარ ღირსებად უთვლიდნენ ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ ვითარების გაკონტროლების უნარსაც, ასევე უწონებენ „კანონიერი ქურდებისადმი" მკაცრ პოზიციას, როდესაც ისინი საქართველოში არ შემოუშვეს. ოპოზიციას საკუთარი მაგალითები მოჰყავს. დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძის განმარტებით, ბატონი ღარიბაშვილისგან მახსოვს ის რეიდები, რაც მისი მინისტრობის პერიოდში განხორციელდა და რის გამოც საზოგადოებას ბოდიშიც კი მოუხადა... ძირითადად ნეგატიური რაღაცები მახსენდება, მან საკმაოდ წარმატებული სტრუქტურა ჩაიბარა.

**ინფორმაციისთვის:** პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარგენამდე ირაკლი ღარიბაშვილმა შს სამინსიტროში მუშაობა შეაფასა. მინისტრის და სამინისტროს მთაავრ მიღწევებზეც სწორედ იქ ისაუბრა:

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე საპატიმრო დაწესებულებები დატოვა 16 892-მა პირმა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით იკლო დანაშაულის რიცხვმა და გაიზარდა მისი გახსნის მაჩვენებელი, კერძოდ, 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 37.2%-ით გაიზარდა და 57.2% შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევებში

## ბიძინა ივანიშვილი: „ახალი კონსტიტუციით, ქვეყნის პირველი პირი პრემიერ-მინისტრი იქნება და შესაბამისად, ქვეყანას ღირსეული პირველი ლედი ეყოლება"




გარდაცვლილთა რაოდენობა 60%-ით შემცირდა.

სამინისტროს ავტოპარკების მთავარი შენაძენია ვერტმფრენი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოახდენს საჰაერო პატრულირებას. სხვადასხვა სამსახურებს გადაეცათ მოტოციკლები, მინიკუპერები, ელექტრომობილები, კატერი და სპეცმანქანები.

ნოემბრიდან შსს-ს მიერ დაკავებულია ექვსი ე.წ. „კანონიერი ქურდი";

ქვეყნის მასშტაბით 30%-ით გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა, ისევე, როგორც მათი მოქმედების არეალი. საპატრულო პოლიციის ავტოპარკი განახლდა 360 ერთეული ახალი მოდელის ავტომანქანებით. ავტომანქანები აღიჭურვა თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით (მობილური და მანქანის რაციები); დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა (შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელები, ბეჯები, კოკარდები);



2013 წლის ივნისში, შსს-მ ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე დააკავა რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე. ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს, ბათუმში შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ერთი და საქართველოს ორი მოქალაქე; 2013 წელს შსს-ს მიერ გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა კორუფციისა და სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა. პასუხისგებაში მიეცა 45 პირი, მათ შორის: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები, გამგებელი და გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, სკოლის დირექტორი და ა.შ.

2013 წლის ივნისში, სამეგრელოში აღმოჩენილ იქნა მიწისქვეშა სამალავები, საიდანაც ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფს-




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი პრემიერ-მინისტრი



## ირაკლი ღარიბაშვილი პირველი ყველაზე ძალაუფლებიანი პრემიერი ხდება

## ირაკლი ღარიბაშვილი
## საქართველოს პრემიერ-მინისტრი





# EXCLUSIVE

იქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე, წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი; გარდა ამისა, სამალავებში ნაპოვნი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 12 პირი (მათ შორის, 5 მოქმედი პოლიციელი და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი) და მიმდინარეობს გამოძიება; 2013 წლის 7 ივნისს, შსს-ში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება ინტერნეტსივრცეში საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი ე.წ. „ჯიჰადის ვიდეორგოლის“ გავრცელებას. ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი პირი – რომელზეც გამოცხადებულია ძებნა;

ჯერ მოლოცვების დროა. თუმცა ის უკვე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. პირველ რიგში იმიტომ, რომ უკვე თქვა:

– დიდი მადლობა, ბატონო ბიძინა, რომ მომეცა საშუალება, ვემსახურო ჩვენს ქვეყანას თქვენთან ერთად, ეს იყო ძალიან დიდი ბედნიერება ჩემთვის, ძალიან დიდი ნდობა. მე გპირდებით ყველას, ვპირდები მოსახლეობას, გპირდებით თქვენ, ვპირდები კოალიციას, ვპირდები მთავრობას, რომ გავაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ თქვენ მიერ დაწყებული გზა წარმატებულად გავაგრძელო. მე ვპირდები მოსახლეობას, ვპირდები ქვეყანას, რომ გავაგრძელებ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებულ მშენებლობის გზას, მის პოლიტიკას...

ანუ, ამ სიტყვებით ირაკლი ღარიბაშვილმა არა მხოლოდ სტატუსი მიიღო მემკვიდრეობად, არამედ ის დაპირებებიც გადაიბარა, რაც კოალიციამ წინასაარჩევნოდ დადო... ძირითადი მოლოდინები მაინც ეკონომიკის ზრდა, სოციალური პირობების გაუმჯობესება და უმუშევრობის დაძლევაა. ეს ის მთავარი გამოწვევებია, რომლის წინაშეც ირაკლი ღარიბაშვილი ინაუგურაციის შემდეგ აღმოჩნდება. სწორედ მაშინ გეგმავს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას და საკუთარ პოლიტიკურ მემკვიდრეობას ირაკლი ღარიბაშვილს ჩააბარებს.

პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ კი ძალაში ახალი კონსტიტუცია შევა, რომლითაც სწორედ პრემიერის უფლებები საგრძნობლად გაიზრდება. და თუკი პრემიერისა და კაბინეტის დამტკიცების პროცედურა მარტივია, უნდობლობის გამოცხადება იგივე პრემიერისთვის პარლამენტს ძალიან გაუჭირდება, უფრო ზუსტად ეს თითქმის შეუძლებელი იქნება, იმდენად რომ უნდობლობის ვოტუმის პროცედურა შესაძლოა, პარლამენტის დაშლითაც დასრულდეს.

**ბიძინა ივანიშვილის განმარტებით:**

– ახალი კონსტიტუციით უმაღლესი ხელისუფალი იქნება პრემიერი, პრემიერს ექნება ყველაზე დიდი ძალაუფლება... ქვეყნის პირველი პირი იქნება პრემიერ-მინისტრი...

ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილი მთავარი ფიგურა ხდება, მისი ძალაუფლება კომპეტენცია და გავლენები კონსტიტუციით იქნება გამყარებული. სხვათა შორის, რესპუბლიკელები მიიჩნევდნენ, რომ ამ უფლებების დაბალანსებაც უნდა მოხდეს. ამბობენ, რომ ახალი საკონსტიტუციო პროექტი, რომელზეც მალე დაიწყება მუშაობა, ამ დისბალანსს მოხსნის.

ირაკლი ღარიბაშვილი ახლა ყველას დაკვირვების ობიექტი ხდება. შს მინისტრის რანგში მან კარგად გაართვა თავი რთველს და არჩევნებს. ეს ის პირველი შემთხვევა იყო, როცა ქუჩაში არც რადიკალები გამოვარდნილან და არც პოლიტიკური დემარშის მოყვარულები. გუნდშიც კი მისი ფაქტორი ვერ გახდა დაპირისპირებისა და შუღლის მიზეზი ან საბაბი. ის აღიარეს რესპუბლი-



კელებმაც და ირაკლი ალასანიამაც. ბოლო მწვავე განცხადებები სწორედ თავდაცვის მინისტრმა გააკეთა, როცა შს მინისტრს „ჯიჰადის ვიდეოს“ გამოძიების გამო უსაყვედურა. ერთხელ თქვა და რეაგირების გარეშე დატოვეს, ამიტომაც მეორედაც გაიმეორა. რასაც იმდენად მძაფრი რეაქცია მოჰყვა, რომ თავდაცვის მინისტრმა ეს თემა, ალბათ, უკვე დაივიწყა, მანამდე კი ბოდიშიც მოიხადა. კოალიციის განწყობა ერთმნიშვნელოვნად დადებითია, თანაც იმდენად, რომ, შეიძლება ითქვას, ამ თემაზე საუბარს კულისებშიც კი ერიდებიან. ძალიან მოსწონთ და დამთავრდა. ახლა მან უნდა დაამტკიცოს, რომ ძლიერია, არა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია, არამედ იმიტომ რომ თავად შეუძლია, გადაწყვიტოს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ერთხელ უკვე მოახდინა ბიძინა ივანიშვილზე შთაბეჭდილება. ახლა შთაბეჭდილებები ჩვენზეც უნდა მოახდინოს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კაბინეტის დაკომპლექტება მისთვის ერთგვარი ტესტი იქნება.

რას ვამბობთ ან ვფიქრობთ ახლა ირაკლი ღარიბაშვილზე, მაინც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც საინტერესო იქნება, რას ვიტყვით და როგორ შევაფასებთ ივანიშვილის მემკვიდრეს ერთი წლის შემდეგ. როგორ მოახერხებს ის ეკონომიკის განვითარებას, როგორი ურთიერთობა ექნება პარლამენტთან და რამდენად შეძლებს პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგს, მათ შორის რადიკალებთან.

ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილს მიეცა შანსი, აქვს შესაძლებლობები და პოტენცია. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს იმედებს – იქნება თუ არა ის ქართული ოცნების ახდენა...

**მოკლე ბიოგრაფია:** ირაკლი ღარიბაშვილი 31 წლის არის. ჰყავს მეუღლე – ნუნუ თამაზაშვილი და ორი შვილი. ფლობს ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს. განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში მიიღო. 2004 წელს დაამთავრა ბაკალავრიატის საფეხურზე საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. 2002 წელს საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. 2005 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს განათლების მიღებას მაგისტრატურის მიმართულებით, სპეციალობა კვლავ უცვლელია – საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურა. 2001-2002 წლებში ღარიბაშვილი საქართველოს პარლამენტში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში სტაჟირებას გადის.

2004-2005 წლებში შპს „ბურჯის“ („ქართუ ჯგუფი“) ლოჯისტიკის დეპარტამენტის საგარეო შესყიდვების განყოფილების მენეჯერია. წლების განმავლობაში „ქართუ ჯგუფში“ სხვადასხვა თანამდებობა უკავია.

2006 წელს საქართველოში სანმარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი ხდება. 2007 წლიდან ღარიბაშვილი „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 2009-2012 წლებში კი – შპს „ქართული ოცნების“ დირექტორი.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ღარიბაშვილი პარლამენტის წევრი ხდება, თუმცა პარლამენტს მალევე ტოვებს – პარლამენტი მას შს მინისტრად ამტკიცებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ბაგრატიონის ნათლობა




ნანა შონია

**გუშინ სვეტიცხოველში, იქ, სადაც ადრე მეფეებს აკურთხებდნენ ხოლმე, უფლისწული გიორგი მოინათლა. ნათლობა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩაატარა. ბოლოს საქართველოში უფლისწულის ნათლობა 1801 წელს გაიმართა, როცა ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი მონათლეს.**

უფლისწულის ნათლობას ქართველი და უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ. მეფე ერეკლე მეორეს პირდაპირი შთამომავლის, ქალბატონ თამარ ბაგრატიონ-მუხრანელის მილოცვა სამეფო ოჯახს წერილობით გადასცეს. როგორც ითქვა, ქალბატონი თამარი უძლურებაშია.

**მილოცვაში წერია:**

„ბატონიშვილნო დავით და ანა!

გულითადად გილოცავთ თქვენი პირმშოს, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონის ნათლობას. ყოვლადმოწყალე ღმერთმა გარდამოუვლინოს დღეთა სიგრძე, მრავალჟამიერი კეთილდღეობითი სიცოცხლე და მისი მეფობით, მოგვასწროს ბაგრატიონთა გვარის ღვთივკურთხეულ ზეობასა და გაბრწყინებულ და გაერთიანებულ საქართველოს!

დღეგრძელი იყოს უფლისწული გიორგი!

გლოცავთ და გეფერებით დიდი სიყვარულითა და განუზომელი პატივისცემით,

თქვენი თამარ ბაგრატიონ-მუხრანელი“.

– მე დღეს ძალიან ამაყი ვარ და ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო უფლისწულ გიორგის ნათლია. დიდი და მნიშვნელოვანი დღეა, რადგან დღეს საფუძველი ჩაეყარა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას საქართველოში...

უფლისწული გიორგი დედით და მამით ბაგრატიონია. თავის დროზე ამ ოჯახის შექმნის იდეა ეკლესიაში გაჩნდა და დავითსა და ანას სამებაში ჯვარი ილია მეორემ დაწერა. მაშინ ერთ-ერთ ქადაგებაში კათოლიკოს-პატრიარქმა ეს ბავშვი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. ბევრი იმედოვნებს, რომ გიორგი საქართველოს მეფე გახდება. მათ შორის, ალბათ, გოგა ხაინდრავაცაა, ის თითქმის ერთადერთი პოლიტიკოსი იყო, ვინც პატარა უფლისწულს ხელზე ეამბორა.

ნათლობას ესწრებოდნენ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. ალასანიას ნათლობაში მონაწილეობა, ზურაბ აბაშიძის განმარტებით, არ ნიშნავს იმას, რომ თავდაცვის მინისტრი ან ხელისუფლება მხარს უჭერს კონსტიტუციური მონარქიის საქართველოში დაბრუნებას.

**ავთანდილ დემეტრაშვილი, კონსტიტუციონალისტი:**

– ჩვენ პირდაპირ ვეჯახებით კონსტიტუციას. ჯერ ერთი, 21 წლის კონსტიტუციაც პირდაპირ აცხადებს, რომ რესპუბლიკური მმართველობის ფორმა არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი. ანუ კატეგორიულად აღიარებს მხოლოდ რესპუბლიკური მმართველობის ფორმას. კონსტიტუციაში წერია, რომ ნარქი გაიზრდება ეკლესიის შიგნით. იყო საუბარი, რომ ეკლესია გაუწევს მას ზედამხედველობას და სრულწლოვანი რომ გახდება, მოხდება მისი კორონაცია.

კონსტიტუციური მონარქია რეალურად არ მეჩვენება, რადგანაც ქართული საზოგადოება მზად არ არის ამისთვის. გარდა ამისა, ვერ ვიხსენებ ახალ ისტორიაშიც კი, რომ რომელიმე სახელმწიფოში რესპუბლიკიდან გადასულიყვნენ მონარქიაში. იყო ამის მცდელობა რუმინეთში, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა. არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში ასეთი რამ ახალ და უახლეს ისტორიაში არ მომხდარა. ხელისუფლებას შეუძლია ჩაატაროს პლებისციტი, გამოკითხვა და საზოგადოების აზრს გაიგებს. დღევანდელი კონსტიტუციური წყობა გამორიცხავს მონარქიის აღდგენას.

**არჩილ გამზარდია, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი:**

– მე ვფიქრობ, რომ, სულ ცოტა, ეს არის ნაადრევი თემა, მით უმეტეს, სტატუს და უპირატესობამინიჭებული ფორმით.

სტატუსზე ან პრივილეგიებზე შეიძლება ვილაპარაკოთ მას შემდეგ, რაც ადამიანთა ჯგუფი რამე წვლილს შეიტანს ქვეყნის ცხოვრებაში. ბაგრატიონთა ჯგუფის თანამედროვე წარმომადგენლები გათიშული იყვნენ ქვეყნის ცხოვრებიდან. ისინი არ ჩანდნენ 80-იან წლებში, არ იყვნენ გამოჩენილი აფხაზეთის რეგიონში, არ იყვნენ ჩართული საქართველო-რუსეთის ომში და ერთ მშვენიერ დღეს სტაბილ-



უფლისწულ გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონის ნათლიები არიან უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია II, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, გურამ (უგო) ბაგრატიონ-მუხრანელი, მიხეილ ახვლედიანი და ლევან ვასაძე.

**ამ დღეს ისტორიული უწოდა კათოლიკოს-პატრიარქმა:**

– დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ ვინ ვიყავით, ვინ ვართ და ხვალ ვინ ვიქნებით. ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისკენ, რომ საქართველოს შესძინოს რაღაც სიკეთე, დააგროვოს სამშობლოსთვის ის ფასეული საუნჯე, სულიერი თუ მატერიალური, რომელიც სჭირდება ჩვენს ერს. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი დიდი წინაპრები ძირითადად სწორედ სულიერ ფასეულობებს ეძებდნენ.

უფლისწულის ერთ-ერთმა ნათლიამ, ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ განაცხადა: ის მოქმედებს უვადოდ. გარდა ამისა, საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულაში ასევე პირდაპირ წერია, რომ ემყარება სამართლებრივ მემკვიდრეობას. ირიბად აღიარებს, რომ რესპუბლიკური მმართველობის ფორმა არ შეიძლება გადაისინჯოს. კონსტიტუციაში დღეს წერია, რომ საქართველოს წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამიტომაც კონსტიტუცია უნდა გადაისინჯოს. ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცედურაა.

მონარქიის აღდგენაზე იყო ორიენტირებული აკაკი ასათიანის „ტრადიციონალისტთა კავშირი“, 20 წელია ამის თაობაზე მიდის საუბარი. გაიოზ მამალაძის ხელმძღვანელობით არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია... ეს იდეა ტრიალებს, მაგრამ ეს სავალდებულო იმპერატივი არ არის. ეს არის ეკლესიის წინადადება, რომელიც საზოგადოებამ უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს. უწმინდესმა განაცხადა, რომ მომავალი მოური, შედარებით დამშვიდებულ ქვეყანაში გამოჩნდნენ მსურველები, რომლებსაც აქვთ სურვილი, რომ მათ განსაზღვრული ღვთიური სახელით ისარგებლონ. ისტორიული ღვაწლი საკუთარ თავზე მოირგონ, საზოგადოებამ თავად დაიწყოს მათი შენახვა და დამატებითი ხარჯები გაიღოს ქვეყანამ.

რა გინდ სიმბოლურიც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, რომ ეს არის ნაადრევი მსჯელობა. თუ მხოლოდ იმიტომ მოხდება ბაგრატიონთა რეანიმირება, რომ მათ წინაპრების სტატუსით ისარგებლონ, ეს არასწორია, რადგანაც ამ ხალხს ბევრი აქვს დასამტკიცებელი ქვეყნის წინაშე. დღევანდელი ბაგრატიონების ღვაწლი შეიძლება ბევრად ნაკლები იყოს დღეს ქვეყნის წინაშე, ვიდრე რიგითი მოქალაქის. დღეს ჩვენს საზოგადოებას ყველაზე რეალური მიღწევა რაც აქვს, ეს არის ის, რომ საერო პირების წინ წამოწევა ხდება არჩევითობის პრინციპით და მათი მოღვაწეობა არის ლიმიტირებული.

# ექსკლუზიუ

ქეთი ხატიაშვილი

**ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე, მომავალ შს მინისტრზე, ქუჩის აქციებზე, პრემიერსა და პარლამენტს შორის მოსალოდნელ ურთიერთობებსა და კოაბიტაციაზე – ამ და სხვა საინტერესო თემებზე „რესპუბლიკური პარტიისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ესაუბრა.**

**– პირველ რიგში, ბუნებრივია, მინდა გკითხოთ ახალ პრემიერთან დაკავშირებით. თქვენ ამბობდით, რომ, თუ ეს იქნებოდა ღარიბაშვილი, ძალიან ბედნიერი იქნებოდით. რატომ თვლით, რომ ის იყო უალტერნატივო?**

– უალტერნატივოში არ არის საქმე, ყველაფერი არის ვითარების მიხედვით. ირაკლი ღარიბაშვილი ყველაზე ლოგიკური კანდიდატურაა... მეორე, ეს ჩემი პირადი აზრია და ძალიან ბევრჯერ მითქვამს, თუ ვამბობთ, რომ ვიღაცამ ამ ხელისუფლებაში შეუძლებელი შეძლო, მაშინ ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი, იმიტომ რომ ერთი წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა საქართველოში, რომ ასეთი ეფექტური პოლიცია შეიქმნებოდა. ძალიან ბევრს გვემუქრებოდნენ, რომ სამინისტროში სადავეები, ვანოს გარდა, ყველას ხელიდან გაექცეოდა. მიაჩნდათ, რომ ვანო შეუცვლელი იყო. ამბობდნენ, რომ სამინისტროში არეულობა მოხდებოდა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა, ძალიან კარგად და მწყობრად მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, უწყება რომ ასე კარგად და მწყობრად მუშაობს, ამას მინისტრი ისე ახერხებს, რომ ხალხზე არ ძალადობს ქუჩაში: არავის არ სცემს, არ ურტყამს და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა. ეს მოახერხა ადამიანმა, რომელსაც არანაირი პოლიციური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. ჩემი აზრით, ეს ძალიან მისასალმებელია.

**– როცა ლოგიკურობაზე საუბრობთ, ღარიბაშვილისადმი პრემიერის მაღალ ნდობას გულისხმობთ?**

– ნდობაში არ არის საქმე, მე ვიგულისხმე ის, რომ კურსი, რომელსაც დღევანდელი პრემიერი ატარებს, მალე ახალი პრემიერის ხელში იქნება. სწორედ ამ კურსს გააგრძელებს ღარიბაშვილი, რადგან ეს ორი ადამიანი ძალიან დიდხანს მუშაობდა ერთად, დიდი გამოცდილება აქვთ ერთად მუშაობის. ჩვენ ვიცით, რომ ირაკლი იყო „ქართუ ფონდის“ ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაზე კარგად ღარიბაშვილმა და კანცელარიის დღევანდელი ადმინისტრაციის უფროსმა იციან, როგორ მუშაობს ის მანქანა, რომელიც ივანიშვილმა ააწყო. ღარიბაშვილისთვის ცნობილია მართვის ეს სტილი.

**– სხვა კანდიდატურები თუ განიხილებოდა?**

– ამ თვეების განმავლობაში, ბუნებრივია, განიხილებოდა.

**– საბჭოზე თუ იქნა განხილული სხვა კანდიდატურა?**

– საბჭოზე სხვა არავინ განხილულა.

**– ვინ შეიძლება გახდეს ირაკლი ღარიბაშვილის შემცვლელი?**

– აქ ერთი კანდიდატურა არ დასახელებულა. ჩვენ მოვისმინეთ პოზიციები რამდენიმე ადამიანთან მიმართებაში. კანონით პრემიერმა უნდა წარადგინოს ახალი მინისტრი, როდესაც მოხდება მთავრობის ხელახალი წარდგენა, მაშინ წარუდგენს პრემიერიც შინაგან საქმეთა მინისტრს.

**– თქვენი აზრით, შს მინისტრი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს?**

– როგორი ფიგურა იყო ირაკლი ღარიბაშვილი? იყო ის პოლიტიკური ფიგურა? შს მინისტრი უნდა იყოს ძალიან ეფექტური ადამიანი, მყარი ნერვების მქონე და მკაცრი. მკაცრი და არა სასტიკი.

**– ისე დაახასიათეთ, რომ, სავარაუდოდ, იცით, ვინც იქნება შემცვლელი...**

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

**– 17 ნოემბრის შემდეგ მივიღებთ ახალ პრემიერს, რომელსაც ექნება გაცილებით მეტი უფლებები... პრინციპში, ისეთი უფლებები, რომელზეც ამბობდნენ, სააკაშვილმა თავისთვის მოიმზადაო...**

– არა, ჩვენ შევცვალეთ ეს უფლებები, რომელიც სააკაშვილმა თავის თავზე მოირგო... ჩვენ შევცვალეთ ის, რომ პრემიერს შეეძლო, ნებისმიერი მიზეზით დაეყენებინა ნდობის საკითხი. პრინციპში, ეს იყო პარლამენტის დათხოვნის ულიმიტო საშუალება, პრემიერი პირდაპირ ვერ ითხოვს პარლამენტს, ამას პრეზიდენტი აკეთებს, მაგრამ პრემიერს იმხელა უფლებები ჰქონდა, რომ ნებისმიერ დროს შეეძლო, ეს საკითხი დღის წესრიგში დაეყენებინა. ეს უკვე შეცვლილია. მთავარი წინააღმდეგობა კონსტიტუციაში სწორედ ეს იყო...

ასე რომ, პრობლემა პარლამენტის ნაწილში არ ყოფილა, პრობლემა იყო მთავრობის მხრიდან სავალდებულო წესით ნდობის დაყენებაში. თუმცა კონსტიტუცია ჯერ კიდევ გასასწორებელია. არა მხოლოდ ამ ნაწილში, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, არამედ ბევრ სხვა ნაწილშიც. სააკაშვილმა ძალიან დაამახინჯა კონსტიტუცია. ნეიტრალურად არაანგაჟირებადი თემა რომ ავიღოთ, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო – სააკაშვილმა ის, ფაქტობრივად, გააქრო. თავი დავანებოთ იმ საკითხებს, რომელიც თავისი ინტერესებით უნდოდა, მოეწყო, ვისაუბროთ, ზოგადად, კონსტიტუციურ წესრიგზე: ძალიან ბევრი ინსტიტუცია კონსტიტუციურად გასაძლიერებელი და გასასწორებელია. სწორედ ასეთ დეტალებს ემსახურებოდა ჩვენი აქტიურობა ამ პერიოდის განმავლობაში. რაც ყველაზე მეტად საჭიროებდა მიხედვას, იმას მივხედეთ, სწორედ ამიტომ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს და პირველიდან ბოლო მუხლამდე უნდა გავიაროთ კონსტიტუცია, გავასწოროთ, დავალაგოთ და მოვაწესრიგოთ ერთხელ და სამუდამოდ.

**– თუმცა კეთდება შეფასებები, რომ სახელისუფლებო შტოებს შორის კვლავაც დისბალანსია და პრემიერის უფლებები უნდა შეიკვეცოს... რა უფლებებზეა საუბარი, ამის თაობაზე ვახტანგ ხმალაძემაც ისაუბრა ადრე?**

– ეს კითხვა უფრო ვახტანგ ხმალაძესა და იმ კომისიას ეკუთვნის, რომელიც პარლამენტი უკვე მუშაობს. ეს ერთ დღეში ვერ გაკეთდება. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, აქტში ჩაიწერა და ერთ წელიწადში, შემდეგ ოქტომბერს მოხდება ცივილიზებული და კულტურული რევოლუცია, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ გასწორდება 1995 წლის შემდეგ ნატანჯი კონსტიტუცია.

**– ვილნიუსის სამიტზე მთავარი ფიგურა პრემიერი იქნება თუ პრეზიდენტი?**

– პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი წარადგენს და უხელმძღვანელებს საქართველოს დელეგაციას.

**– როგორ ფიქრობთ, შეიქმნება პრობლემები პარლამენტსა და მთავრობას შორის?**

– მე ამ პრობლემებს არ ველოდები, რადგან ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ. რამდენიმე დღის წინ ეგრეთწოდებულ ძალიან აქტიურ „მიშისტებთან“ ვიყავი და

**„უწყება რომ ასე კარგად და მწყობრად მუშაობს, ამას ღარიბაშვილი ისე ახერხებს, რომ ხალხზე არ ძალადობს ქუჩაში: არავის არ სცემს, არ ურტყამს და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



## „თუ ვამბობთ, რომ ვიღაცამ ამ ხელისუფლებაში შეუძლებელი შეძლო, მაშინ ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი“

EXCLUSIVE

## „ბოკერია იყო იდეოლოგიური მონსტრი და შეიძლება ყველაზე დიდი მიზეზი იმ ბოროტებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობდა“

დანანებით მითხრეს: მგონი, ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებდითო. ქვეყანაში რაციონალური ადამიანები, მიუხედავად იმისა, საით იხრება მათი პოლიტიკური პოზიციები, კარგად ხვდებიან და აფასებენ პრემიერის წასვლის მნიშვნელობას. ისინი აღფრთოვანებულები არიან პოლიტიკური კულტურის წესების შემოტანით დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. საზოგადოების ნაწილს ნამდვილად არ სჯეროდა, რომ ივანიშვილი წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებდა და როცა მე ამას ვამბობდი, სულ დამცინოდნენ.

**– თქვენ გინდათ თქვათ, რომ მიშისტებს არ სჯეროდათ, რომ პრემიერი წავიდოდა?**

– არა, ასე განზოგადებით ვერ გეტყვით, მაგრამ ვისთანაც მე ურთიერთობა მაქვს, იმათ ნამდვილად არ სჯეროდათ და სულ დამცინოდნენ, როცა ვამბობდი, აი, ნახავთ, თუ არ წავა-მეთქი.

**– მიშაც ფიქრობდა, რომ პრემიერი არ წავიდოდა...**

– ჩემი მიშისტები მიშასთან ძალიან დაახლოებულები არიან.

**– რადგან პრეზიდენტი ვახსენეთ, თქვენ მხარს დაუჭერდით მის დაკავებას ან დაკითხვას, ან შეიძლება პარლამენტში შეიქმნას რაიმე კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს?**

– ეს არ არის იმ ტიპის საქმე, რომელსაც პარლამენტის წევრი მხარს უჭერს ან უარს ეუბნება. პრეზიდენტს არ აქვს იმ ტიპის იმუნიტეტი, რომელიც პარლამენტმა უნდა მოუხსნას. შესაბამისად, მას ჩვენი თანხმობა ან უარი არ სჭირდება. შესაბამისად, ეს მთლიანად სამართალდამცავების საქმეა. ჩემი პირადი, ერთი რიგითი მოქალაქის აზრით, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა, შრომობდა, იბრძოდა და აქტიური მოქალაქე იყო ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებთ, იმდენი კითხვა, პრობლემა, საკითხი დაგროვდა, იმდენი ბოროტება მოხდა, რომ ყველას დაკითხვა უნდა განხორციელდეს, ვინც შეიძლება ამ ბოროტების წყაროზე ინფორმაციის მატარებელი იყოს. მგონია, რომ სააკაშვილიც ერთ-ერთი ინფორმაციის მატარებელია. თუ მხოლოდ ინფორმაციის მატარებელია და მეტი არაფერი, კარგი იქნებოდა. მე ვერანაირ პრობლემას ამაში ვერ ვხედავ და ამ ამბის საკრალიზაცია არასერიოზული მგონია.

**– ჩვენ გვახსოვს წულუკიანის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ ბაჩო ახალაია არის მონსტრი, რომელსაც სასამართლომ სამი წელი შეუფარდა... აქ სასამართლოს პრობლემას ხედავთ თუ პროკურატურის?**

– ბაჩო ახალაია არის მონსტრი – ეს არ არის სამართლებრივი კვალიფიკაცია.

**– როდესაც იუსტიციის მინისტრი ამბობს ამას?**

– რა მნიშვნელობა აქვს, იუსტიციის მინისტრი ამბობს თუ სხვა... იუსტიციის მინისტრს რომ ეთქვა, რომ ის არის მკვლელი, ამას ექნებოდა სხვა დატვირთვა. იუსტიციის მინისტრი რომ ამბობს, რომ ის არის მონსტრი, ეს არის მისი ხატოვანი დამოკიდებულება ადამიანის მიმართ და მე აბსოლუტურად ვეთანხმები თეა წულუკიანის ამ ფრაზას და ვიზიარებ მის დამოკიდებულებას არა მარტო ბაჩო ახალაიას მიმართ, არამედ მთელი ოჯახის მიმართ, ახალაიების იმ სამ მამაკაცის მიმართ, რომელმაც საქართველოს თავი დაამახსოვრა. დიახ, ახალაიები იყვნენ მონსტრები. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი დადიოდნენ და ბავშვებს ჭამდნენ და ყოველ დილით დანაშაულს სჩადიოდნენ. მე მონსტრად შეფასება შემიძლია ისეთი ადამიანისაც, რომელზეც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თავად არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. ეს არის უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია. თუმცა მიმაჩნია, რომ ის მონსტრი იყო, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ პირადად მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. ეს ორი ამბავი ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის. ის იყო იდეოლოგიური მონსტრი იმ მმართველობისა, რომელიც იყო ქვეყანაში და შეიძლება ყველაზე დიდი მიზეზი იმ ბოროტებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბოკერიას დანაშაული აქვს ჩადენილი და უნდა გავასამართლოთ.

**– თქვენ იზიარებთ ბოკერიასთან დაკავშირებით პრემიერის შეფასებას, სადაც ივანიშვილმა თქვა, რომ ბოკერიამ 17 მილიონით მოისყიდა მთელი დასავლეთი?**

– ეს ის შეფასებაა, რომელზეც ვერც იმას ვიტყვი, რომ ვიზიარებ და ვერც იმას, რომ არ ვიზიარებ, რადგან არ მაქვს ინფორმაცია.

**– რაც შეეხება სასამართლოსა და პროკურატურას, ახალაიას შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, რომლის პრობლემა არსებობდა?**

– მე არ ვიცნობ ბაჩო ახალაიას საქმეს, ამიტომ გამიჭირდება თქმა, პროკურატურას სუსტი არგუმენტები ჰქონდა თუ დამაჯერებელი. ერთი ფაქტია, რომ ეს მტკიცებულებები მოსამართლისთვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. ბევრჯერ მითქვამს, რომ ის, რომ სასამართლო ვიღაცას ამტყუნებს ან ამართლებს, არ ნიშნავს, რომ ეს კაცი მართალია ან მტყუანი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სასამართლო სხდომაზე სასამართლო დარბაზში მხარემ ასე დაუდასტურა მოსამართლეს. ეს არის შეჯიბრებითობაზე დამყარებული სასამართლოს ხიბლი ახალ საქართველოში. იმ საქართველოში, სადაც სააკაშვილი იყო, ამას ვერ ვიტყოდით. ახლა ეს ასეა. ახლა თუ დაუმტკიცებ დანაშაულს, დაიჭერ, თუ ვერ დაუმტკიცებ, ყოველ დილას რომ ხალხს ჭამდეს, მაინც ვერ ჩასვამ ციხეში. ის უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა.

**– ბევრი საუბარია კოაბიტაციის დასრულებაზე, როგორ წარმოგიდგენიათ, რა იქნება კოაბიტაციის მერე?**

– კოაბიტაცია დამთავრდება 17 ნოემბრის მერე. ეს არ არის არც ხატოვანი გამოთქმა და არც პოლიტიკური რიტორიკა. ეს არის ფაქტი. ეს არის მოცემულობა. კოაბიტაცია ნიშნავს, როდესაც ხელისუფლება განაწილებულია ორ ძალას შორის. 17-ის შემდეგ ხელისუფლება ორ ძალას შორის აღარ იქნება განაწილებული.

**– რას ელოდებით 17-ის მერე?**

– იმას ველოდები, რომ კოაბიტაციის მერე ერთი პოლიტიკური ძალა გააგრძელებს საკუთარ მმართველობას. იმას, რომ პარლამენტში კვირაში სამჯერ ვეტოების დაძლევა აღარ მოგვიწევს, რადგან ვიღაცას აქვს ასეთი ახირება, საქართველოს ორ სტრატეგიულ ქვეყანაში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ეყოლება ელჩი, რასაც ვერ მივაღწიეთ სააკაშვილის დროს. როგორც ჩანს, არ ჩათვალა საჭიროდ ამ ორ ქვეყანაში ელჩის ყოლა.

**– კოაბიტაციის დასრულება ნიშნავს სამართლიანობის აღდგენის გაგრძელებას, დაპატიმრებების სერიებს?**

– კოაბიტაციის დასრულება ნიშნავს იმას, რაც გითხარით...

**– დაბოლოს, თქვენ იყავით პირველი ხელისუფლება, როცა არჩევნების შემდეგ პოლიტიკოსები და ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა, თუმცა იყო ძალიან ბევრი მუქარა, ბურჯანაძისა და არამხოლოდ მისი მხრიდან. დღეს მისი პარტნიორები ძალიან ხშირად კითხულობენ, შედგა თუ არა რაიმე გარიგება ბურჯანაძესა და „ქართულ ოცნებას“ შორის...**

– არ ვიცი, ამ ქვეყანაში ვის რა პარანოია აქვს, თუმცა ვიცი ერთი რამ, რომ, განსხვავებით იმისგან, რასაც ცხრა წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ ხალხი ფულს გამოჰყავს ქუჩაში და ასე შემდეგ, ხალხი ქუჩაში გამოდის მაშინ, როცა გამოსასვლელია. არაფერს არ გამოჰყავს, გარდა იმისა, რომ აქვს ობიექტური პროტესტი. თან ეს პროტესტი უნდა იყოს მზარდი და დაგროვებადი. სანდრო გირგვლიანი რომ მოკლეს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა დაზაფრული იყო, ხომ გახსოვთ, რამდენი ადამიანი გამოვიდა – 400 თუ 500 კაცი... ძალიან ცოტა... რუსთაველზე ჩვენს თვალწინ 16-სართულიანი კორპუსი რომ დაგვანგრიეს თავზე და მოხუცი კაცები რომ გადმოყარეს მეთექვსმეტე სართულის აივნებიდან, რადგან ისე არ გამოდიოდნენ, და იძულებით რომ ჩამოიყვანეს, 300 კაცი გამოვიდა ქუჩაში. არა იმიტომ, რომ პროტესტი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში მაშინ გამოდის, როდესაც პროტესტი რეალურია და დაგროვილია. იმ კრიტიკულ ზღვარს უნდა მიაღწიოს, რომლის იქითაც აღარაფერი არ არის, სასოწარკვეთილი კაცი გამოდის ქუჩაში. სხვა შანსი რომ არ აქვს... არჩევნებით რომ არაფერი გამოდის, ოპოზიცია რომ ვერაფერს ახერხებს, თავისუფალი მედია ვერაფერს ახერხებს, როდესაც დემოკრატიის ინსტრუმენტები ქრება, მერე უკვე ხალხი იღებს ძალაუფლებას ხელში და გამოდის ქუჩაში. როგორ უნდა გამოეყვანა ამ არჩევნების მერე ვინმეს ხალხი ქუჩაში?

**– თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, რომ ფული დაიხარჯა იმისთვის, რომ ქუჩაში გამოსულიყვნენ?**

– არა, მე ეს ინფორმაცია არ მაქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამას ხალხი არ გამოჰყავს ქუჩაში, ვის რა გეგმები ჰქონდა.

**– ჩვენ ვნახეთ, რომ 26 მაისს ხალხი ცოტა იყო, მაგრამ აქტივი გამოვიდა... რატომ არ შეიძლებოდა ახლაც იგივე მომხდარიყო?**

– იმიტომ, რომ არჩევნებს 200 კაცით რომ გააპროტესტებ, მერე მაგრად დაგცინებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „რაული ბოლოს მე ვნახე, ჩემი სახლიდან გ




## რაულ უსუპოვის მეგობარი „პრაიმტაიმთან“ ალაპარაკდა

## „იმ ბოლო ღამეს რაული იყო ჩემთან. ჩემგან გავიდა და მორჩა, კაციშვილს აღარ გაუგია, რა მოხდა რეალურად მის თავს“

მარიამ ნადირაძე

**მთავარი პროკურორი კიდევ ერთხელ ახსენებს საზოგადოებას, რომ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შესახებ საზოგადოება სულ მალე ყველა დეტალს შეიტყობს.**

სანამ პროკურატურა საქმეს გახსნილად გამოაცხადებს, „პრაიმტაიმი“, თავის მხრივ, ცდილობს, მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს ამ სკანდალური საქმის გარშემო.

ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანთან, რომლის დაკითხვითაც იაშარ უსუპოვის თქმით, კბილაშვილის უწყებაა დაინტერესებული. ბატონი იაშარი ამ მოწმის მნიშვნელობას დაახლოებით ორი კვირის წინ ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში ასე ხსნიდა:

„რაულის მეგობრისგან შევიტყვე, რომ გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, მისი თანდასწრებით რაულმა სატელეფონო ზარს უპასუხა და ფერი ეცვალა. მეგობრის კითხვაზე, რა დაემართა, უპასუხა, რომ მას სპეცსამსახურები ემუქრებოდნენ... ეს მეგობარი ჩემი თხოვნით მაშინდელმა გამოძიებამ დაიბარა. რომ მეგონა, დაკითხავდნენ, სინამდვილეში, დაემუქრნენ, ენას კბილი დააჭირეო. ეს ბიჭი აეროპორტში მუშაობდა. სამსახურიდანაც გაუშვეს და მას უკრაინაში მოუწია წასვლა. ახლა ამბობს, არაფერი მახსოვსო...“

როგორც შევიტყვეთ, უსუპოვის მეგობარი ვინმე ვაჟა ხატიაშვილია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, უკრაინაში ცხოვრობს და მსახიობის საქმიანობით არის დაკავებული. ვაჟა ხატიაშვილი ამჯერად „პრაიმტაიმის“ რესპონდენტია და თავად მოგვახსენებს, რა მოხდა რეალურად:

– მე ვარ 37 წლის, რაული ჩემზე ბევრად ახალგაზრდა იყო, მაგრამ გაცილებით სერიოზული. ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ სამსახურებრივ და პირად თემებზე ღიად არავისთან საუბრობდა.

**– დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებდათ?**

– ჩვენ მეზობლები ვიყავით თბილისში, მესამე მასივში. ერთ კორპუსში ვცხოვრობდით, გვერდიგვერდ სადარბაზოში. დავმეგობრდით უცებ. გამორჩეული ადამიანი იყო. იმ ბოლო ღამეს რაული იყო ჩემთან. ჩემგან გავიდა და მორჩა, კაციშვილს აღარ გაუგია, რა მოხდა რეალურად მის თავს. მხოლოდ დილით შევიტყვეთ, რომ ის გარდაიცვალა პრემიერთან ერთად.

**– ბატონი იაშარისგან გავიგეთ, რომ წინა ხელისუფლება გემუქრებოდათ და გეუბნებოდათ, რომ ენისთვის კბილი დაგეჭირათ...**

– მსგავსი არაფერი ყოფილა, არავინ დამმუქრებია. არც არავის გავუქცევივარ საქართველოდან. მე უკრაინაში რომ წავედი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი პრობლემების გამო მოხდა. მეუღლეს დავშორდი და გადავწყვიტე ქვეყნიდან წასვლა. სულ ეს იყო.

**– როგორც შევიტყვეთ, თქვენ მომსწრე ხართ მისი სატელეფონო საუბრის, როდესაც მას ფერი ეცვალა და თქვენ გითხრათ, თითქოს სპეცსამსახურები ავიწროებდნენ...**

– ვადასტურებ, რომ რამდენჯერმე შევესწარი მის სერიოზულ სატელეფონო საუბარს, მაგრამ ის ყოველთვის გადიოდა და არასდროს მაყენებდა საქმის კურსში, ვისთან და რა თემაზე ჰქონდა საუბარი.

**– თქვენ ბოლოს როდის ნახეთ რაული? რა დღე იყო?**

– იმ ღამეს, სანამ რაღაც შეხვედრაზე წავიდოდა... ჩემთან იყო სტუმრად, ვაპირებდით, ერთად გვევახშმა, ცოტა ღვინოც დაგველია. ვიღაცამ დაურეკა. ის აივანზე გავიდა და ლაპარაკობდა, ალბათ, დაახლოებით 15 წუთი. მე არ გავედი, რადგან ვიფიქრე, რომ მნიშვნელოვანი საუბარი ჰქონდა. უკან რომ დაბრუნდა, გვითხრა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე მივდივარ და საათ-ნახევარში დავბრუნდებიო. დაახლოებით 2-3 საათში დავურეკე და ტელეფონი გათიშული ჰქონდა. დილით ტელევიზიით გავიგე ეს საშინელი ამბავი.

**– რაულის მამის თქმით, თქვენ მის გარდაცვალებამდე დაახლოებით თვე-ნახევრის წინ შეესწარით მის კიდევ ერთ სატელეფონო საუბარს, როცა მან გაგიმხილათ, სპეცსამსახურის მუქარის შესახებ...**

– რაული დადიოდა სამსახურში რუსთავში. როგორც მახსოვს, ის გუბერნატორის მოადგილე იყო. ერთხელ მასთან ვიჯექი მანქანაში და რუსთავში მივდიოდით. მახსოვს, ვიღაცამ დაურეკა. გააჩერა მანქანა, გადავიდა. უკან ცუდ ხასიათზე დაბრუნდა. ვკითხე, ვინმე ხომ არ „გიჩმახებს“-მეთქი. გაუგებრად მიპასუხა რაღაც. კონკრეტულად სპეცსამსახურები არ უხსენებია. რაღაც სამსახურიდან მირეკავდნენო, ზუსტად არ მახსოვს, რა თქვა.

**– ბოლოს, როდესაც რაული ნახეთ, დაახლოებით რა დრო იქნებოდა, როდესაც ის თქვენი სახლიდან გავიდა?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მგონი, გვიანი იყო, ყოველ შემთხვევაში, ბნელოდა. თუმცა, ზამთარში ადრე ბნელდება... როცა პროკურატურაში ვიყავი დაკითხვაზე დროს პლუს-მინუს 15 წუთით ვწერდი ყველაფერს. ახლა უკვე ამდენი დროა გასული და სიმართლე გითხრათ, ზუსტი დრო არ მახსოვს.

**– პროკურატურაში რატომ აღმოჩნდით? ბატონი იაშარისგან ვიცით, რომ მან ურჩია პროკურატურას თქვენი დაკითხვა...**

– ბუნებრივია, პროკურატურას პირველი კონტაქტი ოჯახთან ექნებოდა. თუ დაისმებოდა კითხვა, ვინ ჰყავდა რაულს ახლო მეგობარი, ცხადია, მე დამასახელებდნენ. ჩემს გარდა, იქ დაბარებული იყო კიდევ ერთი აზერბაიჯანელი ბიჭი, რაულის კლასელი იყო, მგონი. ჩემი მეუღლეც დაკითხეს.

**– რა კითხვები დაგისვეს პროკურატურაში? როგორ მოგექცნენ?**

– პროკურატურაში იმ აზერბაიჯანელ ბიჭთან ერთად წავედი. მან ქართული იცის, მაგრამ ცუდად. მას, როგორც თარჯიმანი, ისე მოვემსახურე, თუნდაც, რომ წამეკითხა, რეალურად დაიწერა თუ არა ის ჩვენება, რასაც ეს ბიჭი აძლევდა.

**– მერე, ჩვენება სწორად შედგა?**

– ისე დაიწერა, როგორც იმ ბიჭმა უკარნახა. ერთადერთი, რაც ორივეს არ მოგვეწონა, ის იყო, რომ, როდესაც რაულთან ერთად გატარებული სასიამოვნო მომენტების გახსენება დავიწყეთ, გაგვეცინა. იმ გამომძიებელმა უხეშად გვითხრა, თქვენ, რა, გეცინებათო? ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და იმის მერე გაღიმებაც არ გვიცდია. როგორც ჩანს, მუშაობის ასეთი სტილი ჰქონდათ.

**– ბატონი იაშარისთვის იქიდან დაბრუნებულს განგიცხადებიათ, რომ პროკურატურაში ენაზე კბილის დაჭერა გირჩიეს...**

– არანაირად... მსგავსი არაფერი ყოფილა. ამის მერე ჩემი მეუღლეც დაიბარეს. იქ არავინ დაგვმუქრებია. მე ოთხი წლის წინათ საქართველოში ვიყავი ჩამოსული. მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, ჩამოსვლას ხომ ვერ გავბედავდი?

**– აეროპორტში მართლა მუშაობდით?**

– ადრე ვმუშაობდი და დამსახურებულად გამომიშვეს. ცუდად ვიქცეოდი...

**– რატომ?**

– ხომ წარმოგიდგენიათ, ახალგაზრდა ბიჭი, აეროპორტი...

**– რაზე მუშაობდით?**

– დაცვაში. საავიაციო უშიშროების სამსახური ერქვა. სამსახური რომ არ მქონდა, მერე რაულს ვთხოვე, იქნებ დამეხმარო სამსახურში აღდგენაში-მეთქი. ასეც მოიქცა. მივიდა უფროსთან, დაელაპარაკა და აღმადგინეს. ვიმუშავე დაახლოებით ნახევარი წელი.

**– და თქვენი ნებით წამოხვედით?**

– დიახ. აეროპორტიდან ჩემი ნებით 5-ჯერ წამოვედი.

**– ანუ, თქვენს განთავისუფლებაში პროკურატურას წვლილი არ მიუძღვის?**

– არანაირად... როცა მომენატრებოდა ეს სამსახური, ვცდილობდი, დავბრუნებულიყავი.

**– როგორც ჩანს, თქვენ რაულთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა გქონდათ. არაფერი შეუჩივლია თქვენთვის რაულს იმის შესახებ, რომ ვინმე აწუხებდა?**

– კიდევ ერთხელ გეტყვით, რამდენჯერმე შევესწარი მის უსიამოვნო საუბარს, მაგრამ არასდროს დაუკონკრეტებია, ვისთან ჰქონდა ეს საუბარი, ან რა შინაარსის. რამდენჯერმე ისიც შევნიშნე, რომ ასეთი საუბრების შემდეგ ფერი ეცვლებოდა, მაგრამ რაკი ვხედავდი, რომ არაფერს მეუბნებოდა, მერე არც მე აღარ ვეკითხებოდი.

**– რაულ უსუპოვს ზურაბ ჟვანიასთან ურთიერთობის შესახებ თუ უთქვამს თქვენთვის რამე?**

– ერთხელ ნათქვამი აქვს, უჭკვიანესი ადამიანია, ჩემი მასწავლებელიაო. ზუსტად ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მის მიმართ, როგორც მასწავლებელთან.

**– რაკი თქვენ მისი მეგობარი ხართ და ვინაიდან, შეფარვით ვრცელდება ინფორმაციები მისი განსხვავებული ორიენტაციის შესახებ, საინტერესო იქნებოდა თქვენი კომენტარი ამის თაობაზე...**

– სრული სისულელეა. გეტყვით რაღაცას, მაგრამ, ალბათ, ოჯახს ეს არ მოეწონება, განსაკუთრებით რაულის მეუღლეს. რამდენჯერმე ერთად ვყოფილვართ მდედრობითი სქესის კამპანიაში და დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ რაული აბსოლუტური ნატურალი იყო თავისი ორიენტაციით. რაული კაცი იყო!

**– მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ვერსია: ძველი – უბედური შემთხვევით გარდაცვალება და ახალი – ეჭვი მკვლელობაზე. თქვენ გაქვთ რამე ეჭვები? ან რომელი ვერსია მიგაჩნიათ დამაჯერებლად?**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავიდა, – საათ-ნახევარში დავბრუნდებიო“



Зураб Жвания

EXCLUSIVE



Рауль Юсупов

## რა ეჭვები უჩნდება ვაჟა ხატიაშვილს გუბერნატორის მოადგილისა და პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით?

– მე მაშინვე არ მომეწონა ვერსია, რომელიც მისი გარდაცვალების დღეს გამოითქვა. ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვები, მათ შორის ისიც, რა უნდოდა რაულს იქ, იმ ბინაში? როდესაც ვიცი, რომ, როდესაც პრემიერ-მინისტრს ის ხვდებოდა, ეს შეხვედრა ხდებოდა კაბინეტში. არაერთხელ მეც ვახლდი თან რაულს, როდესაც ასეთ შეხვედრაზე მიდიოდა. მანქანაში ველოდებოდი, როცა ის კანცელარიაში ადიოდა. მე როგორც ვიცი, ასეთი არაოფიციალური შეხვედრები მას არ ჰქონია.

**– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც თქვენ ამ ვერსიის შესახებ შეიტყვეთ?**

– პირველი რეაქცია გაოგნება იყო, რომ, როგორ შეიძლება ასეთ ვითარებაში უბედური შემთხვევით გარდაიცვალონ ასეთი რანგის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები...

**– თქვენი მეგობრის მამამ, ბატონმა იაშარმა ჩვენთანაც და ტელევიზიაში საუბრის დროსაც განაცხადა, რომ დღევანდელი პროკურატურა ძალიან დაინტერესდა თქვენთან საუბრით და ბატონ იაშარს დახმარება სთხოვა თქვენთან დაკავშირებაში... ვინმე შეგეხმიანათ პროკურატურიდან? ან თავად რაულის მამა თუ დაგიკავშირდათ თხოვნით, რომ გამოძიებას ჩვენება მისცეთ?**

– რამდენიმე ხნის წინ მე თვითონ დავუკავშირდი რაულის ძმას, რენატს, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ძმაკაცის ძმაა და დავინტერესდი, როგორ იყვნენ. ისეთი საუბარი დამიწყეს, რომ, სიმართლე გითხრათ, არ მესიამოვნა – მამეორებინებდნენ ერთსა და იმავეს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სადღაც ისხდნენ და ჩემს საუბარს იწერდნენ.

**– თქვენ მათ თქვენი ინიციატივით დაუკავშირდით?**

– დიახ, უბრალოდ, მოსაკითხად. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ხან სახლში არ იყვნენ, ხან არ ეცალათ. ერთხელაც მისმა მეუღლემ მითხრა, მამას დაგალაპარაკებთო. ბატონი იაშარი ყოველ საუბარს იწყებს დაკითხვით, რა როგორ იყო... როცა ვეუბნები, რაღაც არ მახსოვს-მეთქი, ეს პასუხი არ მოსწონს. არადა, იმ პერიოდში, რაულის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მამა დავასაფლავე და ტვინი ისედაც არეული მქონდა. თანაც, მას შემდეგ საკმაო დროა გასული. ის კი ისეთ რაღაცებს მეკითხებოდა, რომ ძალიანაც რომ მდომებოდა, ვერ გავიხსენებდი. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კითხვებსაც ვიღაც თანამშრომელი კარნახობდა.

**– პროკურატურიდან არავინ დაგკავშირებიათ?**

– არა. რომ მოენდომებინათ, ჩვენ, ყველას, ვისაც აქაური ცხოვრების უფლება გვაქვს, საკონსულოში გვაქვს აკრედიტაცია. დაკავშირება რომ მოესურვებინათ, დაუკავშირდებოდნენ კონსულს და მეც მაშინვე შევიტყობდი ამის შესახებ. ჩემი მოძებნა რთული არ არის, მით უმეტეს, რომ მე ძმა მყავს საქართველოში და იაშარმაც და რენატმაც კარგად იციან მისი მისამართი.

დაბოლოს, დაკითხავენ თუ არა ბოლო წლების ყველაზე სკანდალური სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში რაულ უსუპოვის მეგობარს, ამას მომავალში აუცილებლად ვნახავთ, თუმცა რაც შეეხება სააკაშვილის მოწმის სახით დაკითხვას, გასულ კვირას მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი კიდევ ერთხელ შეეხო ამ თემას და განაცხადა: „როდესაც ჩვენ დავადგენთ ფაქტს, რასთან გვქონდა საქმე და გვექნება შესაძლებლობა, ვუწოდოთ მოვლენას შესაბამისი სახელი, აი, ამის გარკვევის შემდეგ დაიწყება ადამიანებთან ურთიერთობა. რადგან ეს სიცხადე გვაძლევს სიცხადეს მოწმის ჩვენების სიცხადეში. აი, ვინ მოხვდება იმ სივრცეში, ახლა ამის პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა, რასაკვირველია, არ უნდა იქნას გამორიცხული, რომ ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილიც დაიკითხოს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცნობილმა პატიმარმა ციხის კ

# დაზარალებულმა გოგონამ პროკურატურას სკანდალური ჩვენება მისცა



my View



მირიან ბოქოლიშვილი

**კეთილმოწყობილი სამზარეულო, სადაც განთავსებულია: ორკამერიანი მაცივარი, მაგიდა, სკამები, სამზარეულოსთვის საჭირო უახლესი ტექნიკა... ასევე, კეთილმოწყობილი ოთახები ხის ორადგილიანი საწოლით, დიდი პლაზმური ტელევიზორით, DVD-ით, კომპიუტერული ტექნიკით, მუსიკალური ცენტრითა და სხვა ატრიბუტიკით... განახლებული და ახლად შეღებილი იატაკი და კედლები, ფანჯრებზე ძვირადღირებული ფარდები... მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ახალსახლობას შეეფერება, მაგრამ ეს არც ძვირადღირებული აპარტამენტია და არც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომერი... ეს სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი მედპუნქტია, რომელიც 2006 წლის მარტში საგანგებოდ მოაწყვეს ე.წ. VIP პატიმრებისთვის. იქ სასჯელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, გერონტი ალანია და ავთანდილ აფციაური იხდიდნენ. ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა იმაზე, როგორი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ეს პატიმრები ციხეში, ამიტომ ამ დეტალებით თავს აღარ შეგაწყენთ. გეტყვით იმას, რომ სწორედ ამ პრივილეგიების მინიჭებისთვის წაუყენეს ახალი ბრალი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმდროინდელ თავმჯდომარეს, ბაჩანა ახალაიას. ახლა პროკურატურა ცდილობს, სასამართლო დაარწმუნოს, რომ გირგვლიანის საქმეში მსჯავრდადებულები ციხეში შეუზღუდავი უფლებებით უშუალოდ ბაჩო ახალაიას მითითებით სარგებლობდნენ. თავად ახალაიას ადვოკატები ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ და ირწმუნებიან, რომ „მწვანე შუქი" კუდ-ის მაღალჩინოსნებისთვის ახალაიას არ აუნთია. მაშინ გამოდის, რომ პრივილეგიები მსჯავრდადებულებს უშუალოდ ციხის ადმინისტრაციამ მიანიჭა. მოკლედ, ამას, ალბათ, სასამართლო გაარკვევს. ერთი რამ კი ცხადია: გირგვლიანის საქმისთვის გასამართლებული კუდ-ის ოთხი მაღალჩინოსანი ციხეში მართლაც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა.**

ისტორია, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, იმაზე მეტია, ვიდრე პატიმრებისთვის მინიჭებული პრივილეგიები. ჩვენ მოვიპოვეთ სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების დაცვის სამსახურის ოპერატორის სკანდალური ჩვენება, რომელიც მან პროკურატურას გირგვლიანის საქმის ხელახალი გამოძიების პროცესში მისცა. მოწმის ვინაობას გასაგები მიზეზების გამო არ დავასახელებთ, თუმცა გეტყვით, რომ ის გამოძიებას საკმაოდ სკანდალურ დეტალებზე ესაუბრა. ც.დ. პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ზემოხსენებული პატიმრებიდან ერთ-ერთს, კერძოდ, ალექსანდრე ღაჭავას მისი ნების საწინააღმდეგოდ სქესობრივი კავშირის დამყარებაში ადანაშაულებს, რაშიც, მისი თქმით, ხელს უწყობდნენ ციხის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. ც.დ-მ ციხეში მუშაობა 2006 წელს დაიწყო, მალევე იქ სასჯელის მოსახდელად კუდ-ის მაღალჩინოსნებიც მიიყვანეს. ც.დ-ს მოვალეობაში შედიოდა, რომ ყოველ ნახევარ საათში შეემოწმებინა დაწესებულების საგუშაგოების მორიგეები, ასევე თვალყური ედევნებინა ციხის ტერიტორიისთვის და იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შენიშნავდა, ხელმძღვანელობისთვის ეცნობებინა.

„ჩემი #10 დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში გარე დაცვის სამსახურის უფროსად – დავით სამხარაძე, #10 დაწესებულების დირექტორად კი თემურ ტაბაღუა მუშაობდნენ. #10 დაწესებულებაში სასჯელს იხდიდნენ შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები და მათთან გათანაბრებული პირები. 2006 წლის ზაფხულში #10 დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად შემოასახლეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული ოთხი პირი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მე მათთან არც შეხება მქონია და არც მათი სახელები და გვარები ვიცოდი, თუმცა ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ზემოაღნიშნულ ოთხ პირს მსჯავრდებულებისთვის შეუსაბამო პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული. მეტსაც გეტყვით, მათთან საუკეთესო ურთიერთობაში იყვნენ დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, ზოგიერთი მათგანი მსახურადაც კი ჰყავდათ. კონკრეტულად, ციხის დირექტორი თემურ ტაბაღუა აღნიშნულ პატიმრებთან მეგობრობდა, მათთან ჭამდა და სვამდა ციხის ტერიტორიაზე", – წერს ჩვენებაში ციხის ყოფილი კონტროლიორი.

## „მინდოდა გასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელმა საშუალება არ მომცა... თავი ვეღარ დავიცავი"



ის იხსენებს 2007 წლის გაზაფხულზე, სამუშაო საათებში მის მობილურ ტელეფონზე შემოსულ ზარს. ც.დ-ს გარე დაცვის სამსახურის უფროსი დავით სამხარაძე დაუკავშირდა და მსჯავრდადებულთა საცხოვრებელ კორპუსში, კერძოდ კი, ყოფილ მედპუნქტში გამოცხადება სთხოვა. თხოვნაზე თავდაპირველად ც.დ-მ უარით უპასუხა, რადგან მას სამსახურებრივად მსჯავრდადებულების ოთახში შესვლა ეკრძალებოდა. „კარგი, ციხის დირექტორი, თემურ ტაბაღუა დაგირეკავს გამშვებ პუნქტში და უპრობლემოდ გამოგატარებენო", – უთხრა დავით სამხარაძემ ც.დ-ს. მართლაც, ცოტა ხანში თემურ ტაბაღუას სახელით დარეკეს გამშვებ პუნქტში და ც.დ. იძულებული ხდება, შესულიყო ზემოხსენებული პატიმრების ოთახში.

„მივედი ყოფილ მედპუნქტში, სადაც მოწყობილი იყო ზემოაღნიშნულ პატიმართა საცხოვრებელი. სამზარეულოში, რომელიც ოთახების დამოუკიდებლად იყო მოწყობილი, სუფრასთან ისხდნენ თემურ ტაბაღუა, დავით სამხარაძე, აღნიშნული ოთხი პატიმარი და კიდევ რამდენიმე ჩემთვის უცნობი პირი. სუფრასთან მყოფები ნასვამები იყვნენ და კიდევ აგრძელებდნენ ალკოჰოლური სასმელის დალევას. შესვლისას დავით სამხარაძემ მითხრა, რომ მე სუფრა უნდა ამელაგებინა, ჭურჭელი დამერეცხა და მათთვის ხინკალი შემეცხელებინა, რადგან ქეიფი გრძელდებოდა. თავიდან ვიუკადრისე აღნიშნული და დავით სამხარაძეს ვუთხარი, რომ სუფრის ალაგება და ჭურჭლის რეცხვა ჩემი საქმე არ იყო, თუმცა შემდეგ დავთანხმდი, რადგან, ჯერ ერთი, მან



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ონტროლიორი გააუპატიურა?

## ექსკლუზიური დეტალები ბაჩო ახალაიას „ბოლო ბრალდებიდან“





EXCLUSIVE

რამდენიმეჯერ გამიმეორა მითითება და მეორეც, ოთახში იმყოფებოდა ციხის დირექტორი. ამდენად, მე მართლაც ავალაგე სუფრა, დავრეცხე ჭურჭელი, განვუახლე მათ სუფრა და დავბრუნდი ჩემს ოთახში. დავით სამხარაძემ და სხვებმაც შემომთავაზეს მათთან დარჩენა, მაგრამ მე, როგორღაც, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და არ დავრჩი. ამასთან, ოთახში ყოფნის დროს მე ვიცანი ერთ-ერთი მსჯავრდებულის, კერძოდ ალექსანდრე ღაჭავას ხმა, რომელიც მანამდე ხშირად მირეკავდა ხოლმე მობილურ ტელეფონზე და მეუბნებოდა, რომ მოვწონდი. თავიდან არ ვიცოდი, ვინ მირეკავდა, მაგრამ ეჭვი მქონდა, რომ ჩემთან დამრეკავი პირი ციხეში მყოფი მსჯავრდებული უნდა ყოფილიყო... პირველი შეხვედრის შემდეგ მან კვლავ განაგრძო ჩემთან დარეკვები, თუმცა ამჯერად აღარ დაუმალავს, ვინ იყო. ვცდილობდი, როგორმე მომეშორებინა და ვთხოვდი, აღარ დაერეკა ჩემთან, მაგრამ ალექსანდრე ღაჭავა კვლავ განაგრძობდა ჩემს შეწუხებას და ხშირად მირეკავდა. საუბარში ის მთხოვდა მასთან მეგობრობას“, – ყვება ც.დ.

მისივე თქმით, მალევე, ხელმძღვანელობის მითითებით, ის კვლავ აღმოჩნდა ყოფილ მედპუნქტში, სადაც კვლავაც სუფრა დახვდა გაშლილი. ციხის ოპერატორი გოგონა ყვება, რომ იმ დღეს ალექსანდრე ღაჭავამ მისი ნების საწინააღმდეგოდ მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

„პირველი შეხვედრიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ დამირეკა გამშვები პუნქტის მორიგემ და მითხრა, რომ თემურ ტაბაღუა მიბარებდა დაწესებულებაში. მივხვდი, რომ კვლავ ალექსანდრე ღაჭავასთან და სხვა მასთან ერთად მყოფ პირებთან უნდა შევსულიყავი. მივედი დაბარებულ ადგილას. ოთახში შესვლისას ვნახე, რომ სამზარეულოში კვლავ სუფრა იყო გაშლილი, მსჯავრდებულებისა და ციხის ხელმძღვანელობის გარდა, იქ სხვა, უცხო პირებიც იმყოფებოდნენ. თითქმის ყველა ძალზე ნასვამი იყო. შესვლისას მეც შემომთავაზეს მათთან ერთად სუფრასთან დაჯდომა და სასმელის დალევა, ძირითადად აქტიურობდა დავით სამხარაძე. თავიდან უარი განვაცხადე დარჩენაზეც და სასმელის დალევაზეც, მაგრამ ყველამ დამიწყო თხოვნა, ერთი ჭიქა მაინც დამელია, ხოლო დავით სამხარაძე მეუბნებოდა: „რისი გეშინია, ჩვენ აქ არ ვართო“. მე კვლავ განვაგრძობდი უარის თქმას, მაგრამ საბოლოოდ მაინც მომიწია ორი ჭიქა ვისკის დალევა. არ ვიცი, ამან გაამხნევა იქ მყოფები და რაიმეს იმედი მიეცათ, თუ არა, მაგრამ ერთ მომენტში დავით სამხარაძემ მთხოვა სამზარეულოდან გვერდით მდებარე ერთ-ერთ ოთახში გავყოლოდი, თან მან ორი ჭიქა ვისკი წამოიღო. როცა ოთახში შევედი და მიმოვიხედე, აღმოჩნდა, რომ დავით სამხარაძის ნაცვლად ოთახში ალექსანდრე ღაჭავა იმყოფებოდა. მინდოდა გასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელმა საშუალება არ მომცა. თუმცა აღვნიშნავ, რომ რაიმე ძალადობას ან უხეშობას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. პირიქით, საუბარ-საუბრით დამიყოლია მასთან ერთად ოთახში დარჩენაზე. ჩვენს შორის შემდეგ გამართული საუბრის შედეგად კი მან სქესობრივი კავშირის დამყარებაზეც დამიყოლია. მე სასმელს ვერ ვიტან და ყოველთვის ვცდილობდი, არ დამელია, იმ დღეს კი სუფრასთან მყოფმა პირებმა რამდენიმე ჭიქა ვისკი დამალევინეს, შესაბამისად, მე ვეღარ ვაკონტროლებდი თავს და სიტუაციას. სწორედ აღნიშნულით აიხსნება ჩემ მიერ ალექსანდრე ღაჭავასთან სქესობრივი კავშირის დამყარება“, – ყვება სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი თანამშრომელი.

მეორე დილით მან მომხდარის შესახებ მის მეწყვილე გოგონას მოუყვა, რომელიც ასევე ციხის ოპერატორად მუშაობდა. მეგობარმა ც.დ-ს ზემოხსენებული პირებისგან თავის შორს დაჭერა ურჩია, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, ც.დ. ასევე იხსენებს, რომ ზემოხსენებული ფაქტიდან რამდენიმე ხანში მას კვლავ დაურეკა დავით სამხარაძემ და კაბინეტში დაიბარა. მიზეზად ყავის მოდუღება დაასახელა.

„როდესაც დავით სამხარაძის ოთახში შევედი იქ ალექსანდრე ღაჭავაც დამხვდა. მე გავიკვირვე მისი იქ ყოფნა და განვუცხადე კიდეც, რომ არ მინდოდა მასთან ურთიერთობის გაგრძელება. პასუხად ალექსანდრე ღაჭავამ მითხრა, რომ ციხეში ყოფნის მიუხედავად, იგი ყველაფერს ისე მოაწყობდა, რომ იძულებული ვიქნებოდი, დავთანხმებულიყავი მასთან ურთიერთობას. იმდენად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, რომ სასწრაფოდ დავტოვე ოთახი, ხოლო შემდეგ სერიოზული უთანხმოება მომიხდა დავით სამხარაძესთანაც, რომელიც, ჯერ ერთი, ხელს უწყობდა ღაჭავას და მეორეც, მან თვითონ მომთხოვა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რაც მის მიერ იმით იქნა ახსნილი, რომ, თუ მე ალექსანდრე ღაჭავას დავთანხმდი, რატომ არ უნდა დავთანხმებულიყავი მას. ეს ბოლო ინციდენტი იმდენად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, რომ კამათიც კი მომიხდა... მე ალექსანდრე ღაჭავასთან მხოლოდ ერთხელ მქონდა სქესობრივი კავშირი, ისიც იმ მიზეზით, რომ საკმაოდ ნასვამი ვიყავი და თავი ველარ დავიცავი. მე ის ციხიდან განთავისუფლების შემდეგაც არ მინახავს“, – ყვება ც.დ.

გირგვლიანის საქმეში მსჯავრდადებულების განთავისუფლებამდე (ისინი პრეზიდენტმა 2009 წლის სექტემბერში შეიწყალა) ორი წლით ადრე სამსახური დაატოვებინეს ც.დ-ს, ამის მიზეზად ის სწორედ ალექსანდრე ღაჭავასთან ციხეში არსებულ ურთიერთობას ასახელებს.

„საბოლოოდ #10 დაწესებულებაში დაწყებულ რეორგანიზაციაში მომაყოლეს და შტატების შემცირების მიზეზით დამითხოვეს სამსახურიდან, თუმცა ჩემი განთავისუფლების რეალური მიზეზი სწორედ ალექსანდრე ღაჭავასთან ურთიერთობა და დავით სამხარაძისთვის ნათქვამი უარი იყო“, – ამბობს ც.დ.

მისივე განცხადებით, ზემოხსენებულ პრივილეგირებულ პატიმრებს ხშირად სტუმრობდნენ გარედან, რომელთა რეგისტრაციაში გატარება არ ხდებოდა, ციხის ადმინისტრაცია კი პრაქტიკულად მათ მომსახურე პერსონალს წარმოადგენდა.

„ღაჭავასთან და მასთან ერთად მყოფ პირებთან ბევრი ხალხი მოდიოდა. ოჯახის წევრების გარდა, რეგისტრაციას არავინ გადიოდა. ეს ყველაფერი კი ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე არ მოხდებოდა. თემურ ტაბაღუა თითქმის სულ ამ მსჯავრდებულებთან იმყოფებოდა, ხოლო მისი მოადგილე მურად გაბუნია ლამის მოახლედ ჰყავდათ. იგივე შეიძლება ითქვას გარე დაცვის სამსახურის უფროს დავით სამხარაძეზეც, რომლის ნებართვისა და დანარჩენ პირებთან შეთანხმების გარეშე, სტუმრების ურეგისტრაციოდ შესვლა შეუძლებელი იქნებოდა“, – წერს ჩვენების დასასრულს ც.დ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# „ჩემთვის ცნობილი არ არის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ კვლავ დავრჩები თუ არა ამ პოზიციაზე“



## „მოხდება თუ
## ცალკეული მტკიცებუ
## ამის პროგნოზირ



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**„პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მთავარ პროკურორთან, რომელმაც შესაძლოა, უახლოეს დღეებში თანამდებობა დატოვოს. ჩვენთან საუბარში ამ ინფორმაციას არჩილ კბილაშვილი ხაზგასმით არ უარყოფს და ამბობს, რომ „ჯერჯერობით მისთვისაც უცნობია ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ კვლავ დარჩება თუ არა მთავარი პროკურორის პოზიციაზე“. ერთ-ერთი ვერსიით, კბილაშვილს გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე გადაიყვანენ. „არ ვიცი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი... აღნიშნული საკითხი მაქსიმუმ, 25 ნოემბერს გადაწყდება“, – ამბობს მთავარი პროკურორი.**

სანამ არჩილ კბილაშვილის პროკურატურაში ყოფნა-არყოფნის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, ჩვენ მას რამდენიმე აქტუალურ თემაზე ვესაუბრეთ. მაშ ასე, რატომ შეიძლება თქვას უარი პროკურატურამ ჟვანიას საქმეზე ცალკეული მტკიცებულებების გასაჯაროებაზე? ფიგურირებენ თუ არა ჟვანიას საქმეში გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირები? დამარცხდა თუ არა ქვეყნის საგამოძიებო ორგანო ზურაბ ადეიშვილთან სამართლებრივ დავაში? რამდენად კმაყოფილია ის ბაჩო ახალაიას პროცესებზე პროკურატურის მუშაობით და წაუყენებენ თუ არა ახალ ბრალს ახალაიას?

**– ბატონო არჩილ, არჩევნების შემდეგ, ანუ კოაბიტაციის დასრულების პარალელურად, როგორ შეიცვლება პროკურატურის მუშაობა? აისახება თუ არა კოაბიტაციის დასრულება თქვენს მუშაობაზე და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესზე?**

– პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და სისხლის სამართლის სფეროში იმ პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არის შემუშავებული. პოლიტიკის განსაზღვრა უახლოეს დროში მოხდება, როდესაც ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილება დადასტურდება და ახალი მინისტრთა კაბინეტი ჩამოყალიბდება. ეს არის პასუხი იმაზე, რაზეა დამოკიდებული პროკურატურის სამომავლო პოლიტიკა. ჩემი პოზიცია და საქმიანობის ზოგადი პრინციპი კი ის გახლავთ, რომ პროკურატურამ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა განახორციელოს ყველა იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა. დაყოფა არ უნდა მოხდეს ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების მიხედვით.

**– გაქვთ თუ არა რაიმე წინაპირობა, რომელიც განსაზღვრავს თქვენს გადაწყვეტილებას, დარჩეთ მომავალ მთავრობაში? რა შემთხვევაში შეიძლება თქვათ უარი ახალ პრემიერთან თანამშრომლობაზე?**

– ჩემთვის ცნობილი არ არის, ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ კვლავ დავრჩები თუ არა ამ პოზიციაზე, რადგან ეს საკითხი წყდება იუსტიციის მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის მიერ. ჯერ ცნობილი არ არის ახალი პრემიერის სამომავლო პოზიცია. იმისთვის რომ მთავარი პროკურორის პოსტზე მუშაობა გავაგრძელო, ორი პირობაა საჭირო. ერთი – ახალ პრემიერს უნდა ჰქონდეს ამის სურვილი და მეორე – ჩემთვისაც უნდა იყოს შესაძლებელი მასთან მუშაობა. რადგან ამ ეტაპზე ახალი პრემიერის ვინაობა უცნობია, არ შემიძლია განვსაზღვრო, რამდენად შესაძლებელია მასთან მუშაობა, ისევე როგორც შეუძლებელია ახალი პრემიერის პოზიციის ცოდნა ჩემთან დაკავშირებით.

**– ჟვანიას საქმეზე თქვენ ბრძანეთ, რომ ოფიციალურად ჯერ არანაირი ვერსია არ არსებობს... ოჯახი თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს იყო მკვლელობა. გასაგებია, რომ მკვლელობის ვერსიას განიხილავს საგამოძიებო ორგანო, მაგრამ რამდენად შესაძლებელია გამოძიების კვალმა უბედური შემთხვევის ფაქტი დაადასტუროს?**

– რომელიმე ვერსიის დადასტურება ნიშნავს სხვა ვერსიის გამორიცხვას, რაც თავისთავად ხელისშემშლელია გამოძიებისთვის, ამიტომ, როცა ვამბობთ, რომ ვმუშაობთ ყველა ვერსიაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე რომელიმე ვერსიის პრიორიტეტულობის ან სხვა ვერსიის გამორიცხვის ხმამაღლა გაცხადების შესაძლებლობა არ გაგვაჩნია.

**– სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ჟვანიას საქმეზე ყველამ, მათ შორის ოჯახის წევრებმაც, ყველაფერი კარგად იცისო და თავის დროზე ეს საქმე იმიტომ არ გასაჯაროვდა, რომ ზურაბ ჟვანიას სახელს გავუფრთხილდითო.. შემდგომი სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, აპირებთ თუ არა საქმის მასალების მთლიანად გასაჯაროებას, თუ შეიძლება გამოძიების დასრულების შემდეგაც ამ საქმის რაღაც ნაწილი კვლავ დაფარული დარჩეს? ანუ ყველა კითხვას გასცემთ პასუხს?**

– სრული ინფორმაცია მომხდარის შესახებ საზოგადოებას მიეწოდება გამოძიების დასრულების შემდეგ. ამავდროულად, მოხდება თუ არა ცალკეული მტკიცებულების გასაჯაროება, ახლა ამის პროგნოზირება ჩემთვის ძნელია და ეს გადაწყდება კონკრეტულ სიტუაციაში, მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე, მაგრამ ვიმეორებ, ეს ხელს არ შეუშლის საზოგადოებას, გაიგოს სრული სიმართლე მომხდართან დაკავშირებით.

**– შეგიძლიათ, დაგვიდასტუროთ, ან უარყოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჟვანიას საქმესთან კავშირში არიან ის პირები, რომლებიც თავის დროზე გირგვლიანის საქმეში ფიგურირებდნენ?**

– ამ საკითხს ამ ეტაპზე ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რადგან



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თავარ პროკურორთან



## „არ არის გამორიცხული, რომ ახალაიას ბრალი სხვა საქმეზეც წაეყენოს“

## არა ჟვანიას საქმეზე ლების გასაჯაროება, ება ჩემთვის ძნელია“

დება, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, შევაფასოთ ის წარმატებულად ან წარუმატებლად. ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ინტერპოლის სამდივნო დეტალურად ცდილობს, გაარკვიოს ძებნის გამოცხადების საკითხი.

**– რაც შეეხება ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას... გასაგებია, რომ სახელმწიფოს უჭირს ამაზე ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა არის კონკრეტული საკითხები, რომელიც ბიუჯეტიდან არანაირ დანახარჯს არ მოითხოვს... შეგახსენებთ იგივე „თბილავიამშენის“ მაგალითს, რომლის მფლობელებიც ითხოვენ მარტივ რამეს – შეისწავლოს პროკურატურამ ეს საქმე და დაუბრუნდეთ ქონება, რომელიც ამჟამად სახელმწიფო ბალანსზეა და სახელმწიფოსგან არანაირ დანახარჯს არ მოითხოვს... რატომ ვერ ხერხდება ამ ტიპის ქეისებზე გადაწყვეტილების მიღება?**

– საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, საჭიროა მკაფიო და ყოვლისმომცველი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. თქვენ მიერ დასმული საკითხი ამ თემის ერთ-ერთი შემადგენელია. მიმაჩნია, რომ იმ ტიპის საკითხები, როდესაც შესაძლებელია ჩამორთმეული საკუთრების აღდგენა, ისე, რომ ის არ უკავშირდება სხვათა უფლებების დარღვევას და არც სახელმწიფოს აყენებს ზიანს, შესაძლებელია და უნდა განხორციელდეს, მაგრამ ეს მაინც საერთო პოლიტიკის საფუძველზე უნდა მოხდეს.

**– პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ გააკეთა განცხადება უშიშროების საბჭოს მიერ თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე... თუ შეგიძლიათ იმის თქმა, რომ დღის წესრიგში დადგება გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი?**

– უშიშროების საბჭოს 2011-12 წლების ხარჯთაღრიცხვა იწვევს კითხვის ნიშნებს. ამ პერიოდში 26 მილიონამდე შეადგენს უშიშროების საბჭოს მიერ საკონსულტაციოდ გაღებული თანხები. ამ თანხის მოცულობა ბადებს ეჭვს, მით უმეტეს, რომ დიდი ნაწილი ნაღდი ფულის სახით იქნა გაცემული. ამის შესწავლას აწარმოებს აუდიტის სამსახური და ვნახოთ, რა დასკვნას დადებს ეს ორგანო. ფინანსური აუდიტის დასრულების შემდეგ დაიწყება გამოძიების მეორე ფაზა. ჯერ უნდა დადგინდეს ფაქტი და შემდეგ ადამიანები, ვისი პასუხისმგებლობაც შეიძლება იკვეთებოდეს. ლოგიკურად უშიშროების საბჭოს მდივანი, ალბათ, მოხვდება დასაკითხ ადამიანთა წრეში.

**– დაბოლოს, რამდენად რეალურია ხმები, რომ ძალოვნებს შორის არსებობს მძაფრი კონკურენცია, რაც ხშირად დაპირისპირების სახეს იღებს?**

– თუ პროკურატურისა და სხვა ძალოვანი უწყების დაპირისპირებას გულისხმობთ, ჩვენს შორის არანაირი დაპირისპირება არ არის და არც ის გამიგია, რომ სხვა ძალოვან სტრუქტურებს შორის არსებობდეს დაპირისპირება.

ეს გამოძიების საგანია.

**– ბაჩო ახალაიას საქმეზე რამდენად კმაყოფილი ხართ ბრალდების მხარის მუშაობით? ამას გეკითხებით იმიტომ, რომ ახალაიას სახელი ხშირად არის გაიგივებული ძალიან მძიმე დანაშაულებთან... ეს არის ის მაქსიმუმი, რის გაკეთებაც პროკურატურას შეეძლო ბაჩო ახალაიას საქმეზე?**

– ბაჩანა ახალაიას საქმესთან დაკავშირებით ბრალდების მხარის პოზიცია სრულად იყო დასაბუთებული. ჩვენ სახეზე გვაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს ერთი მოსამართლის გადაწყვეტილება ახალაიას უდანაშაულობის შესახებ. ეს საქმე კიდევ ექვსმა მოსამართლემ უნდა განიხილოს: სააპელაციო სასამართლოში – სამმა და უზენაეს სასამართლოში – სამმა. ამიტომ, როდესაც ჯერ კიდევ წინაა საქმის განხილვის ორი ეტაპი, ნაადრევია საუბარი იმის შესახებ, რომ პირი უდანაშაულოა.

გარდა ამისა, პროკურატურაში მიმდინარეობს სხვადასხვა საქმის გამოძიება და არ არის გამორიცხული, ახალაიას ბრალი სხვა საქმეზეც წაეყენოს.

**– როგორც ცნობილია, გამოძიება არკვევს, რამდენად იკვეთება ახალაიას, კალმახელიძისა და შაშკინის სამსახურებრივი გულგრილობის საკითხი პატიმრების წამების საქმეში... რა ეტაპზეა ეს საქმე და მოხდა თუ არა დიმიტრი შაშკინის, ან ბაჩო ახალაიას დაკითხვა ამ საქმეზე?**

– პატიმრების წამების საქმეში ჩვენ ათასობით პატიმარი დავკითხეთ და მივიღეთ ინფორმაცია მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და წამების შესახებ. ამჟამად, ამ საქმეზე გამოძიება გრძელდება და მიმდინარეობს მუშაობა ცალკეულ უკანონო ქმედებაზე პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს იმის დადგენა, ვინ ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული. მაგრამ ჩვენს წინაშე დგას საკითხი: იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია, რამდენად შესაძლებელია, პასუხისმგებლობის დადგენა ხელმძღვანელი პირისთვის, რომელიც სისტემას ან დარგს ხელმძღვანელობდა. ამიტომ ამ კუთხით მუშაობა გრძელდება, თუმცა წინასწარ რაიმეს პროგნოზირება ძნელია, რადგან მსგავს მასშტაბურ დანაშაულს საქართველოში ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, არც მსგავსი სისტემური დანაშაულის გამოძიების პრეცედენტი არსებობს. ამიტომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს თეორიული მუშაობა, მათ შორის, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

**– თქვენ თქვით, რომ ზურაბ ადეიშვილის წითელ ცირკულარში ჩასასმელად სამჯერ გქონდათ კომუნიკაცია ინტერპოლის ცენტრალურ ბიუროსთან და ამჟამადაც ელით პასუხს. შეიძლება ითქვას, რომ ადეიშვილთან სამართლებრივ დავაში პროკურატურა მარცხს განიცდის?**

– ეს არის პროცესი, რომელიც ადეიშვილის ინტერპოლით ძებნის დაწყებას უკავშირდება და როცა ის დასრულ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან ბერძენიშვილი: „დარწმუნებული ვარ უმცირესობიდან ვე








## სოზარ სუბარი: „თანამდებობიდან წასვლის მცდელობა ორჯერ იყო“

ხათუნა მგალობლიშვილი
ნანა შონია

**ახალი პრემიერის ვინაობა გაირკვა. ახლა მნიშვნელოვანია, ირაკლი ღარიბაშვილი ვის დატოვებს, ან ვის გაუშვებს საკუთარი გუნდიდან. დეტალები, როგორც თავად უკვე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, ჯერ გარკვეული არ არის. მას მოსაფიქრებლად დრო სჭირდება. პირველ რიგში, საკუთარ შემცვლელზე. მედიასთან შეხვედრისას ღარიბაშვილმა პირდაპირ განაცხადა, ვისურვებდი, ეს კითხვები ოდნავ მოგვიანებით დაგესვათო... ბუნებრივია, ცვლილების მოლოდინი ყველას აქვს. ეს მათ პასუხებზეც ეტყობათ. მაგალითად, პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენთან საუბრისას გულწრფელად განაცხადა, მირჩევნია, მაშინ ჩამწეროთ როდესაც ხელახლა დავიკავებ თანამდებობას ოფიციალურადო...**

ვინ დარჩება და ვინ შეიცვლება, ამას 17 ნოემბრის შემდეგ გავიგებთ, თუმცა სოზარ სუბარი რომ შეუცვლელია, ეს ფაქტია და ამას სასჯელაღსრულების ხელმძღვანელი თავად ადასტურებს. როგორც ირკვევა, სუბარს თანამდებობის დატოვების ორი მცდელობა ჰქონდა, თუმცა ივანიშვილმა გაანალიზების შემდეგ ის პოსტზე მაინც დატოვა. თუმცა ბუნებრივია „ამ ეტაპზე“...

**სოზარ სუბარი, სასჯელაღსრულების ხელმძღვანელი:**

– ირაკლი ღარიბაშვილმა შეიძლება ითქვას, შეძლო შეუძლებელი. პოლიცია, რომელიც იყო აბსოლუტურად პოლიტიზებული მთლიანად ჩააყენა ხალხის სამსახურში. თანაც ისე, რომ ამას არანაირი რყევა არ გამოუწვევია და ეს ყველაფერი მოხდა ამნისტიის ფონზე. ირაკლი მთელ წინასაარჩევნო პერიოდში, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდით, იყო ერთ-ერთი ის ადამიანი, ვინც პირველ რიგებში იყო გამარჯვებისთვის ბრძოლაში. პრინციპში, ყველაზე მეტი ზეწოლა წინა ხელისუფლებისგან სწორედ ღარიბაშვილსა და მის ოჯახზე იყო.

**– ფიქრობთ, რომ დარჩებით ახალ მინისტრთა კაბინეტში?**

– არა, მე ნამდვილად დავრჩები ჩემს თანამდებობაზე, იყო პერიოდი, როდესაც წასვლას ვფიქრობდი, უფრო სწორად მოლაპარაკებები იყო გადასვლაზე. პრემიერთან მქონდა საუბარი, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ, თუმცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდი, რომ ვრჩები თანამდებობაზე.

**– როდის ფიქრობდით წასვლას და სად აპირებდით?**

– წასვლის მცდელობა ორჯერ იყო... აღარ მინდა ამის გაგრძელება...

**– ალბათ, მაშინ, როდესაც მძიმე ფაქტები დაფიქსირდა სასჯელაღსრულებაში...**

– არა, არა... განიხილებოდა თემაც, რომ უნდა გადავსულიყავი სხვა თანამდებობაზე, ისევ მთავრობაში. მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილთან იმაზეც მქონდა საუბარი, რომ ჩემი გამოცდილებით, ჩემი წარსულით, მე ყოველთვის გული მიმიწევდა და მიმიწევს სამთავრობო სექტორისკენ... თუმცა თუ ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა საზოგადოებრივ სექტორში, მეც ჩემს თავს ვხედავდი მის გვერდით. ესეც ვუთხარი, თუმცა მისი პოზიცია იყო, რომ მთავრობაში საჭიროა იყოს ის გუნდი, რომელიც მოვიდა თავიდანვე, რომელმაც დაიწყო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, დაიწყო რეფორმების გატარება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რამე არ შეიცვლება, მაგრამ ამ ეტაპზე მე ვრჩები.

**– ჩართული ხართ თუ არა „ხუდონჰესის“ საკითხის მოგვარებაში და როგორია თქვენი პოზიცია?**

– „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით, ბუნებრივია, მე ჩართულიც ვარ და ჩემი დიდი ინტერესიც არის ამ საკითხის მიმართ. ერთი მხრივ, ეს არის ჰესი, რომელიც ძალიან სჭირდება ქვეყანას და მეორე მხრივ, არის ხალხის ინტერესები. იქ პირდაპირ ჩემს სოფელში შემოდის და მოსახლეობასთან ურთიერთობა არის უმნიშვნელოვანესი. შეხვედრაზე სოფელ ხაიშში ვიყავი ბიძინა ივანიშვილთან ერთად არჩევნებამდე, მაშინ დაიდო პირობა, რომ ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებით მოხდებოდა ყველა საკითხისა და პრობლემის მოგვარება, თუმცა მაშინ არ თქმულა, რომ ჰესი არ აშენდებოდა. დღეს ხშირად ამბობენ, რომ ივანიშვილმა მოსახლეობას პირობა მისცა, ჰესი არ აშენდებაო. ასე ნამდვილად არ ყოფილა, პირადად ვესწრებოდი ამ შეხვედრას. ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ შევისწავლიდით, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ჰესის აშენება ქვეყნისთვის და აუცილებლად მოხდებოდა ადგილობრივებთან კონსულტაციებიც.

### ღარიბაშვილს მხარს ნაციონალებიც დაუჭერენ

ირაკლი ღარიბაშვილს პარლამენტში უმცირესობის გარკვეულმა ნაწილმაც შეიძლება დაუჭიროს მხარი. ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში შეიძლება ბევრი უცნაურობა მოხდეს და უმრავლესობის პარალელურად ნაციონალების წევრებმაც მისცენ ხმა.

თავად უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრემიერის შემცვლელად საუკეთესო კანდიდატი დასახელდა, რადგან ღარიბაშვილმა შსს-ში მოღვაწეობით „მოულოდნელ წარმატებას“ მიაღწია. ახლა კი იმ სფეროში გადადის, რომელიც მისთვის ნაცნობი და აპრობირებულია...

**ლევან ბერძენიშვილი, უმრავლესობის წევრი:**

– ამ პერიოდის განმავლობაში ყველაზე ეფექტიანი სამუშაო გასწია შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ყველაზე რთული მომენტებიც სწორედ მათ ჰქონდათ, გავიხსენებ თებერვლის პერიოდს, მაისის თვეს, როდესაც ძალიან რთული ამოცანა უნდა გადაეწყვიტა. ეს იმას ნიშნავს, რომ რთულ მომენტებში უწყების ხელმძღვანელი ძალიან კარგად იქცეოდა. სამინისტრო აეწყო, ძალიან კარგად მუშაობს, არავის მასთან პრეტენზია არ აქვს, ღარიბაშვილი არ ყოფილა სამხრეებიანი და არ მოსულა სისტემიდან. ამიტომ ჩვენთვის ის განსაკუთრებით პატივსაცემია, რადგან ის სამოქალაქო სექტორიდან მოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და ყველაფერს კარგად გაართვა თავი. ამიტომ თავიდან, როცა ითქვა, რომ პრემიერის შემცვლელი იქნებოდა გუნდიდან, ყველაზე მეტად სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის დასახელება იყო მოსალოდნელი. ჩემთვის არანაირად არ ყოფილა მოულოდნელი. თუ ჩვენ ამ გუნდს ვენდობით, ნამდვილად გამორჩეულია იქ ღარიბაშვილი. პარლამენტში მას ნამდვილად ექნება ჩვენი სრული მხარდაჭერა. რაც შეეხება უმცირესობას, მე ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე ნებისმიერი კანდიდატისთვის დაეჭირა მხარი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილს არ ექნება უმცირესობის მხარდაჭერა თუ უცნაურობები არ მოხდება

**– შეიძლება მოხდეს?**

– შეიძლება ვიღაცებმა გამოუცხადონ ნდობა. ყოველ შემთხვევაში ღარიბაშვილის დასახელებით გაკვირვებული და გაოგნებული არავინ არ იქნება, დარწმუნებული ვარ და ვერც ვერავინ იტყვის უმცირესობიდან, რომ ამ კანდიდატის დანიშვნით ქვეყანა დაიღუპება.

**– რამდენად გაართმევს თავს ახალი პრემიერი ეკონომიკურ პრობლემებს?**

– ღარიბაშვილი სწორედ ეკონომიკური სფეროდან არის, მისთვის გამოცდა უფრო შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო და შესაბამისად, ამ უწყებაში მიღწეული წარმატება იყო მოულოდნელი, თორემ ეკონომიკურ სფეროში ის ძალიან კარგადაა გარკვეული. ამ მიმართულებით ღარიბაშვილს დიდი გამოცდილება აქვს და ფინანსებში კარგად გარკვეულია. ეს მისი ძლიერი მხარეა. დარწმუნებული ვარ, ის თავს გაართმევს. გარდა ამისა, პირდაპირ ვთქვათ, სორბონა უბრალო უნივერსიტეტი არ არის ევროპაში, მისი კურსდამთავრებულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ის იყო ნამდვილი ევროპელი სტუდენტი.

**– თუმცა კარგად გვახსოვს, რომ ახალგაზრდა თანამდებობის პირების დანიშვნის გამო თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს ოპოზიცია გამუდმებით აკრიტიკებდა...**

– მე არასოდეს ვაკრიტიკებდი... მე შევარდნაძის შემდეგ ასაკთან დაკავშირებით არასოდეს გამომითქვამს კრიტიკა. მთავარია, მოხუცი არ იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანა ჩაიბაროს იმან, ვინც ამ ქვეყანაში აპირებს ცხოვრებას და არა იმან, ვინც ამქვეყნიდან იმქვეყნად გადასახლებას აპირებს. ახალგაზრდობის გამო არასოდეს არ გავაკრიტიკებ კაცს.

**– მცირე ცვლილებები იქნება მინისტრთა კაბინეტშიო და შეიძლება ეს ირაკლი ალასანიას შეეხოს?**

– მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს არ ველოდები. ჩემი აზრით, უნდა შენარჩუნდეს არსებული გუნდი, რაც შეეხება ირაკლი ალასანიას ამაზე გაკეთდა მინიშნება და ვფიქრობ, რომ ის დარჩება თავის თანამდებობაზე.

### ღარიბაშვილმა პარტიაც ჩაიბარა

„ოცნების“ დღის წესრიგში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ განვითარების საკითხიც დადგა. პარტიის თავმჯდომარედ ყრილობაზე ახალი პრემიერი დასახელდება და ქვეყანასთან ერთად ივანიშვილის მი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რავინ იტყვის, ამ კანდიდატის დანიშვნით ქვეყანა დაიღუპებაო“

# ღარიბაშვილს მხარს ნაციონალებიც დაუჭერენ

## EXCLUSIVE








ერ დაარსებულ პარტიასაც სწორედ ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს.

**არმაზ ახვლედიანი:**

– საუკეთესო არჩევანია, მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოში არა მხოლოდ სტაბილური ეკონომიკური წინსვლა იყოს, არამედ სტაბილური დემოკრატიული განვითარება. ეს ცვლილებები მთავრობაში, ახალი პრემიერი, ახალი პრეზიდენტი და ეს პოლიტიკური გუნდი ამ ცვლილებების გარანტი იქნება.

**– ცვლილებები პარტიაშიც იგეგმება...**

– პარტიას ეყოლება ახალი თავმჯდომარე, ეს იქნება ახალი პრემიერი. პარტია გაძლიერდება. გაძლიერებაში ვგულისხმობ იმას, რომ იქნება მეტი დემოკრატია და მეტი წესრიგი.

**– მეტი დემოკრატიულობა რას ნიშნავს?**

– იმას, რომ ჩვენ გვინდა გავხდეთ ევროპული ყაიდის პარტია.

### სხვა კომენტარები

მოქმედი მთავრობის წევრებს მაინცდამაინც არ ახარებთ ივანიშვილის გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ასეთია მათი ოფიციალური პოზიცია. ბუნებრივია, შიში, რომ ივანიშვილის გარეშე ისინი ერთად ყოფნას ვერ შეძლებენ, თავადაც აქვთ. სწორედ ამიტომ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩამნაცვლებელს. ღარიბაშვილი მთელი გუნდისთვის მისაღები აღმოჩნდა.

**მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:**

– ძალიან კარგი ცვლილებებია, ძალიან სამწუხაროა ჩემთვის, რომ ბატონი ბიძინა ტოვებს პოლიტიკას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მან ღირსეული შემცვლელი დატოვა.

მინისტრების ნაწილს უკვე კითხვებიც აქვს მომზადებული ახალი პრემიერისთვის. მაგალითად, პაატა ზაქარეიშვილს აინტერესებს, როგორ აპირებს პრემიერი კონფლიქტების მოგვარებას, რა გზებს განიხილავს ამისთვის და რომელი მეთოდების გამოყენებას აპირებს. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, კითხვების რაოდენობამ სამ გვერდსაც კი გადააჭარბა...

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– ჩემი აზრით, მთავრობის ძირითადი შემადგენლობა უნდა დარჩეს. მე მზად ვარ, ანგარიშით მათ წინაშე წარდგენისთვის უკვე ჩამოვაყალიბე კითხვების ნუსხა, რომელმაც სამი გვერდი გაავსო. ეს კითხვები ეხება კონფლიქტებს, რელიგიურ უმცირესობებს, ყველაფერ იმას, რაც მე მეხება. გამზადებული მაქვს ეს ყველაფერი და უნდა წარვუდგინო, როგორც პრეზიდენტს, ასევე პრემიერ-მინისტრს, უშიშროების საბჭოს მდივანს. მე მათ უნდა ვუთხრა, რომ ამ საკითხებზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს ამავდროულად იქნება ანგარიში იმაზე, თუ რა გაკეთდა ერთი წლის მანძილზე, რა მიღწევებია, რა კონტაქტებია, რა პრობლემებია, რა ჩავარდნებია, ამ ყველაფერზე უნდა ვილაპარაკოთ. ამდენი ხნის განმავლობაში თქვენ იცით, რომ პრეზიდენტი მომსახურების არეალიდან იყო გასული და ის ოპოზიციაში იყო ქვეყანასთან. მასთან შეუძლებელი იყო ლაპარაკი, ასევე, შეუძლებელი იყო ლაპარაკი უშიშროების საბჭოს მდივანთან, ერთადერთი პრემიერ-მინისტრთან მქონდა მუდმივი კონტაქტი და სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილთან, როგორც მოქმედ შინაგან საქმეთა მინისტრთან. მათ ყოველთვის ვაყენებდი საქმის კურსში და ირაკლი ღარიბაშვილთან ჩემი საქმიანობა არ დაიწყება ახალი ფურცლიდან. იგივე საკითხების განხილვა გაგრძელდება, მას შეეცვალა სტატუსი, გახდა უფრო მაღალი დონის, მაგრამ მან იცის, რასაც ვაკეთებ მე. ასე რომ, მე როგორც ამდენ ხანს ვთანამშრომლობდი უმაღლეს თანამდებობის პირთან. ახლა მე სამი უმაღლესი პირი მეყოლება ეს არის პრემიერი, პრეზიდენტი და უშიშროების ახალი მდივანი. აქვე მე გავაგრძელებ თანამშრომლობას ახალ შს მინისტრთან.

**გია ხუხაშვილი:**

– ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა ოპტიმალური და საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. ჩემი უმცროსი მეგობარია, ვულოცავ და წარმატებებს უსურვებ მთელი გულით. მე ვფიქრობ, რომ გარდა იმისა, რომ დღეს ის ყველა მონაცემით ფლობს ყველა რესურსს, ის მზარდია, ახალგაზრდაა.

**– სამთავრობო ცვლილებებზე რას იტყვით? როგორ ფიქრობთ, უნდა ველოდოთ სიახლეს?**

– მე რამდენადაც ვიცი, ბევრი არაფერი ცვლილება მთავრობაში არ მოხდება, მთავრობა წარმატებულია საკმაოდ და რატომ უნდა შეიცვალოს, დიდი რყევები მას არ ემუქრება.

**– ალასანიასთან მისი თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

– მე ვფიქრობ, რომ ალასანიასთან თანამშრომლობა კოლეგიალური იქნება, ჩვენ ყველა ერთ ნავში ვზივართ და ყველამ ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ. პირადი აქ არაფერ შუაშია, როგორც იტყვიან, „ნიჩევო ლიჩნავა“. ყველა მეგობარი ვერ იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთამენთთან არ ვიმუშაოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველო საერთაშორ

მარიამ ნადირაძე

**შევიტყვეთ, რომ უკრაინის „რადამ“ უკვე დაიწყო გამოძიება პრეზიდენტ იუშჩენკოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოსთვის შეიარაღებისა და ძვირადღირებული ტექნიკის მიყიდვაზე.**

**პარალელურად, საქართველოში მთავარი პროკურატურა და თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია შეისწავლის მასალებს ასეთ შესყიდვებზე 2004-2009 წლებში. საქმე საკმაოდ სერიოზულია და როგორც ჩვენი რესპონდენტი გვიამბობს, იკვეთება ძალიან საეჭვო სქემა იმის თაობაზე, როგორ ხვდებოდა რუსული იარაღი ირანსა და სირიაში საქართველოსა და უკრაინის ხელშეწყობით.**

**ყოფილმა პოლიტპატიმარმა, პოლკოვნიკმა ტრისტან წითელაშვილმა „პრაიმტაიმს“ წარმოუდგინა დოკუმენტაცია იმ შესყიდვებთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველო 2004 წლიდან აწარმოებდა.**




## ხვდებოდა თუ არა რუსული იარაღი ირანსა და სირიაში საქართველოს გავლით?

**ტრისტან წითელაშვილი:**

– ეს ყველაფერი უკრაინაში დაიწყო 2004 წლიდან. იქ ფუნქციონირებს ასეთი სახელმწიფო კომპანია: „უკრსპეცექსპორტი“, რომელიც ტექნიკისა და შეიარაღების გაყიდვის პროცესებს განაგებს. სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა ამ კომპანიასთან დაამყარეს კავშირი. ჩაერთო ორი ქვეყნის პრეზიდენტი და დაიწყეს იარაღისა და ტექნიკის შესყიდვა. ამაში უცნაური არაფერი იქნებოდა, ყველაფერი კანონიერების ფარგლებში რომ ყოფილიყო. განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო საჰაერო თავდაცვის ტექნიკაზე. 2008 წლის ომმა გვიჩვენა, რომ ჩვენი საჰაერო სივრცე აბსოლუტურად დაუცველი იყო და რუსული ბომბდამშენები თავისუფლად დათარეშობდნენ ჩვენს საჰაერო სივრცეში. როდესაც ამ თემაზე დავიწყე მუშაობა, მქონდა ინფორმაცია, რომ ჩვენ ჰაერიდან ვიქნებოდით დაცული, რადგან ვიცოდით, რომ საქართველოს ჰქონდა შეძენილი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები – „ბუკები“, „კრუგები“ და სხვა დანარჩენი სისტემები.

**– „ბუკები“ საქართველოში ნამდვილად არის...**

– კი ბატონო, ასეთი სისტემები ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ერიცხებოდა, მაგრამ რეალურად იყო ჯართი. 2007 წელს ნამდვილად შეიძინა საქართველომ საჰაერო თავდაცვის სისტემის 9 კომპლექტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბრძოლო მდგომარეობაში იყო ერთი და ისიც ერთი გასროლის შემდეგ გამოვიდა მწყობრიდან. დანარჩენები საერთოდ ძველი იყო. საწვავის ავზები ჟანგისგან იყო შეჭმული, კორპუსებში კი ბალახები – ამოსული. არც ერთი „ბუკი“ არ დაიქოქა 2008 წლის ომის დროს. 2007 წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 500 მილიონს შეადგენდა და მერე, პარლამენტის დადგენილებით, როდესაც გივი თარგამაძე იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, დასხდნენ სააკაშვილი, კეზერაშვილი, თარგამაძე და ამ 500 მილიონს კიდევ 400 მილიონი დაუმატეს. ამ წელს საჰაერო თავდაცვის სისტემების შესაძენად 50 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. როდესაც „ბუკები“ შეიძინეს, მართლაც გამართული სისტემის შესყიდვა მოხდა. მე მაქვს იუშჩენკოს ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ის მიმართავს „უკრსპეცექსპორტის“ ხელმძღვანელს, ბონდარჩუკს, რათა საქართველოს მისცენ საზენიტო სარაკეტო კომპლექსები, 6 დივიზიონი. ბონდარჩუკი პასუხობს, ჩვენ საბრძოლო მდგომარეობაში გვყავს სულ 15 დივიზიონიო. რაზეც იუშჩენკო მიუთითებდა, საქართველოს გადაეცითო, მათ ექსპლუატაციის ვადა 2001 წელს გაუვიდაო. შეთანხმების მიხედვით, როდესაც ქართული მხარე შეიძენდა ტექნიკას, მერე მას საქართველოში უნდა ჩამოჰყოლოდნენ სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე შეასწავლიდნენ პირად შემადგენლობას მისი ექსპლუატაციის წესებს. უკრაინელმა სპეციალისტებმა იქ რუსეთიდან მიიღეს ახალი ტექნიკა...

**– ახლა არ მითხრით, ძველი გადმოგვეცაო?**

– არა... როცა გაირკვა, რომ ვადაგასული ტექნიკა იყო, უკრაინამ შეიძინა თავდაცვის სისტემები რუსეთიდან და გადმოგვცა ჩვენ. იქ, ადგილზე, ქართველებმა გარკვეული სწავლება გაიარეს, ტექნიკა გამზადდა სრულ საბრძოლო მდგომარეობაში. როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა, ფოთის პორტში შემოვიდა და იქ აღმოჩნდა, რომ ეს სისტემები იმდენად მწყობრიდან იყო გამოსული, რომ პორტიდან სპეციალური მანქანებით წაიღეს, ვერ დაქოქეს...

**– თუ კარგი იყიდეს, ცუდი როგორ ჩამოვიდა? სადმე შეცვალეს?**

– საქმეც სწორედ ეს არის... აგერ, ბატონო (გვაჩვენებს დოკუმენტს. – მ.ნ.), ილიჩევსკიდან გამოიგზავნა „ბუკ მ1“... რეალურად რაღაცები მიიღო თავდაცვის სამინისტრომ, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რაც არ მიუღია და ფული გადაიხადეს... ერთი სიტყვით, ამ ტექნიკის ჩამოსვლის შემდეგ ცოტა ხანში ის უკრაინელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ, ვისაც აქ, ადგილზე, სწავლება უნდა ჩაეტარებინა პირადი შემადგენლობისთვის. ისინი გაოცდნენ, ეს რა არის, ჩვენ ეს ტექნიკა იქ არ მიგვილიაო. მეორე დღესვე სასწრაფო წესით გაუშვეს ეს ხალხი. უკრაინელი სპეციალისტები გაოცებულები იყვნენ, ეს ის ტექნიკაა, რომელიც უკრაინაში მეხუთე კატეგორიაში გვყავდა და უნდა დაგვეჭრაო. მაგრამ აქ მთავარი ეს ჯერ კიდევ არ არის. მთავარი ის არის, რომ ჩვენი ჯარისთვის განკუთვნილი ტექნიკა რეალურად სხვა ქვეყანაში გავიდა. იმ ქვეყნებში, რომლებსაც ემბარგო ადევს და უფლება არ აქვთ, შეისყიდონ ტექნიკა და შეიარაღება.



**– რა ქვეყნებზე საუბრობთ?**

– მაქვს კონკრეტული ინფორმაციები როგორც ახლა თქვენ უკრაინიდან ჩამოსულ დოკუმენტაციას გაცნობთ, ასეთივე დოკუმენტაციას ველოდები მე ამ ქვეყნებიდან... სავარაუდოდ, სირია და ირანი...

**– რუსეთი შეიარაღებას აძლევდა უკრაინას, უკრაინა – საქართველოს, საქართველო კი – ირანსა და სირიას? გამოდის, რომ რუსეთი შეფარვით აძლევდა ამ ქვეყნებს იარაღს ამ მარშრუტით?**

– სწორედ ასეა... საქართველოს თურმე კიდევ აქვს ნაყიდი „ოსა“, „კუბი“ და „კრუგი“... „კუბი“ და „კრუგი“



ტრისტან წითელაშვილი

## რისთვის აჩუქა სააკაშვილმა იუშჩენკოს ორი დაჯავშნილი „ლენდ როვერი“?


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ისო სკანდალში ეხვევა?!

## რა ბრალდებები დაემატება ახალაიასა და კეზერაშვილის ბრალდებების ნუსხას?









## მივა თუ არა საქმე ჰააგის ტრიბუნალამდე?

რეალურად საერთოდ არ არსებობს საქართველოს შეიარაღებაში. მაგრამ თურმე ესეც 2007 წელს მიგვიღია და შემოგვიტანია. გამყიდველი იგივე კომპანიაა. რაოდენობა – 2-2 კომპლექტი. ეს არის გაუმჯობესებული, თანამედროვე ტექნიკა, რომელიც საფრენ აპარატს კი არ აზიანებს, ანადგურებს. 8-8 რაკეტით არის აღჭურვილი და თან დაჰყვება თავისი საბრძოლო მარაგი. საქართველოში ამ ტიპის სისტემები რომ გვქონოდა, ჩვენს საჰაერო სივრცეში რუსული ბომბდამშენები ვერ გაიჭაჭანებდნენ.

**– თქვენ ძალიან სერიოზულ ბრალდებას გამოთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო ორი ქვეყნის პრეზიდენტის თაღლითური გარიგება?**

– სწორედ ასე იყო. იმის დოკუმენტიც მაქვს, საჩუქრად როგორ გადასცა ორი დაჯავშნილი „ლენდროვერი“ სააკაშვილმა იუშჩენკოს. 2007 წელს საქართველოს მხარეს შეძენილი აქვს „იგლა“, „სტრელა“. მე სამხედრო საქმის სპეციალისტი ვარ და პირდაპირ გეტყვით: 2008 წლის ომის დროს მართლა რომ ჰქონოდა ჩვენს შეიარაღებას 250 ცალი „იგლა“ და ჯაჭვისებურად გაგვეშალა მეზენიტეები ფრონტის ხაზზე, ამ დღეში არ ჩავვარდებოდით. ეს არის სითბური რაკეტა, რომელიც მიზანს იჭერს და აღარ შორდება. სად წავიდა ეს ყველაფერი? ეს ჩვენ რეალურად არ გვქონდა, მაგრამ ნაყიდი ნამდვილად იყო უკრაინაში. 2008 წლს ნაჩვენებია, რომ 8 აგვისტოს საქართველოში ტვირთია ჩამოსული. ეს გამორიცხულია, რადგან იმ დროისთვის მთელ სივრცეს რუსები აკონტროლებდნენ. საუბარია ტყვიამფრქვევებზე, ნაღმმტყორცნებზე. იმ ტიპის შეიარაღებაზეა საუბარი, რომელიც გამოიყენება შეტევით ოპერაციებში. ეს ტვირთიც იმ ქვეყნებში წავიდა, სადაც ჩვენ ვვარაუდობთ. ჩვენ ვმუშაობთ როგორც სირიის, ისე ირანის მიმართულებით. ჩვენ უკვე დავამყარეთ კონტაქტები იმ ქართველებთან, რომლებიც გვეხმარებიან გარკვეულ საკითხებში. პირადად ჩვენი წარმომადგენლები არიან გაგზავნილი იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩამოიტანენ შესაბამის მასალებს. მათ თქვენ აუცილებლად წარმოგიდგენთ. ეს ოპერაციები იცით, როგორ ხდებოდა? სეიშელის კუნძულებზე, ოფშორში დარეგისტრირდა ფირმა „ბელ ტრეინგი“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხები ამ ფირმაში ირიცხებოდა. ვთქვათ, გადარიცხეს 100 მილიონი. აქედან 80 მილიონი იქ რჩებოდა და 20 მილიონი მიდიოდა „უკრსპეცექსპორტში“ იმ მწყობრიდან გამოსული ტექნიკის შესაძენად. ასე ილექებოდა ოფშორში მილიარდები, რომელიც ნაციონალების თავკაცებმა საკუთარ ე.წ. „ობშიაკად“ აქციეს. ასეთი სქემით გროვდებოდა ეს ყველაფერი.

**– რამდენად რეალურია ის დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც თქვენ ამას საუბრობთ?**

– მე უკრაინაში დავამთავრე გენშტაბის აკადემია. ჩემი თანაკურსელები იქ დღეს საკმაოდ სოლიდურ თანამდებობებზე არიან და მათი დახმარებით მოვახერხე ამ დოკუმენტაციის შეგროვება. მივმართე ოფიციალური წერილით და მომაწოდეს ეს ყველაფერი. იმათთვის ეს არ არის ტაბუდადებული თემა. თვითონ რადამ დაიწყო გამოძიება ამ საკითხებზე...

**– საქართველოსთვის იარაღის მიყიდვაზე?**

– დიახ. იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს რა ტიპის იარაღი მიეყიდებოდა საქართველოს და რეალურად სად მიდიოდა ეს იარაღი. ბუნებრივია, ამაში ჩართულია საქართველოს მხარეც. ეს მასალები მივაწოდე როგორც პროკურატურას, ისე თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას...

**– როდის?**

– დაახლოებით ერთი თვის წინ. ახლა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ამ საკითხებზე. როდესაც გენერალურ ინსპექციაში შევხვდი წარმომადგენლებს, მათ მითხრეს, რომ გადამოწმების შედეგად ამ დოკუმენტთა მონაცემები რეალური აღმოჩნდა. დღეს თუ ჩვენი სამართალდამცველები ამას არ შეისწავლიან, ხვალ შესაძლოა საერთაშორისო სკანდალის წინაშე აღმოვჩნდეთ...

**– ეს ყველაფერი თუ მართლა შეესაბამება სინამდვილეს, ხვალ კი არა, უკვე დიდი ხანია საერთაშორისო სკანდალში გაგვიყვია თავი...**

– გეთანხმებით. საქმე განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო სამხედრო დანაშაულთან გვაქვს, რომელიც უნდა განიხილოს ჰააგის ტრიბუნალმა. ეს საქმე მარტო საქართველოსა და უკრაინას კი არა, ისეთ ქვეყნებსაც ეხება, რომლისთვისაც ამ ტიპის შეიარაღების მიყიდვა აკრძალულია. სხვათა შორის ამ შესყიდვებსა და გაყიდვებში ფიგურირებს მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანიაც. რუსეთიდან უკრაინაში იარაღის შესვლა სწორედ მისი ჩარევით ხდებოდა. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ მას სირიასთან, ირანთან, მექსიკასთან და სხვა ასეთ ქვეყნებთან იარაღის ბიზნესი ჰქონდა. 2008 წლის ომის დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, თემურ ალასანია გორში იმყოფებოდა. რა ესაქმებოდა მას ომში. ის არის რუსეთის მოქალაქე, რუსული „ფეესბეს“ გენერალ-პოლკოვნიკია. ის იმ მომენტში ოფიციალურად იყო მოწინააღმდეგე მხარე. ის ამ დროს სწორედ ამ ე.წ. შესყიდული იარაღის „გაპრავებისთვის“ იყო ჩამოსული.

**– რას გულისხმობთ?**

– თემურ ალასანიას ამოცანა იყო ეს შეიარაღება და ტექნიკა გატარებულიყო საბრძოლო დანაკარგში და ყველაფერი გასუფთავდებოდა. რეალურად ასეც მოხდა. იმ რაოდენობის შეიარაღებაზე, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ამბობდა, რუსებმა გაიტანესო, გვაქვს ინფორმაცია, რომ მისი მესამედიც არ აქვთ გატანილი რუსებს.

**– აბა, სად წავიდა?**

– იმ ქვეყნებში, სადაც მათ ჰქონდათ გაჩაღებული იარაღის ბიზნესი.

**– თქვენი ინფორმაციით, ვინ იყო ამ ყველაფერში ჩართული?**

– თემურ ალასანია, მიხეილ სააკაშვილი, გივი თარგამაძე და ყველა ის მინისტრი, რომლებიც 2004 წლიდან 2009 წლამდე ხელმძღვანელობდნენ თავდაცვის უწყებას.

**– 2009 წლის შემდეგ თქვენს მიერ წარმოდგენილი სქემა აღარ მუშაობდა?**

– მე დოკუმენტურად შემიძლია, დავასაბუთო ეს დანაშაული მხოლოდ 2004-2009 წლის მონაცემებით. ეს ყველაფერი იწყება გია ბარამიძის მინისტრობიდან და მოიცავს ბაჩანა ახალაიას მინისტრობის პერიოდსაც. თქვენ ნახავთ, რომ უმოკლეს დროში ახალაიასაც წარუდგენენ ამისთვის ახალ ბრალდებას, კეზერაშვილსაც და ყველას, ვინც ამ ბიზნესში მონაწილეობდა... როგორ შეიძლება შენი ქვეყნის უსაფრთხოება იყოს ასე მიშვებული, შენი ქვეყანა იდგას თავდაყირა, შენი ხალხი არ იყოს დაცული და შენ ამ კოლოსალურ თანხებს აგროვებდე სადღაც ოფშორში? ქვეყნის უსაფრთხოება მათი წყალობით იყო ნულზე. წარმოგიდგენიათ, ფული კეთდებოდა რამდენიმე გზით – ჯერ კარგის ნაცვლად ჯართს რომ ყიდულობდნენ და მერე, როდესაც კარგს სხვაგან ყიდდნენ...

**– თუ ორი სახის ტექნიკას ყიდულობდნენ – გამართულსაც და ჯართსაც, შესაბამისად, მეტი თანხა დაიხარჯებოდა... მაშინ რაში „ტყდებოდა“ ფული?**

– ცუდს რად უნდა ყიდვა? ის უნდა დაიჭრას ჯართად...

**– ასეც რომ იყოს, ჯართს, რა, ჩუქნიდა უკრაინა საქართველოს?**

– როდესაც ორი ქვეყნის პირველი პირია ამ სქემაში ჩართული, ამით მარტო საქართველო არ სარგებლობდა. ამიტომ შეთანხმებით კეთდებოდა ეს ყველაფერი. აქ მილიარდებზე იყო საუბარი... 2009 წლიდან ამ სქემაში მერაბიშვილის სამინისტროც ჩაერთო. ეს ის დროა, როცა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აღარაფერი გააჩნდა და ოკუპირებული იყო ჩვენი ქვეყნის საკმაოდ დიდი ნაწილი სააკაშვილის ხელშეწყობით. დღის წესრიგში დადგა ხელახალი აღჭურვა. ისევ მოიხსნა ბიუჯეტიდან თანხები და ისევ თავიდან დაიწყეს ის ოპერაციები. ეს ყველაფერი 2008 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. ამ დოკუმენტების მიხედვით, ოქტომბერში შემოყვანილია 35 ერთეული ტანკი „T-72“, საბრძოლო მასალები... არ ვიცი, სად წავიდა ეს ტანკები. შემდგომ 23 დეკემბერს „გრადები“ შემოვიდა, 6 ერთეული. ეს გვაქვს ადგილზე. 2009 წლის თებერვალსა და მარტში საქმეში უკვე შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს მიზნობრივი მუხლით გათვალისწინებული თანხები ამოეწურა. შეძენილია ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ჭურვები. ეს ყველაფერი შსს-ს არ სჭირდება. ის იცავს საზოგადოებრივ წესრიგს. თურმე ასეთი შეიარაღება შეუძენია შსს-ს. 2009 წლის 23 აპრილისთვის უკვე თავდაცვამ შემოიტანა ბომბდამშენების, „სუ-25“-ის აგრეგატები. ეს ჩამოიტანეს, კი ბატონო... 30 მაისს შემოტანილია „ბეტეერები“. ეს იყო უვარგისი ტექნიკა, გადაღებილი ჯართი, რომელიც ძლივს მიიყვანეს ფარეხებამდე და იქ დააყენეს. მთავარი ამ წლის შესყიდვებში ის არის, რომ ჩვენს თავდაცვის სამინისტროს შემოუტანია საჰაერო თავდაცვის სისტემა „C-200“, ორი კომპლექტი. ეს არის თანამედროვე სისტემა, რომელიც საქართველოში არ არის. ამის შემდეგ მოდის „C-300“-ები, რომლებიც რუსებს აქვთ განთავსებული – ერთი ოჩამჩირეში, მეორე – ცხინვალში. „C-200“ ორასი კილომეტრის რადიუსში ყველაფერს აკონტროლებს და 74 კილომეტრის სიმაღლეზე იჭერს მიზანს და ანადგურებს. მართლა რომ გვქონოდა ამ სისტემის ორი კომპლექტი, ჩვენს მთელ საჰაერო სივრცეს მოიცავდა.

**– ძვირი ღირს?**

– მილიარდები. ეს ოპერაციები ჩატარებულია ახალაიას მინისტრობის დროს. 2009 წლის აგვისტოში ვითომ ჩამოტანილი აქვთ „კალჩუგები“. ამის გარდა შემოტანილი აქვთ „ოსა“ და „ბუკი“. ამგვარად ითბობდა ორი ქვეყნის პრეზიდენტი ხელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოებისა და გადახდილი გადასახადების ხარჯზე.

**– თუ „რადაც“ იძიებს ამ ოპერაციებს, რამდენად შესაძლებელია, რომ საქმე მივიდეს ტრიბუნალამდე.**

– ეს საკმაოდ რეალურია. მით უმეტეს, ერთი კვირის წინ ნაციონალების არხზე გააკეთეს გადაცემა, სადაც სააკაშვილი სწორედ ამ თემებზე იმართლებდა თავს, ეს რომ არ შეგვეძინა, 2008 წელს უარესი შედეგები გვექნებოდაო, რუსული „ტუ-25“ ჩვენმა „ეს-200“-მა ჩამოაგდოო. როგორც ჩანს, მან უკვე იგრძნო საფრთხე და გადავიდა თავის მართლების რეჟიმში. სააკაშვილმა, ალბათ, ის ვერ გათვალა, რომ ჩვენ გვექნებოდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც „ეს-200“ 2009 წელს არის შესყიდული და თანაც ისე, რომ საქართველოში არ შემოსულა. თურმე, ომის დროს დაკარგულა, 2009 წელს... ეს ხომ კურიოზია?

**– თუ რუსეთი პირდაპირ ვერ მიჰყიდდა ამ შეიარაღებას ირანს და სირიას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სქემაში რუსული ინტერესიც იდო?**

– მე პირდაპირ ვამბობ, რომ სააკაშვილი „ფეესბეს“ სამსახურშია. ამის გარდა, რუსეთს სჭირდებოდა, რომ გაეკონტროლებინა მთლიანად საქართველოს საჰაერო სივრცე და ყველა სამხედრო ტვირთი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე შემოდიოდა. მნიშვნელობა არ აქვს, მერე ეს ტვირთი აქ რჩებოდა, თუ სადმე სხვაგან გადიოდა. სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს ოცნება აუსრულა: ბარამიძემ რუსულ პრესაში ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, დიახ, საქართველო უკრაინიდან იძენს შეტევით შეიარაღებასო. ამის შემდეგ ლავროვი აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, საქართველო იარაღდება და ჩვენ თავდაცვის სისტემები უნდა განვალაგოთო და სწორედ მაშინ განალაგეს ოჩამჩირეში, ცხინვალსა და გვიმრში „C-300“-ები. გააკეთა თუ არა ბარამიძემ რუსული საქმე? სად უნდა იმართლოს თავი? ყველამ რუსულ წისქვილზე დაასხა წყალი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უშიშროების საბჭო შესაძლოა, შეიცვალოს



# გიორგი თავდგირიძე: „ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება, უნდა გადაიხედოს“

ქეთი ხატიაშვილი

**ექსპერტი გიორგი თავდგირიძე არ გამორიცხავს, რომ ახალი საკონსტიტუციო მოწყობის პირობებში უშიშროების საბჭოს ორი დამოუკიდებელი სტრუქტურა ჩამოყალიბდეს, ერთი პრეზიდენტთან და მეორე პრემიერ-მინისტრთან არსებული.**

– ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი მთავარსარდალია, მაგრამ არ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, შესაბამისად, მას, როგორც მთავარსარდალს, უშიშროების საბჭო სჭირდება, მაგალითად, ომიანობის შემთხვევაში. პრემიერს კი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, ასევე, დასჭირდება უშიშროების საბჭო, მშვიდობის დროს უსაფრთხოების საკითხებისთვის... ასე რომ, ამ სტრუქტურის რეფორმირება აუცილებელია, – აღნიშნა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ექსპერტმა სამხედრო საკითხებში გიორგი თავდგირიძემ.

თუმცა, მთავარი ინტრიგა მაინც სხვა საკითხია – რამდენად შეიძლება შეიცვალოს უსაფრთხოების ის დოქტრინა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიღო და რუსეთი იქ დასახელებულია, როგორც საფრთხის შემცველი ფაქტორი. ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დათბობის ინიციატივით გამოდის. შესაბამისად, რამდენად სავარაუდოა, უკვე მიღებული დოკუმენტი გადაიხედოს? ექსპერტების უმრავლესობას ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. გიორგი თავდგირიძის განმარტებით კი: „ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება, უნდა გადაიხედოს, თუმცა, რუსეთთან დაკავშირებით დოკუმენტი არ უნდა შერბილდეს, სანამ რუსეთის მხრიდან არსებობს საფრთხე. საფრთხის არსებობა კი ფაქტია“.

უსაფრთხოების კონცეფციის შეცვლასთან დაკავშირებით, სკანდალი ერთხელ უკვე ატყდა, როცა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტში რუსეთის, როგორც მტრის, მიმართ ისეთი მკაცრი ჩანაწერი, როგორც უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების კონცეფციაში იყო, აღარ არსებობსო. მისივე განმარტებით, ახალ დოქტრინაში, ისე, როგორც საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის მიერ მიღებულ დოკუმენტში, ტონალობა შერბილებულიაო.

**თავისთავად გაჩნდა კითხვები, თავდაცვის დოქტრინის შეცვლის შემდეგ, რამდენად შეიძლება ასეთივე ცვლილებები განხორციელდეს უსაფრთხოების კონცეფციაში. ამასთან დაკავშირებით პრემიერმა შენიშნა:**

– უშიშროების საბჭო არ იკრიბება რატომღაც დღემდე, თავდაცვის სამინისტროს ჩანაწერი შეგიძლიათ ნახოთ, რომ იქ შერბილებულია ეს, თვითონ ჩვენი საგარეო კომიტეტის მიერ დამტკიცებული განცხადება ჩვენს საგარეო პოლიტიკასთან, იქაც ტონალობა არის ნორმალური და საერთოდ, მარტო გამონათქვამებზე და რიტორიკაზე არაა, თუნდაც, ოლიმპიადაზე ჩვენი მხარდაჭერა, თუ გნებავთ ის, რომ ლაფანყურში რაც ხდებოდა და გამოძიება მიდის, მე რამდენჯერმე გავაკეთე განცხადება, რომ სატრანზიტოდ იყო გამოყენებული საქართველოს ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული ბოევიკების თუ სხვა შემოსული ბოევიკებისთვის და ესეც ჩვენ მაქსიმალურად ჩავხურეთ და აღარ განმეორდება.

პრემიერის ამ განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა. შეიცვალა თუ არა უკვე უსაფრთხოების კონცეფცია ან რა გეგმები აქვს ამასთან დაკავშირებით ახალ მთავრობას? ხმაური მაშინ თავდაცვის მინისტრმა თავადვე ჩააცხრო. ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ დოკუმენტის საფრთხეების შეფასების ნაწილში ფუნდამენტური ცვლილება არ მომხდარა.

ირაკლი ალასანია: „აქ საუბარია სტრატეგიული უსაფრთხოების მიმოხილვის დოკუმენტზე, რომელზეც წინა ხელისუფლება მუშაობდა. ჩვენ ჩავთვალეთ აუცილებლად, რომ გაგვეგრძელებინა მასზე მუშაობა ისე, რომ არ შეგვექმნა ახალი. რადგან გარკვეულწილად, საზოგადოებასაც დემონსტრირებულად უნდა ვაჩვენოთ, რომ თანმიმდევრულობა, ინსტიტუციური მეხსიერება უწყებებში შენარჩუნებულია. ამიტომ ჩვენ მცირე ადაპტაცია გავაკეთეთ, რომელიც გავაცანით ყველა დაინტერესებულ უწყებას, მათ შორის ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს. საბოლოო, დასრულებული ვარიანტი დოკუმენტისა ჩვენ უკვე მესამე კვირაა, გადავუგზავნეთ უშიშროების საბჭოს და ველოდებით, როდის მოაწერს პრეზიდენტი ხელს.

მე რამდენადაც ვიცი უშიშროების საბჭოდან, არავითარი პრობლემა არ არსებობს დოკუმენტის თაობაზე, ის ერთხელ კიდევ გაივლის გარკვეულ უწყებათშორის შეფასებებს და ხელი მოეწერება. დოკუმენტი იქნება სახელმძღვანელო შეიარაღებული ძალებისთვის, თუ როგორ განვითარდება ჩვენი შეიარაღებული ძალები უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში. ამასთან ერთად, დოკუმენტი შეიცავს საფრთხეების შეფასებას და ანალიზს. ამ საფრთხეების ანალიზსა და შეფასებაში ფუნდამენტური ცვლილება არ მომხდარა იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო ჩვენს რეალობაში: რუსეთის ფედერაცია, მათი სამხედრო ოკუპაცია და შეიარაღებული ძალები ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოადგენს კვლავაც ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საფრთხეებზეა მორგებული ჩვენი თავდაცვის დოქტრინაც და ჩვენი თავდაცვის სტრატეგიაც. ამიტომ თვისობრივი ცვლილება არაა. ერთადერთ, რაც ჩვენ მიერ პრემიერთან დისკუსიებისა და შეთანხმების შემდეგ დაემატა, ახალი რეალობაა, ის პრაგმატიზმი, რაც გაჩნდა ჩვენს პოლიტიკაში რუსეთთან მიმართებით, რომ იწყება სავაჭრო-ჰუმანიტარულ თემებზე დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან, რაც აჩენს ძალიან პატარა იმედს, რომ შეიძლება ნორმალიზება დაიწყოს პერსპექტივაში საქართველოსა და რუსეთს შორის. აქ დაემატა პატარა პოსტულატი, რომელიც საუბრობს იმაზე, რომ გაჩენილი ახალი რეალობა და მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან აჩენს იმედს, რომ მომავალში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივა არსებობს. მეტი არაფერი არ დამატებია ამ დოკუმენტს“.



**განმარტებები უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამაც გააკეთა:**

– ბატონმა პრემიერმა ისაუბრა რაღაც ცვლილებებზე ჩვენს სტრატეგიულ დოკუმენტებში რუსულ საფრთხესთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, მინდა ვუთხრა, რომ ბატონ პრემიერს არაზუსტი ინფორმაცია აქვს. არც ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში ასეთი ცვლილება არ მომხდარა. ასეთი დოკუმენტები არ იქმნება ერთი უწყების მიერ. ასეთი დოკუმენტები იქმნება უწყებებს შორის კოორდინაციის შედეგად. ჯერჯერობით, ახალი მთავრობის პირობებშიც, ცვლილებებზე ამ თვალსაზრისით ჩვენთვის არაფერი ცნობილი არაა. თუ პრემიერი მიიჩნევს, რომ რუსული ჯარის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაცია, და თქვენ იცით, რომ ისინი აქედან 40 წუთის სავალზე დგანან, აღარ წარმოადგენს საფრთხეს, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რას ეყრდნობა ის. მაშინ უნდა აგვიხსნას, რაზე დაყრდნობით მიიჩნევს ის, რომ ეს საფრთხე აღარაა.

მას არ დაუზუსტებია, კონკრეტულად, რომელ დოკუმენტს გულისხმობდა. ჩვენ გვაქვს რამდენიმე დოკუმენტი: არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, არის ეგრეთწოდებული სტრატეგიული მიმოხილვა, არსად ცვლილება არ მომხდარა. ბუნებრივია, ყველგან პოტენციურად, არა მყისიერად, რუსული ოკუპაცია (ჯერ ერთი, რუსული ოკუპაცია ყველა შემთხვევაში საფრთხეა, მაგრამ შემდგომ საფრთხეებშიც) განიხილება ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ, რა თქმა უნდა, მხოლოდ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, არა მყისიერ კონტექსტში. თუ ამის შეცვლა ვინმეს სურს და გააჩნია არგუმენტი, ეს უნდა მოვისმინოთ, ესაა გრძელი პროცესი, სადაც ყველა უწყება მონაწილეობს. კონცეფცია ვერც შეიცვლებოდა, რადგან ეს კოორდინირებული პროცესია.

ეს იყო მაშინ. შესაძლოა, ეს საკითხი დღის წესრიგში ისევ დადგეს. უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი მინისტრები არიან თავდაცვის, შსს-სა და ფინანსთა მინისტრები, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალურად, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების ნუსხა ასე გამოიყურება: პირველი, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპაცია; შემდეგ მოდის რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები; შემდეგ ახალი სამხედრო აგრესიის რისკი; მათ მოჰყვება ლტოლვილები და სხვა კონფლიქტები; საერთაშორისო ტერორიზმი; ეკონომიკური, სოციალურ-ენერგეტიკული გამოწვევები; კიბერსაფრთხეები; ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ბოლოს სამოქალაქო ინტეგრაციის გამოწვევები.

ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ უშიშროების საბჭო სტრუქტურულად შეიცვლება და სტრატეგიულ დოკუმენტებზე საუბარიც, ალბათ, მალე დაიწყება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ალასანია მერობისთვის იბრძოლებს?





**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ალასანიამ ღარიბაშვილს გაპრემიერება მიულოცა. თუმცა ეს დემოკრატიული იმიჯის მქონე პოლიტიკოსის აუცილებლობით გამოწვეული ნაბიჯი უფრო იყო, ვიდრე გულწრფელი საქციელი. ზოგადად, ალასანიას ემოციები ყოველთვის რთული გამოსაცნობია, საჭირო დროს ის, უბრალოდ, იღიმის. მაშინაც, როცა ტუქსავენ, მაშინაც, როცა მის საოცნებო პოსტზე სხვას ასახელებენ და მაშინაც კი, როცა ძლივს შეკრებილი ერთობა დაშლის თუ გაშლის პირასაა. გამონაკლისი არც გიორგი მარგველაშვილის წარდგენა და, მით უფრო, არც ღარიბაშვილის „პრეზენტაცია“ გამხდარა.**

## „მისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნება თავდაცვის მინისტრად ყოფნა“

თავდაცვის მინისტრმა მომავალ პრემიერს წარმატებები უსურვა და გვერდში დგომის პირობა დაუდო. თუმცა მისი წარსულის გადამკიდე ამას არავინ ელის. ისევ გამონაკლისების გარეშე, მისგან გვერდზე გადგომას ელოდებიან. მოლოდინი ექსპერტებსაც კი ჰქონდათ და მან პიკს საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიაღწია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცესკოში კანდიდატების რეგისტრაციის ვადა იწურებოდა. საზოგადოების ნაწილმა ალასანიას „ოცნებიდან“ წასვლის მოლოდინის დღეების ათვლაც კი დაიწყო, თუმცა მაშინ ირაკლიმ ვერ გარისკა და, სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, ბევრიც დაკარგა. პრინციპში, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ ალასანიას დამოუკიდებელი კანდიდატურა შედეგებს თუ არა, პროცენტებს აშკარად შეცვლიდა. თუმცა ეს უკვე წარსულია. წინ კი ორი მნიშვნელოვანი თარიღია: მთავრობის ხელახალი დამტკიცება და მერის კანდიდატურის დასახელება. უმრავლესობიდან ალასანიასთან დაკავშირებულ კითხვას მოკლე პასუხით გაურბიან, ზოგი დარწმუნებული იერით პასუხობს, რომ ის მცირედი ცვლილებები ირაკლი ალასანიას არავითარ შემთხვევაში არ შეეხება. როგორც ამბობენ, თავად ირაკლი ალასანია ამაში დარწმუნებული არ არის. იგივე განცდა იყო საპრეზიდენტო არჩევნების წინაც. მაშინ ექსპერტებს ერთი შეფასება ჰქონდათ, ალასანია გუნდს ერთადერთ შემთხვევაში არ დატოვებსო და ამ ერთადერთ შემთხვევად სწორედ პოსტის შენარჩუნება სახელდებოდა. ექსპერტმა ნიკა ჩიტიძემ „პრაიმტაიმთან“ ირაკლი ალასანიას სურვილებზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ისაუბრა. თავდაცვის მინისტრის ამბიციებს დიდხნიანი ისტორია აქვს და შესაბამისად, ყოველი გამოთავისუფლებული პოსტი სწორედ მის მორიგ ოცნებად განიხილება კიდეც.

**ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:**

– რა თქმა უნდა, თუ ირაკლი ალასანია შეთავაზებას მიიღებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ის დასთანხმდა. ალბათ, ირაკლი ალასანიას ექნება პრემიერობის ამბიცია, თუმცა თავად არ შესთავაზებს საკუთარ კანდიდატურას, რადგან კიდევ ერთხელ არ გააღიზიანოს ბიძინა ივანიშვილი. რაც შეეხება იმ პერიოდს, როდესაც ის მერობაზე იყრიდა კენჭს, მაშინ ის იყო ოპოზიციაში და არ გააჩნდა პოლიტიკური თანამდებობა. უფრო კონკრეტულად ის იყო „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი. მაშინ ალასანიამ თბილისში ხმების 18% მიიღო, თუმცა მაშინ სულ სხვა ვითარება იყო. დღევანდელ დღეს, ალბათ, მას ურჩევნია, იყოს თავდაცვის სამინისტროში თუნდაც იმიტომ, რომ ამ სფეროში მას დიდი გამოცდილება აქვს და კარგად აქვს შესწავლილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაბამისი გამოცდილებაც აქვს მიღებული. მისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნება თავდაცვის მინისტრად ყოფნა. მერი უფრო მეურვე უნდა იყოს და სხვა მიმართულების გამოცდილებას ითხოვს. პრემიერ-მინისტრობას...



შესაბამისად, სულაც არ არის გამორიცხული 2014 წლის მერობის არჩევნებზე ალასანიამ საკუთარი კანდიდატურა შესთავაზოს თბილისელებს. როგორც ამბობენ, ის საკუთარ პარტიაში სწორედ ამ გეგმას განიხილავს. მით უფრო, მერობის არჩევნებში გამოცდილება მას ნამდვილად აქვს. 2010 წლის არჩევნებში ირაკლი ალასანია „ალიანსი საქართველოს“ კანდიდატი იყო და გიგი უგულავასთან ბრძოლა მეორე ადგილის მოპოვებით დაასრულა. უგულავას 55,2-პროცენტიან გამარჯვებას სწორედ ირაკლი ალასანიას 18,0% მოჰყვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ალასანიას გასამარჯვებლად რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეები და კონსერვატორები იბრძოდნენ. ერთპიროვნულად კი ალასანიას სოზარ სუბარმა და სალომე ზურაბიშვილმაც დაუჭირეს მხარი. რამდენად მოახერხებს ამ ბრძოლაში ჩაბმის შემთხვევაში ალასანია გამარჯვებას, მით უფრო, თუ „ოცნება“ თავის კანდიდატურას დაუპირისპირებს, ალბათ, ადვილი გამოსაცნობია. თუმცა „ოცნება“ კარიერით დაინტერესებულ პოლიტიკოსს სხვა გზას არ უტოვებს. მისი მიზანი ყოველთვის ლიდერობა იყო. ყველა ერთობაში, სადაც კი ის ყოფილა, ყოველთვის პირველ ადგილს ითხოვდა. სხვათა შორის, დაპირისპირება ქუჩის ოპოზიციაშიც სწორედ პირველობისთვის მოუვიდა. მაშინ ქუჩის ლიდერობა ბურჯანაძესთან ვერ გაიყო და მიტინგებიც პირველმა დატოვა... დაახლოებით იგივე პრობლემა აქვს ახლაც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ქუჩის სცენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ახლა უკვე რეალური ხელისუფლებისთვის...

ალასანია რომ ივანიშვილის გუნდის ნაწილი არ არის, ეს გვერდიდან კიდევ უფრო კარგად ჩანს. მართალია, ყოველთვის არის შეკრებებზე, თუმცა მოკრძალებულად. მაგალითად, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საღამოს 8 საათზე „ოცნების“ შტაბის ეზოში სრულიად „ოცნება“ სცენაზე იდგა ივანიშვილის გვერდით, ირაკლი ალასანია ქვევით იყო ხალხში და მის გვერდით საკუთარი პარტიის წევრებიც კი არ ჩანდნენ. მაშინაც, როდესაც მოქმედმა პრემიერმა მომავალი დაასახელა, ალასანია შეხვედრას, ბუნებრივია, ესწრებოდა, თუმცა ადგილი ყველაზე ადრე დატოვა. მსგავსი ისტორიებიდან არის მისი, როგორც ნომერ პირველი მინისტრის დასახელება. აქ მთავარი დეტალი ივანიშვილის შეფასება იყო – „ირაკლი ალასანია კარგი მინისტრია, მაგრამ მასზე უკეთესი მინისტრებიც გვყავსო“... პირველობა ალასანიას აქაც კი არ შეარჩინეს. მისი მოთმინება კი ძალიან ბევრს აოცებს, ექსპერტებსაც მათ შორის. სწორედ ამიტომ არავინ გამორიცხავს გუნდიდან მის წასვლას. თუმცა როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს უფრო 2014 წლის სიახლე იქნება. უფრო კონკრეტულად კი ყველაფერს ვილნიუსის სამიტი გადაწყვეტს. მინიშნებებიდან ჩანს, რომ მანამდე არც ივანიშვილი და არც ახალი პრემიერი თავდაცვის მინისტრს არ შეცვლიან. ალასანიას გარანტირებულად მხოლოდ რამდენიმეთვიანი მოღვაწეობაღა აქვს დარჩენილი. უკვე შემდეგ კი ყველაფერი ღარიბაშვილზე იქნება დამოკიდებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკრებულო უგულავას „გაიმვ



## my View

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**დასრულებული კოჰაბიტაციის შემდეგ ერთადერთი უწყება, სადაც ნაციონალები პოსტს ინარჩუნებენ, დედაქალის მერიაა. შესაბამისად, მთელი „საოცნებო“ აგრესიაც გიგი უგულავაზე მოდის. „მონარქად“ მონათლული პირველი არჩევითი მერი თანამდებობას ბოლომდე შეინარჩუნებს. თუმცა დამადლებით. „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ უგულავა დემოკრატიის წესებს უნდა უმადლოდეს საკუთარ პოსტს. ესეც ივანიშვილის გადაწყვეტილებაა, თორემ პირადად ყოფილი „ქრისტიან-დემოკრატების“ ნება რომ იყოს, უგულავას არც ერთი დღით არ შეუნარჩუნებდნენ თანამდებობას.**

მანამ სანამ უგულავას შემცვლელი დასახელდება და აირჩევა, თბილისის საკრებულო თავს უფუნქციოდ გრძნობს და სურს, სრული კონტროლი დააწესოს დედაქალის მერზე. უფრო სწორად გიგი უგულავაზე. კონტროლის ჩარჩოებს პარლამენტი დაადგენს. ოღონდ არა ისეთი ტემპებით, როგორც ეს საკრებულოს ახალ უმრავლესობაში სურთ. პროექტი „თბილისის შესახებ“ პარლამენტში მთავრობამ უნდა შეიტანოს. არის მეორე მსურველიც – ხაჩირიშვილის საკრებულო. მათ ჩასწორება მოქმედ კანონში შეაქვთ და აცხადებენ, რომ საპარლამენტო კომიტეტი ცვლილებებზე უკვე მუშაობს. ცვლილებების თანახმად, საკრებულოს უფლება ეძლევა, უნდობლობა გამოუცხადოს მოქმედ თანამდებობის პირებს და მერი აიძულოს, თანამდებობა დაატოვებინოს მათ. ცვლილების თანახმად, მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უფლება უკვე უდნობლობის გამოცხადების შედეგად მოხსნილი თანამდებობის პირების ვაკანტურ ადგილებს უკავშირდება. უგულავას საკუთარი პირველი მოადგილის, ჩვეულებრივი მოადგილეების, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელების, ადმინისტრაციის უფროსისა და გამგებლების დანიშვნა დამოუკიდებლად აღარ შეეძლება. ამ ყველაფერს საკრებულო გააკონტროლებს. პროცესი ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში შემდეგნაირად განვითარდება: თბილისის მერი კანდიდატებს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს, თანხმობის მისაღებად ხმების 1/3 დასჭირდება. თანხმობის ვერმიღების შემთხვევაში, მერს უფლება ექნება, ხელმეორედ წარუდგინოს იგივე ან სხვა შემადგენლობა. საკითხის მორიგი ჩავარდნის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია, კანდიდატები თავად წამოაყენოს.

**ჯაბა სამუშია, თბილისის საკრებულოს წევრი:**

– ჩვენ არ ვაყენებთ იმპიჩმენტის საკითხს. უბრალოდ, სასურველია, რომ კანონში ეს იდოს. თბილისისა და მერიის ურთიერთობაში საკრებულო ძალიან დაჩაგრულია. მთელი უფლებამოსილება გადაცემულია მერიისთვის და საკრებულოს რჩება მხოლოდ





## „ჩვენ უნდა ავიღოთ კონტროლი და ეს არის ბუნებრივი პროცესი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იჩმენტების“ მექანიზმს ეძებს

შესაძლებლობა, აკონტროლოს ადგილობრივი საქმეები და ურთიერთობები. საკრებულოს ერთადერთი შეუძლია, რეკომენდაციით მიმართოს მერიას, თუმცა მას უფლება აქვს, საერთოდ არ გაითვალისწინოს ეს რეკომენდაცია. მერს აბსოლუტურად ყველანაირი უფლება აქვს მინიჭებული. მერი თანამდებობაზე ნიშნავს და თავადვე ათავისუფლებს მერის პირველ მოადგილეს, მოადგილეებს, თბილისის ადმინისტრაციის უფროსს, საქალაქო სამსახურების უფროსებს, რაიონის გამგებლებს, მერიასთან და მთავრობასთან არსებულ სსიპ-ის ხელმძღვანელებს, განსაზღვრავს მის სტრუქტურას. ეს არის მონარქი. რა უფლებებიც მერს აქვს ქალაქში, პრემიერს არ აქვს მსგავსი უფლებები. მეტიც, სააკაშვილის დროსაც კი არ ჰქონდა არავის, მერის გარდა, მსგავსი უფლებები. გიგი უგულავა იყო განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პირი. ამას აქვს თავისი ახსნა, რა თქმა უნდა.

**– რა არის ამის მიზეზი?**

– ეს არ ხდებოდა კანონიდან გამომდინარე. კანონი მოარგეს იმ კონიუნქტურას, რომელიც შეიქმნა მიხეილ სააკაშვილის პერიოდში. დაახლოებით 2010 წელს, იმ პერიოდში გადაეცა უგულავას ყველანაირი უფლება, ყველანაირი გარანტია ხელშეუხებლობის, როცა საუბარი იყო, რომ მერი უნდა გამხდარიყო ქვეყნის პირველი პირი, ან პრეზიდენტი, ან პრემიერი... ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ნაწილი ასე მსჯელობდა 2012 წლის ოქტომბრამდე. სააკაშვილმა თბილისის მერს მისცა ეს ყველაფერი, რომ მისი ამბიციები რამენაირად დაკმაყოფილებულიყო ოთხი წლის განმავლობაში მაინც. ფაქტობრივად, ნაციონალების შიდა დაპირისპირებას გადაყვა თბილისის თვითმმართველობა, კანონი თბილისის შესახებ. მსგავსი მარაზმი, რაც თბილისის შესახებ კანონია, სხვა არ არსებობს. სააკაშვილი მზად იყო ყველაფერზე, ოღონდ უგულავას მისთვის პრობლემები არ შეექმნა, თავისი ამბიციების გამო. სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა სააკაშვილის სამომავლო გეგმების დაწყობა პრემიერობის შესახებ. ბუნებრივია, მას არ აწყობდა უგულავას პრეტენზიები გასჩენოდა პრემიერობაზე. ასე გააჩერეს უგულავა თავის ადგილას.

**– ანუ გარიგება მოხდა სააკაშვილსა და უგულავას შორის?**

– ბუნებრივია, სხვა ახსნა არ აქვს. ევროპის არც ერთ მერს არ გააჩნია მსგავსი უფლებები, რაც უგულავას აქვს. კი ბატონო, ევროპაში არიან მერები, რომლებიც ნიშნავენ მოადგილეებს, მაგრამ კონსულტაციას მაინც გადიან ვიღაცებთან. თბილისის მერი არავის არაფერს ეკითხება, აბსოლუტურად ერთპიროვნულად წყვეტს ყველაფერს. ის თავისივე გუნდის მიერ მიღებულ კანონს არ ემორჩილება და არ ცხადდება საკრებულოს წინაშე. კანონი დარღვეულია უგულავას მიერ. ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: რას ვუშვრებით კანონის დამრღვევ მერს? არანაირი ბერკეტი არ არსებობს იმისთვის, რომ მას ყური ავუწიოთ. ჩანაწერიც არ არსებობს კანონში, რომ გაკიცხო მაინც. პრეზიდენტი რომ კანონს არღვევს, მის მიმართაც კი არსებობს ბერკეტები, უგულავას შემთხვევაში არაფერი მსგავსი არ არის. ეს არის ჩვენი რეალობის ანეკდოტი. თუკი საკრებულო მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, მას აუცილებლად დასჭირდება მერის თანხმობა.

**– როგორც ჩანს, თქვენ გაქვთ გეგმა, ეს ყველაფერი შეცვალოთ?**

– ჩვენი მთავარი მიზანია, წინ აღვუდგეთ იმ საბოტაჟს, რაც თბილისის მთავრობაში არსებობს. თბილისს ბევრი პრობლემა აქვს და მილიონები იხარჯება უმიზნოდ, კედლების, ფასადების მოწესრიგებაზე, მაშინ როდესაც სახლების უმრავლესობას საფუძველში აქვს პრობლემები. მერია საკუთარ პროექტებს აფინანსებს, „კმარას“ ტიპის ორგანიზაციას ვგულისხმობ. ჩვენ უნდა ავიღოთ კონტროლი და ეს იქნება ბუნებრივი პროცესი. ვაპირებთ, გავაკონტროლოთ ქალაქის მთავრობა, რის უფლებაც აქვს საკრებულოს. მერს შეეძლება, დანიშნოს, ვინც უნდა, ოღონდ ეს უნდა მოხდეს საკრებულოსთან შეთანხმებით. თბილისშიც უნდა იყოს ისე, როგორც ეს ხდება ყველა ნორმალურ და ცივილიზებულ ქვეყანაში. საკრებულოს უნდა ჰქონდეს უფლება, გამგებელი შეცვალოს, თუ ის არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. ბუნებრივია, ეს არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით, მაგრამ, თუ დადასტურდება, რომ გამგებელი კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობს, არამიზნობრივად ხარჯავს ბიუჯეტს, ის უნდა იყოს მოხსნილი. ჩვენ ვმუშაობთ იმ ძირითად ფორმულებზე, რომლის საფუძველზეც მოხდება ორი შტოს თანაარსებობა. დღეს საკრებულო ისეთი უუნაროა, რომ სტატისტიკის როლში გამოდის, არავინ არ ემორჩილება. ახალი ბიუჯეტის მიღების შემდგომ დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში გიგი უგულავას კიდევ მოუწევს მუშაობა. მე არ მაქვს გარანტია, რომ უგულავა მოიქცევა პატიოსნად, თავის გამგებლებთან ერთად.

**– როგორ აპირებთ სიტუაციის შეცვლას?**

– არის პროექტი, რომლის მიხედვითაც, თანამდებობის პირების კანდიდატურებს მერი შეათანხმებს საკრებულოსთან. პროექტი განიხილება პარლამენტში და მიღების შემდეგ ჩვენ შევეცდებით, ნორმალური კანდიდატურები დავნიშნოთ გამგეობებში, მერიაში და ქალაქის მთავრობას მივცეთ საშუალება, ნორმალურად იფუნქციონიროს.

**– ანუ შეიძლება თქვენ დაუნიშნოთ მერს თანამდებობის პირები? ეს დემოკრატიული იქნება?**

– მერს ექნება საშუალება, წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურები. თუ ის ადამიანები მისაღები იქნება საკრებულოსთვის, დამტკიცდებიან, თუ არა და საკრებულოს შესაძლებლობა ექნება, თვითონ დააკომპლექტოს მთავრობა, მერს ჩამოუყალიბოს მთავრობა. ეს არის დემოკრატიის ფორმა. მერს მოუწევს თანამშრომლობა ამ გუნდთან.

**– ანუ უგულავას ვადის ამოწურვამდე მისცემთ საშუალებას, დარჩეს თანამდებობაზე?**

– ფაქტია, რომ საზოგადოებამ გიგი უგულავა აირჩია 2014 წლამდე. დემოკრატიული პრინციპების მიხედვით, ჩვენ ვალდებულები ვართ, პატივი ვცეთ ხალხის არჩევანს. ჩვენ ვაპირებთ მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოში არსებული ცივილიზებული წესებით მოქმედებას, ისევე როგორც იმოქმედა ჩვენმა გუნდმა საქართველოს პრეზიდენტთან მიმართებაში. თუმცა სრულიად უკანონო კანონის არსებობას არ დავუშვებთ. ბუნებრივია, ჩვენ ბალანსს აღვადგენთ. პროექტის მიღების შემდეგ ჩვენ დავიწყებთ იმ სამსახურების უფროსების მიმართ უდნობლობის გამოცხადებას, რომლებიც შესაბამისები არ არიან თანამდებობასთან. გარანტიას ვიძლევი, რომ ეს არ მოხდება პოლიტიკური ნიშნით.

**– თუ უგულავა არ წამოვა თანამშრომლობაზე?**

– იმპიჩმენტი არ არის ჩვენი თვითმიზანი, თუმცა მე მაქვს ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება არც შევიდეს ეს საკითხი პროექტში, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს მუხლი უნდა არსებობდეს. ვფიქრობ, ნებისმიერ თანამდებობის პირს უნდა ჰქონდეს კონტროლის მექანიზმი, ეს აუცილებელია. ნებისმიერი თანამდებობის პირის მოხსნის საშუალება უნდა არსებობდეს, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტისა. ვინმემ რომ არ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი კეთდება უშუალოდ გიგი უგულავას წინააღმდეგ, იყოს რთული მექანიზმი, იყოს რთული პროცედურა და ითხოვდეს ძალიან დასაბუთებულ მიზეზებს, თუმცა იმპიჩმენტის მუხლი აუცილებლად უნდა ჩაიდოს. ბუნებრივია, არ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ იმპიჩმენტის თემა გამოყენებული იყოს პოლიტიკური თამაშებისთვის.

**– საკუთარი თანამდებობის პირების კანდიდატების დანიშვნით უგულავას აიძულებთ, რომ თანამდებობა დატოვოს?**

– ასე თუ იფიქრებს უგულავა, ეს მისი გადასაწყვეტი იქნება, ჩვენ არავის არაფერს არ ვაიძულებთ. ჩვენ უგულავას ვეუბნებით, რომ მაშინ, როდესაც შუა საუკუნეების ფეოდალივით გამოწყობილხარ, მოდი, რა, ცოტა დემოკრატიული ფორმა მიიღე... თუ საკრებულოსთან კონსულტაციები და თანამშრომლობა უგულავასთვის მიუღებელი იქნება, მაშინ ვიტყვი, რომ ჩვენ დემოკრატია აბსოლუტურად სხვადასხვანაირად გვესმის.

დემოკრატიის სხვანაირად გაგება შეუძლებელია, მით უფრო მაშინ, როდესაც საუბარი არჩეულ მერზეა. გიგი უგულავა ერთადერთი არჩეული მერია მთელ საქართველოში. შესაბამისად, მისი უფლებები ბევრად აღემატება დანიშნულ მერს და არაფერი აღსაშფოთებელი ამაში არ უნდა იყოს. სწორედ ეს არის დემოკრატიული გაგება. სწორედ ამიტომ გაუჭირდათ საკუთარი გუნდის წევრების გაგება პარლამენტში. როგორც ამბობენ, თბილისის საკრებულოს მოთხოვნა, რაც შეიძლება ჩქარა შესულიყო ცვლილებები კანონში, არ დაკმაყოფილდა. მით უფრო, რომ პარლამენტი თვითმმართველობის შესახებ კანონს მთავრობისგან ელოდება და სულაც არ აპირებს ორი ვერსიის პარალელურ რეჟიმში განხილვას...

**ირაკლი ტრიპოლსკი, რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე:**

– საკითხი ჯერ არ შემოუტანია მთავრობას. მასში ცალკე თავი იქნება თბილისზე, ცოტა უხერხულია, სხვადასხვა კანონი რომ შემოვიდეს. დაველოდებით მთავრობის კანონპროექტს და შემდეგ განვიხილავთ. არ ვთვლი, რომ ეს პროცესი სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

**– თქვენი პოზიცია როგორია?**

– კანონი არ წამიკითხავს, თუმცა ჩემი პოზიცია არის ისეთი, რომ ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, თუ საკრებულოს როლი გაიზრდება. საკრებულო კი არ დანიშნავს, უბრალოდ, თანხმობა დასჭირდება. რა არის ამაში ცუდი? გიმეორებთ, განხილვა ჯერ არ არის დაწყებული და სანამ არ შემოვა თვითმმართველობის კანონი, მანამდე არაფრის განხილვა არ მოხდება.





**ჯაბა სამუშია: „ის თავისივე გუნდის მიერ მიღებულ კანონს არ ემორჩილება და არ ცხადდება საკრებულოს წინაშე. კანონი დარღვეულია უგულავას მიერ. ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: რას ვუშვრებით კანონის დამრღვევ მერს?“**



**ირაკლი ტრიპოლსკი: „ცოტა უხერხული იქნება, სხვადასხვა კანონი რომ შემოვიდეს. დაველოდებით მთავრობის კანონპროექტს და შემდეგ განვიხილავთ. არ ვთვლი, რომ ეს პროცესი სასწრაფოდ უნდა მოხდეს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ციხეში ე.წ. მაყურებლეთა

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**ციხე ე.წ. მაყურებლების გარეშე ჩვენი რეალობისთვის ცოტა წარმოუდგენელია და ცვლილებაც, რომელიც კანონმდებლობაში შედის, ერთი შეხედვით ამბიციური ჩანს, თუმცა ლოგიკური. ჯერჯერობით უცნობია, როგორ შეხვდებიან ციხის ლიდერები ამ სიახლეს, რადგან მათი ერთად, ერთ ციხეში განთავსებით, ისინი „მთავარ ფუნქციას“, სხვა პატიმრებზე გავლენას კარგავენ. სანამ საკანონმდებლო ცვლილებებს პარლამენტი განიხილავს და დაამტკიცებს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და ყველა იმ სიახლეს განმარტავს, რომელიც ძალიან მალე სისტემაში დაინერგება.**

**გრიგოლ გიორგაძე:** „როდესაც უწყებაში ჩვენ, ახალი ადმინისტრაცია მოვედით, ბატონმა სოზარ სუბარმა განსახორციელებელი რეფორმების შესახებ განაცხადა. ამ რეფორმებს სჭირდებოდა საკანონმდებლო, სამართლებრივი უზრუნველყოფა, შესაბამისად, მთელი ეს პერიოდი მიდიოდა ინტენსიური მუშაობა. ჩვენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ეკა ბესელიასთან ერთად მოვახდინეთ სხვადასხვა კანონებში გასატარებელი ცვლილებების ინიცირება. ეს არის პატიმრობის შესახებ კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, ასევე სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ კანონი. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ერთი მხრივ მოხდეს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, იმისთვის, რომ პატიმრებს მიეცეთ გარკვეული უფლებების რეალიზების ეფექტური საშუალება. ამ ცვლილებებით ხდება ხანგრძლივი და მოკლევადიანი პაემნების რაოდენობის გაზრდა და წესდება სხვადასხვა შეღავათები, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით.

პირველი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია – მთავარია, როგორ იქნება მოწყობილი ინფრასტრუქტურა. ეს განაპირობებს, როგორ გადაწყდება ძალიან ბევრი საკითხი, მაგალითად, ციხის მართვა, ამისთვის პირველ რიგში საჭიროა, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში ცხადდებოდა მილიონობით ლარი, რომელიც იხარჯებოდა ინფრასტრუქტურებზე. მინდა გითხრათ, რომ ის, რაც დაგვხვდა, აბსოლუტურად არ შეესაბამება სტანდარტებს... თუნდაც ბარაკები, სადაც 500-600 კაცი არის ერთად, ერთ სივრცეში... ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ციხის მართვა ეფექტიანად ვერ მოხდებოდა და სწორედ ამიტომ ჰყავდათ წინა ხელისუფლებას, ე.წ. ზონებზე სიტუაციების სამართავად, მათ მიერვე დანიშნული მაყურებლები... ეს იყო მანამ, სანამ ჩვენ მოვიდოდით, რაც შეეხება დღევანდელობას, დღეს ცივილიზებული გზით მივდივართ. ჩვენ გვაქვს ინფრასტრუქტურული პროექტები და რაც მთავარია, ხდება ახალი ტიპის დაწესებულებების შემოღება. პირველ რიგში, რაც ამ საკანონმდებლო ცვლილებებით განხორციელდება, ეს არის ის, რომ მოხდება პატიმართა კლასიფიცირება საშიშროების რისკების მიხედვით. კლასიფიცირება აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანები, რომლებიც არიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და ცდილობენ ამ გავლენის გაძლიერებას, უნდა აღმოჩნდნენ უფრო მკაცრ პირობებში, უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, რისთვისაც ციხე შენდება ლაითურში. იქ სწორედ საშიშროების განსაკუთრებული რისკის პატიმრები იქნებიან. ის ადამიანები კი, რომლებიც კრიმინალური სამყაროს წევრები არ არიან, სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულისთვის (ავარია იქნება თუ სხვა სხვა), რომლებიც არ წარმოადგენენ საშიშროებას, დაბალი რისკის მატარებლები არიან. საკმაოდ ბევრია ციხეში ასეთი ადამიანი და იმის გამო, რომ არც ინფრასტრუქტურა იყო და არც პატიმართა კლასიფიცირება საშიშროების რისკების მიხედვით, ისინი ხვდებოდნენ კრიმინალური სამყაროს წევრებთან ერთად, შესაბამისად, მათზე გავლენა ნეგატიური იყო. ამის გამო ადამიანი, რომელიც შემოვიდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, წლების შემდეგ ციხიდან გადიოდა კრიმინალური მენტალიტეტით. სწორედ ამიტომ, უნდა მოხდეს მათი გამოყოფა სხვა კატეგორიის ადამიანებისგან. ისინი შეფასდებიან ინდივიდუალურად, როგორც საშიშროების დაბალი რისკის პირებად.

## „მსჯავრდადებულები ინდივიდუალური შეფასებით მოხვდებიან შესაბამის დაწესებულებაში“




## „ადამიანები, რომლებიც არიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და ცდილობენ ამ გავლენის გაძლიერებას, უნდა აღმოჩნდნენ უფრო მკაცრ პირობებში, უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, რისთვისაც ციხე შენდება ლაითურში“

**– ამ ცვლილების მთავარი მიზანი სწორედ ე.წ. მაყურებლების განეიტრალება იყო?**

– ბუნებრივია, ეს არის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. ეს ამარტივებს და ეფექტურს ხდის ციხის მართვას და ამავდროულად ციხეში კრიმინალური სამყაროს გავლენას ასუსტებს. გარდა ამისა, ეს არის კონკრეტული ადამიანების გადარჩენა, რომ ისინი აღარ მოხვდნენ კრიმინალების ნეგატიური გავლენის ქვეშ და მიეცეთ საშუალება, სასჯელი უფრო მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებებში მოიხადონ. ასეთი იქნება რუსთავის მე-16 დაწესებულება, სადაც ამოქმედდება ე.წ. საწარმოო ზონა. აქ მათ საშუალება ექნებათ, იმუშაონ, მიიღონ განათლება, შეიძინონ სხვადასხვა პროფესიები, ჰქონდეთ უფრო მეტი კონტაქტი გარე სამყაროსთან, ოჯახის წევრებთან და სხვა ნათესავებთან ჰქონდეთ შეუზღუდავი სატელეფონო საუბრები. მათ მიეცემათ საშუალება, სასჯელი მოიხადონ ნორმალურად, კრიმინალური სამყაროს წევრების გავლენის გარეშე და ამავდროულად შეიძინონ პროფესია, დააგროვონ თანხა მუშაობის შედეგად, რაც ბუნებრივია, ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას. ეს ყველაფერი კი განაპირობებს განმეორებითი დანაშაულის შემცირებას, რაც საზოგადოების უსაფრთხოებას უკავშირდება.

საშიშროების რისკების შეფასების მიხედვით, ჩვენ გვეყოლება 4 კატეგორიის პატიმრები: საშიშროების დაბალი რისკის, საშიშროების სტანდარტული რისკის, საშიშროების მაღალი რისკის და საშიშროების განსაკუთრებული რისკის. სიახლეა ის, რომ გვექნება ორი სრულად ახალი ტიპის დაწესებულება – დაბალი რისკის, რუსთავის მე-16 და განსაკუთრებული რისკის – ლაითური.

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოხვდეს, მხოლოდ დაბალი რისკის მსჯავრდადებული, ინდივიდუალური შეფასებით. ის მოთავსდება მისივე წერილობითი თანხმობით და ვალდებული იქნება, იმუშაოს, ან ისწავლოს, ასევე, სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა, სხვა შემთხვევაში ის იქ ვერ მოხვდება. რაც შეეხება მათ უფლებებს, ერთი თვის განმავლობაში მათ ექნებათ 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით დამატებით კიდევ 2 მიეცემათ. ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით შეეძლებათ ულიმიტო სატელეფონო საუბარი. წლის განმავლობაში 6 ხანგრძლივი პაემანი ექნებათ და წახალისების მიზნით დამატებით კიდევ სამი მიეცემათ.

რაც შეეხება იმ კატეგორიას, რომლებიც განსაკუთრებული მეთვალყურეობის ტიპის დაწესებულებაში განთავსდებიან. ლაითურში მოხვდებიან მსჯავრდადებულები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას დაწესებულებას, ან მათ გარშემო მყოფთ, აგრეთვე, საზოგადოების, სახელმწიფოს ან სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას. ეს იქნება შეფასების კრიტერიუმი, უფრო დეტალური კრიტერიუმები მინისტრის ბრძანებით დაიწერება. რაც შეეხება ამ ტიპის დაწესებულების თავისებურებებს – დაწესებულება უფლებამოსილი იქნება მსჯავრდადებულის წინასწარი ინფორმირებით, მოისმინოს და ჩაიწეროს სატელეფონო საუბრები. თუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება განხორციელდება, ამ შემთხვევაში წინასწარ გაფრთხილება არ მოხდება. ამ კატეგორიის პატიმრებს ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით, მხოლოდ ერთი სატელეფონო საუბრის საშუალება ექნებათ, ისიც არაუმეტეს 10 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით შესაძლოა, მათივე ხარჯით დამატებით ერთი სატელეფონო ზარიც განახორციელონ, ასევე 10 წუთი. ერთი თვის განმავლობაში მათ ექნებათ ერთი ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – ერთი დამატებითი ხანმოკლე პაემანი. გრძელვადიანი პაემნები მათ არ ექნებათ. საკნებში ისინი ინდივიდუალურად განთავსდებიან. მათ ასევე არ ექნებათ დაწესებულების დროებით დატოვების უფლება, განსხვავებით სხვა ტიპის დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისგან. თუ ოჯახის წევრი ამ ახლო ნათესავი გარდაეცვლებათ, ინდივიდუალურად, საფრთხის შესწავლის შემდეგ, ისინი შესაძლოა, გაიყვანონ ან არ გაიყვანონ დაწესებულებიდან. მათთვის აკრძალულია ფულადი გზავნილების განხორციელებაც. ისინი ვერც დასაქმების უფლებით ისარგებლებენ.

ცვლილებების შედეგად, შეიქნება 4 ტიპის დაწესებულება – დაბალი რისკის, ნახევრად ღია, რომელიც ჩვენ ისედაც გვაქვს, გეგუთი და რუსთავის მე-17; დახურული ტიპის, როგორიც ასევე უკვე გვაქვს, რუსთავის მე-6 დაწესებულების სახით; და განსაკუთრებული რისკის, როგორიც იქნება ლაითური. მსჯავრდადებულები ინდივიდუალური შეფასებით მოხვდებიან შესაბამის დაწესებულებაში.

რაც შეეხება სხვა სიახლეებს, უმჯობესდება პატიმართა უფლებები, იზრდება პატიმართა საცხოვრებელი ფართი. საერთო სტანდარტი იქნება 4 კვ.მ მსჯავრდადებულთათვის. ქალთათვის და არასრულწლოვანთათვის 4,5 კვ.მ. ბრალდებულთათვის, რომლებიც ჯერ გასამართლებულები არ არიან, იქნება 3 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი ყველა კატეგორიას მოემატება.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ იზრდება ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა. როდესაც რესოციალიზაციაზე ვსაუბრობთ, გარე სამყაროსთან კონტაქტი ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ადამიანი ოჯახის წევრს ხვდება, ის მონადინებულია, კარგად მოიქცეს, რომ ვადაზე ადრე გავიდეს დაწესებულებიდან, ან არ შეეზღუდოს ხანგრძლივი პაემანი ოჯახთან. ეს არის კანონიერი გზა, მართო და დისციპლინა გქონდეს ციხეებში.

ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში ერთი წლის განმავლობაში, ნაცვლად არსებული 2-ისა, იქნება 3, დახურულ ტიპში – 2 და წახალისების ფორმით დამატებით კიდევ 1. მოქმედი კანონმდებლობა წახალისებას საერთოდ არ ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც ხანმოკლე პაემანზე შეეძლება შეხვდეს მსჯავრდადებულს. ჩამონათვალს ემატება პირი, ვისთანაც ჰყავს საერთო შვილი, დედინაცვალი და მამინაცვალი, მეუღლის მშობლები და გერი. ასევე, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით შესაძლებელი იქნება, სხვა პირზეც გაიცეს თანხმობა, თუნდაც მეგობარზე, რომ მან არ დაკარგოს კონტაქტი გარე სამყაროსთან.

რაც შეეხება ვიდეოპაემანს, ადრე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულთათვის ეს აკრძალული იყო, ახლა ინდივიდუალურად შეფასდ-







განსაკუთრებული მეთვალყურეობის ტიპის დაწესებულება


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გავლენა განეიტრალდება

# კრიმინალური სამყაროს წევრები ლაითურის ციხეში განთავსდებიან

**გრიგოლ გიორგაძე:**
**„ეს ხდება პირველად საქართველოს ისტორიაში“**

# რევოლუციური ცვლილებები სასჯელაღსრულების სისტემაში




ება კონკრეტული ადამიანი. რა დანაშაული ჩაიდინა, მნიშვნელობა არ აქვს და ყველას მიეცემა უფლება ვიდეოპაემნით სარგებლობის. აკრძალვა გავრცელდება მხოლოდ განსაკუთრებული რისკის მსჯავრდადებულებზე, რომლებიც ლაითურში იქნებიან.

პატიმარს ასევე უფლება ექნება, დროებით დატოვოს დაწესებულება, არა მხოლოდ ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში, არამედ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიზნით, მაგალითად, სატელევიზიო გადაცემა ეტალონში, ასევე, პოეზიის საღამოებში მონაწილეობის მისაღებად. ეს არის სოციალური აქტივობები, ამიტომაც იქმნება სამართლებრივი ბაზა, რომ ლეგალურად შეგვეძლოს ადამიანის გაყვანა დაწესებულების გარეთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს სამეურნეო საქმიანობისთვის, ანუ ე.წ. „აბსლუგას“ მიეცემა ანაზღაურება. ეს კანონმდებლობით პირველად ხდება საქართველოს ისტორიაში. აქამდე თვითონ მსჯავრდადებულებს უწევდათ, ვთქვათ, სიგარეტის სანაცვლოდ მიეღოთ იმ მსჯავრდადებულთა მომსახურება, რომლებიც სამეურნეოში არიან ჩარიცხულები. ესეც მიმართულია ე.წ. მაყურებლების წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი წილში იყვნენ სამეურნეო ნაწილის მსჯავრდადებულებთან. სამეურნეო ნაწილში მსჯავრდადებულთა ხელფასი პოზიციების მიხედვით 250, 225 და 200 ლარი იქნება.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამოქმედდება ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური მომსახურების სერვისები. ცალკე შეიქმნება მომსახურების სერვისი ფსიქიკურად დაავადებულთათვის. წამალდამოკიდებულთათვის კი ამოქმედდება ნარკოლოგიური მკურნალობის ცენტრი. მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც ჩვენ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში გაგვყავს ათასობით პატიმარი, იქ როგორი უფლებები აქვთ მათ. აქამდე ეს არ იყო დარეგულირებული კანონით. ახლა უკვე ყველა პატრიმარს ექნება უფლება, იყოლიოს მომვლელი, განახორციელოს სატელეფონო ზარები, მიიღოს ამანათი, შეხვდეს ახლობლებს და სხვა. დღეს უკვე ეს რეგულირდება. რაც შეეხება არასრულწლოვან პატიმრებს, არასრულწლოვანთა დაწესებულების ნაცვლად იქნება, ტერმინი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება. მათ მიეცემათ კომპიუტერული თამაშების უფლება, ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების მიღების უფლება, რაც სხვა მსჯავრდადებულებს არ აქვთ. არასრულწლოვნებს, ასევე, გაეზრდებათ პაემნების რაოდენობა. ერთი თვის განმავლობაში მათ ექნებათ ოთხი ხანმოკლე პაემანი. წახალისების ფორმით იქნება ორი დამატებითი. რაც შეეხება ხანგრძლივ პაემნებს, ერთი თვის მანძილზე მანამდე არსებული სამის ნაცვლად ექნებათ ოთხი. წახალისების ფორმით ექნებათ 2 ხანგრძლივი პაემანი, მანამდე იყო ერთი. ასევე, იზრდება ვიდეოპაემნების რაოდენობა. ერთ თვის განმავლობაში მათ ექნებათ ოთხი ვიდეოპაემანი და დამატებითი ორი. მანამდე იყო 10 დღეში ერთი ვიდეოპაემანი და ერთიც დამატებითი.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პატიმრობას, მანამდე პირდაპირ შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება მსჯავრდადებულისთვის. ახლა, თუ ჯერ დისციპლინარული სამართალდარღვევა ექნება, ვთქვათ, საყვედური და განმეორებით კიდევ ჩაიდენს, მხოლოდ ამის შემდეგ შეეფარდება ადმინისტრაციული პატიმრობა.

რაც შეეხება სისტემის მოსამსახურეებს, კანონში ცალკე თავი დაეთმობა მათ უფლება-მოვალეობებს და უზრუნველყოფის გარანტიებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ აღუდგებათ სახელმწიფო კომპენსაცია, ანუ პენსია. კანონმდებლობით ეს არ არის დარეგულირებული და სწორედ ეს ცვლილება შევა, რადგან ისინი იმსახურებენ პენსიას, რადგან განსაკუთრებულ პირობებში მუშაობენ. ეს პენსია გაუტოლდება ძალოვანი უწყების მოსამსახურეთა პენსიას. გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა დამანატი. ასევე, განისაზღვრება სამსახურში მიღების წესები და ამოქმედდება რეზერვის ინსტიტუტი...

**– სისტემის თანამშრომელს არ ექნება გაფიცვის უფლება, ეს ახალია?**

– დიახ, ეს ახალია და მოგეხსენებათ, ძალოვანი უწყების თანამშრომლებს ეკრძალებათ გაფიცვა და შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლები, რადგანაც ძალოვანი უწყების წარმომადგენლები არიან, მათაც, ბუნებრივია, ეხებათ ეს შეზღუდვა. როგორ წარმოგიდგენიათ, ციხის თანამშრომლები რომ გაიფიცონ, პატიმრები რა ვითარებაში აღმოჩნდებიან?!. რაც შეეხება სპეციალური საშუალებების გამოყენებას, აქ განსაზღვრული იქნება, რა შემთხვევაში რა საშუალების გამოყენება შეიძლება, იქნება ეს ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი თუ სხვა...

**– რაიმე არის დამატებული ამ საშუალებებს შორის?**

– არაფერი.

**– რა შემთხვევაში მოხდება მათი გამოყენება?**

– ეს არის ინდივიდუალურად, კონკრეტულად რა სიტუაციასთან გვექნება საქმე, იმის მიხედვით ადეკვატურად იქნება გამოყენებული კონკრეტული საშუალება.

**– საბოლოო ჯამში, ამ ცვლილებებით რა შედეგს ელოდებით? კრიმინალურ ავტორიტეტებში ამან შესაძლოა, გამოიწვიოს ერთგვარი უკმაყოფილება, გაქვთ გათვლილი რისკები?**

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია... როდესაც კონკრეტული მსჯავრდადებული სხვა მსჯავრდადებულთან ერთად უნდა განთავსდეს, ხდება საშიშროების შესწავლაც, ეს რაიმე დაპირისპირებას ხომ არ გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს თანამშრომლების გადამზადებაც და სწორედ ეს კვალიფიციურობა და საკითხის სწორი შესწავლა აგვარიდებს გაუგებრობებს. პირიქით, ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ არ იყოს დაპირისპირებები, შემცირდეს დანაშაული ციხეში და მართვა გახდეს უფრო ეფექტური კანონის ფარგლებში და არა ისეთი მეთოდებით, როგორც ადრე ხდებოდა.

**– როდის შევა ეს ცვლილებები ძალაში?**

– ჩვენ კოლეგა უწყებებს, არასამთავრობოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე გაუგზავნეთ ამ ცვლილებათა პროექტი, იმისთვის რომ მოვისმინოთ მათი შენიშვნები. ჩვენ გვსურს, რომ მაქსიმალურად ღია იყოს განხილვა მეტი ჩართულობით. 13 ნოემბერს გვექნება შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების, კოლეგა უწყებების, პარლამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მას შემდეგ, რაც მივიღებთ კონკრეტულ შენიშვნებს და შევჯერდებით, შემდეგ წარედგინება ის მთავრობას და შემდეგ პარლამენტს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური ექიმბაში პატი

# როგორ დაალწია მართლმსაჯულებას თავი დომენტი გაგნიძემ?



my View
მირიან ბოქოლიშვილი

**საქართველოს პარლამენტის მიერ არჩევნების შემდეგ გამოცხადებული საყოველთაო ამნისტია ათასობით პირს შეეხო, მათ შორის პატიმრებს და იმ პირებსაც, რომელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 2012 წლის 2 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულზე იყო დაწყებული, თუმცა ჯერაც არ არსებობდა სასამართლოს განაჩენი. იმ პირებს შორის, რომლებზეც გამოძიება ამნისტიის საფუძველზე შეწყდა, სკანდალურად ცნობილი ექიმბაში, დომენტი გაგნიძეც გახლდათ. მის ირგვლივ ხმაურიანი ბრალდებები პირველად სწორედ „პრაიმტაიმის“ მეშვეობით გაჟღერდა, როდესაც ჩვენ რედაქციაში გაგნიძის მიერ დამზადებული პრეპარატებით („დომენტოლი“ და „გაგენოლი“) დაზარალებული პაციენტი დაგვიკავშირდა. სტატიის დაბეჭდვისთანავე კი კიდევ უფრო გაიზარდა „სახალხო მკურნალის“ მომჩივანთა რაოდენობა. მალე ეს საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების მთავარ თემადაც იქცა, რის შემდეგაც დომენტი გაგნიძის საქმიანობით ჯანდაცვის სამინისტრო და საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ. დომენტი გაგნიძეს „დომენტოლის“ და „გაგენოლის“ წარმოება აეკრძალა და ბრალიც წარედგინა - დოკუმენტის გაყალბება და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის გამო. წარმოების პროცესში ჩატარდა დომენტი გაგნიძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც სამართალდამცველებმა 1 მილიონ 200 ათასი ლარი ამოიღეს, პარალელურად ყადაღა დაედო მის სახელზე რიცხულ უძრავ-მოძრავ ქონებას. „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ქონების ჩამონათვალს, რომელიც ამჟამადაც დაყადაღებულია, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ სკანდალური „სახალხო მკურნალი“ საჩივრით მიმართავს პროკურატურას, კუთვნილი 1 მილიონ 200 ათასის დაბრუნებასა და მის ქონებაზე ყადაღის მოხსნას ითხოვს. ეს ქონება კი ნამდვილად შთამბეჭდავად გამოიყურება: 41 ათასი კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თელავის რაიონის სოფელ შალაურში; თელავში კავკასიონის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მიკრორაიონში მდებარე 157 კვ.მ მოცულობის საზაფხულო ფართი, MITSUBISHI PAJERO IO (გამოშვების წელი 1999); TOYOTA LANDCRUISER (2010 წელი); MERCEDES BENZ ML (2000 წელი); MERCEDES BENZ E 200 CDI (2002 წელი); UAZ 3303-01 (1986 წელი).**



თავად დომენტი გაგნიძე მთელი ამ ქონების დაყადაღებას და 1 მილიონ 200 ათასი ლარის ჩამორთმევას უკანონოდ მიიჩნევს და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით პროკურატურას მიმართავს. ის რედაქციაში თავად დაგვიკავშირდა, გვაცნობა, რომ ძველი საქმიანობის გაგრძელებისა და საკუთრების დაბრუნების მიზნით აქტიურ ბრძოლას იწყებს.

„როგორც მოგეხსენებათ 2012 წელს ბრალი დამდეს ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღებასა და აქედან გამომდინარე უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში. თითქოს მე, გამოვიყენე 2009 წლის 25 თებერვლით დათარიღებული მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის ყალბი ანგარიში პარასამკურნალო პრეპარატების „დომენტოლისა“ და „გაგენოლის“ წარმოების მიზნით. მინდა გითხრათ, რომ ჩემს პრეპარატებზე ლიცენზია გაიცა არა მარტო მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ, არამედ სამედიცინო უნივერსიტეტისა და ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის ანგარიშების მიხედვით. თუნდაც ერთ-ერთი კლინიკური კვლევის ანგარიში სრულიად საკმარისი იყო ლიცენზიის მისაღებად“, - ამბობს დომენტი გაგნიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია განხორციელდა.

„ყოველივე იქიდან დაიწყო, რომ 2010 წლის იანვარ-თებერვალში ჩემთან მოვიდა ვინმე დავით მეტრეველი, რომელიც ცხოვრობდა ვითომ ქალაქ რუსთავში. გამეცნო, როგორც სამხედრო ექიმი, წარმომიდგინა შესაბამისი დოკუმენტიცია და მთხოვა დასაქმება. მე იგი მივიღე სამსახურში და ეჭვიც არ შემპარვია მის გულწრფელობაში, რადგან არაფერს დასამალს და კანონსაწინააღდეგოს ჩემს საქმიანობაში ადგილი არ ჰქონია. დაახლოებით 2 თვეში დავით მეტრეველმა ჩემგან წაიღო პრეპარატები და მითხრა, რომ ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში ცხოველებზე ახორციელებდა ჩემი პრეპარატების კვლევას, რითაც მეც დავინტერესდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან მითხრა, რომ ცხოველებს ბეწვის სტრუქტურა გაუუმჯობესდათ და პრეპარატებმა დადებითად იმოქმედეს, თანაც მომიტანა კვლევის „ანგარიშიც“, რომლის ნამდვილობაშიც, რა თქმა უნდა, ეჭვიც არ შემიტანია. შესაბამისად, სხვა ანგარიშებთან ერთად წარვადგინე ჯანდაცვის სამინისტროში. საეჭვოა, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩატარდა ჩემი საგადასახადო შემოწმებაც. დამიწერეს აქტი, ჩატარდა ჩემი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს ჩემი კუთვნილი თანხა დაახლოებით 1 მილიონ 200 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებიათ. დღეს, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დავით მეტრეველი, რომლის განცხადების საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ჩემთან იყო შემოგზავნილი, რათა მოეხდინა დანაშაულის პროვოცირება. დავით მეტრეველის მიერ ყალბი დოკუმენტის დამზადება და შემდეგ ჩემს წინააღდეგ მისი გამოყენება ფინანსური პოლიციისა და შემოსავლების სამსახურის წინასწარ შემუშავებული გეგმა იყო, რომლითაც უდიდესი მორალური და ფინანსური ზიანი მომაყენეს. არ გაითვალისწინეს არც ჩემი ასაკი და არც ჩემი საქმიანობა“, - ამბობს დომენტი გაგნიძე.

მისი საქმიანობა კი საზოგადოების დიდ ნაწილში დღესაც ბევრ ეჭვს ბადებს... დომენტი გაგნიძე კვლავაც მიიჩნევს, რომ მის პრეპარატებს, რომელსაც „სიზმრად ნანახ ბალახეულზე“ ამზადებს, მძიმე დაავადებების განკურნება შეუძლია, მათ შორის ავთვისებიანი სიმსივნის. ამის მიუხედავად, მისი საქმიანობით დაზარალებული პაციენტების



## დომენტი გაგნიძის ქონება: 41 ათასი კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თელავის რაიონის სოფელ შალაურში; თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მიკრორაიონში მდებარე 157 კვ.მ მოცულობის საზაფხულო ფართი, MITSUBISHI PAJERO IO (გამოშვების წელი 1999); TOYOTA LANDCRUISER (2010 წელი); MERCEDES BENZ ML (2000 წელი); MERCEDES BENZ E 200 CDI (2002 წელი);


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მრობისგან ამნისტიამ იხსნა

# EXCLUSIVE


„დომენტოლი“ და „გაგენოლი“

EXCLUSIVE

საშიში პრეპარატები და მკურნალი, რომელსაც თაღლითობაში ადანაშაულებენ


სადღაც „დომენტოლით“ და „გაგენოლით“ დაზარალებულთა რაოდენობა იზრდება

EXCLUSIVE

ექიმბაშის წამლებით 37 წლის ქალბატონი გარდაიცვალა, 48 წლის მამაკაცი კი სიკვდილს ებრძვის

## რამდენი მილიონი ამოიღეს „სახალხო მკურნალის“ სეიფიდან და რა ქონების მფლობელია ის?

რაოდენობა არც თუ მცირე გახლდათ. მაგალითად, 37 წლის ანა გუსაშვილის დედა, ჩვენთან საუბარში ირწმუნებოდა, რომ მისი ქალიშვილი სწორედ გაგნიძის პრეპარატებმა იმსხვერპლა. ქალბატონი ნათელა გუსაშვილი ამტკიცებს, რომ დომენტი გაგნიძე ხალხს ფულს სძალავდა და ავადმყოფი ადამიანების გასაჭირს საკუთარი ოჯახის გასამდიდრებლად იყენებდა.

**ნათელა გუსაშვილი, გარდაცვლილის დედა:**

– კარგად მახსოვს ის ავბედითი დღე, როდესაც გაგნიძესთან მივედით. 12 სექტემბერი იყო. ჩემი შვილი ჩვეულებრივ გამოიყურებოდა. ფეხზე დადიოდა და მუშაობდა. ნემსების გაკეთებიდან 6 დღეში კი მთლიანად დაეცა. ადრე ჰქონდა მკერდზე ლიმფური ჯირკვლის ოპერაცია გაკეთებული. მერე რეციდივი განუვითარდა. ვიცი, ეს ისეთი დაავადებაა, საბოლოოდ რომ ვერ განკურნავ, მაგრამ შეიძლებოდა ჩემს შვილს კიდევ რამდენიმე წელი ეცოცხლა, ეს დასაწვავი წამლები რომ არ გაეკეთებინა. გაგნიძეს ვუთხარით: თუ ვერ უშველი, ხელს ნუ მოკიდებ-მეთქი, ხომ ხედავ, ფეხზე დადის, ენერგიულად არის, ესა და ეს სჭირს, თან ძალიან გვიჭირს. შევეხვეწე, ორი პატარა შვილი ჰყავს და თუ არ შეგიძლია, ნუ მოგვატყუებ-მეთქი. გვიპასუხა: - რას ლაპარაკობთ, გაიკეთეთ ეს წამლები და 20 წლით სიცოცხლეს გავუხანგრძლივებო. 100%-იან გარანტიას იძლეოდა. გამოვართვით ეს „დომენტოლი“ და „გაგენოლი“. თითო პენიცილინის შუშა ორასი ლარი ღირდა და ექვსი ნემსი კეთდებოდა. წამოვიღე ეს წამლები, ვიფიქრე, სახლ-კარს გავყიდი და მოვარჩენ-მეთქი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, უბრალოდ, დამაყაჩაღა და ჩემს შვილს სიკვდილი დაუჩქარა. 6 ნემსი რომ გავუკეთეთ, რეანიმობილის გამოძახება დაგვჭირდა, ექვს დღეში გადავიყვანეთ პალეატიურში, თბილისში. გოგო მთლიანად დაეცა. მივედით ისევ დომენტისთან, გვეუბნებოდა, მოამაგრეთ და გაუკეთეთ ისევო, ექიმების არაფერი არ მისცეთ, მარტო ეს ნემსები გაუკეთეთო. პალეატიურში ექიმებმა მოამჯობინეს, მათი ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ რად გინდა, შვილო, რომ გამოვიყვანეთ, ისევ ხელზე დაგვიხვია. დაგვარწმუნა, ნემსების გაკეთება გაგვეგრძელებინა. არ შეგეშინდეთ, გამოიწმინდება ამ წამლებითო. ისე გველაპარაკა, დაგვაიმედა და დავიჯერეთ. თებერვალში ამ წამლებმა ლოგინად ჩააგდო. თავის დაბადების დღეზე, 17 აპრილს, ფეხზე ველარ წამოდგა. წითელ პარასკევს კი სული დალია.

ნათელა გუსაშვილის მსგავსად საკუთარი შვილის გარდაცვალებას დომენტი გაგნიძის პრეპარატებს უკავშირებდა ეთერ კუპატაძეც. 48 წლის ტარიელ კუპატაძე „დომენტოლის“ და „გაგენოლის“ მიღებიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

პაციენტების გარდა დომენტი გაგნიძეს მალე საკუთარი თანამშრომლებიც დაუპირისპირდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა „პრაიმტაიმს“ მოუყვა, რომ „დომენტი გაგნიძემ „დომენტოლისა“ და „გაგენოლის“ რეალიზაციით 18 მილიონი ლარი მიიღო და სახელმწიფო ბიუჯეტში არანაირი შენატანი არ გაუკეთებია“.

**მიხეილ ადამაშვილი, დომენტი გაგნიძის ყოფილი პიარ-მენეჯერი:**

– ამ კაცთან მუშაობა 2010 წლის სექტემბერში დავიწყე. პიარი უნდა გამეკეთებინა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი წამლები მართლა შედეგიანი იყო, ამიტომაც უპრობლემოდ დავთანხმდი. ყველანაირად ვცდილობდი, მისი ნიჭის შესახებ გაეგო მოსახლეობას, გავაკეთეთ რამდენიმე სატელევიზიო გადაცემა, საგაზეთო სტატიები, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, მისმა აფიორამ თავი მაინც იჩინა. სწორედ თქვენი გაზეთი იყო პირველი, რომელმაც ე.წ. მკურნალი ამხილა და ცხადია, ამის შემდეგ უკვე გაჩნდა ეჭვები მთელ რიგ საკითხებზე. გაირკვა, რომ წამალს, რომლის გაკეთებაც მას 3-4 ლარი უჯდება, 1 800 ლარად ყიდის ხალხზე (სამი კურსი ასე ჯდება, თითო ამპულა 200 ლარი ღირს). რეალურად, ეს არანაირ შედეგს არ იძლევა და აგერ ჯანდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა, რომ ადამიანები მისგან, უბრალოდ, სიკვდილს ყიდულობენ და სხვას არაფერს.

ხმაურიანი ბრალდებების მიუხედავად, დომენტი გაგნიძე საკუთარი პრეპარატების სასწაულმოქმედებაში დარწმუნებულია. ის ამ ეტაპზე დაყადაღებული ქონებისთვისა და ჩამორთმეული 1 მილიონ 200 ათასისთვის იბრძვის, მოგვიანებით კი ლიცენზიის აღდგენასა და ძველი საქმიანობის გაგრძელებას აპირებს.

## „დომენტოლისა“ და „გაგენოლის“ რეალიზაციით 18 მილიონი ლარი მიიღო და სახელმწიფო ბიუჯეტში არანაირი შენატანი არ გაუკეთებია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსპერტები ახალი პრემ



**სოსო ცინცაძე:** **„რასაც ვერ უბედავდნენ ივანიშვილს, ერიდებოდათ... ეს დამცველი მექანიზმები ახალ პრემიერს აღარ ექნება“**



**ნიკა ჩიტიძე:** **„არა მგონია, მინისტრთა კაბინეტში რადიკალური ცვლილებები მოხდეს... შეიძლება, ერთი-ორი მინისტრი შეიცვალოს“**



**კახი კახიშვილი:** **„ივანიშვილმა წარადგინა პრემიერი, რომელიც არ იყო რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან მკვეთრად ასოცირებული“**



**გია ნოდია:** **„თუ ერთზე მეტი შეიცვლება ეს ნიშნავს, რომ ღარიბაშვილს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების უნარი და უფლება აქვს“**

ნინო დათაშვილი

**პრემიერის მემკვიდრე გარკვეულია. ახლა ისაა გასარკვევი ვინ დარჩება და ვინ გაიცხრილება ახალი მინისტრთა კაბინეტიდან. ივანიშვილმა მომავალი და ახლანდელი მინისტრების ბედიც ირაკლი ღარიბაშვილს მიანდო. ძნელი გამოსაცნობია ვინ შეიძლება დარჩეს და ვინ გაიცხრილოს მინისტრთა კაბინეტიდან. ახალ პრემიერთან და მომავალ მინისტრთა კაბინეტში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ ექსპერტებს ესაუბრა.**

**ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:**

- მისი წარსულიდან გამომდინარე, დადებითი გახლავთ ის, რომ მას აქვს საინტერესო და შესაბამისი განათლება. ეს მისასალმებელია. მეორე ფაქტი არის ის, რომ იგი საბანკო საქმიანობაში იყო ჩართული და „ქართუ ბანკში“ მან მიიღო შესაბამისი გამოცდილება. ასე რომ, ეკონომიკურ სფეროში მას აქვს შესაბამისი გამოცდილება. რაც შეეხება უარყოფითს, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მან ვერ მოახერხა პოლიციის დეპოლიტიზირება. მიუხედავად მისი განცხადებებისა საფუძვლიანად არ იყო აღკვეთილი ის პროვოკაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2013 წლის 8 თებერვალს, 17 მაისს, იგივე 1 მაისს, როდესაც პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა. პოლიციის მხრიდან უმოქმედობას ჰქონდა ასევე ადგილი, როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობებში შეიჭრა მოსახლეობა. პოლიციას ევალებოდა აღნიშნული შენობების დაცვა. ასე რომ, ერთ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ირაკლის აქვს საფუძვლიანი განათლება, მაგრამ რაც შეეხება შსს-ს, მიჭირს თქმა, რომ იგი გახლდათ კარგი მენეჯერი. დაშვებული იყო შეცდომები, მიუხედავად იმისა, რომ პატრულის ეკიპაჟი 30%-ით გაიზარდა. ვნახოთ, როგორი პრემიერი იქნება ბატონი ღარიბაშვილი. იმედს ვიტოვებ, რომ მისი განათლება და საქმიანობა ფინანსურ სფეროში, ალბათ, მომავალში დადებით ასახვას ჰპოვებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ყოველ შემთხვევაში ამის სურვილი მაქვს და გარკვეული იმედებიც, რომ ეს ასე იქნება. თუმცა ის შეცდომები, რაც მან შსს-ს მინისტრად ყოფნის პერიოდში დაუშვა, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩია პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილი, წარმატებების გამო?**

- იცით რა არის, ღარიბაშვილს ივანიშვილი დიდი ხანია იცნობს. საბანკო სფეროში მუშაობის პერიოდში ბატონმა ღარიბაშვილმა თავი დაიმკვიდრა, როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა თავის სფეროში. იგივე კალაძეც დაახლოებული პირია ივანიშვილთან, მაგრამ კალაძეს უკვე აქვს ვიცე-პრემიერის პოსტი, რომელიც საკმაოდ მაღალი პოსტია. რაც შეეხება ალასანიას, რომელთანაც გარკვეული უთანხმოება ჰქონდა ბატონ ივანიშვილს და ამის გამო იგი გადაყენებული იქნა ვიცე-პრემიერის პოსტიდან და რაც შეეხება სერგეენკოს, ჩემი აზრით, ის მინისტრთა კაბინეტში ყველაზე წარმატებული მინისტრია, მაგრამ შეიძლება ივანიშვილმა ჩათვალა, რომ მას გარკვეული ქარიზმა აკლია. ამიტომაც არჩია ღარიბაშვილის კანდიდატურა. პრემიერ-მინისტრის პოსტზე საჭირო იყო გარკვეული ფინანსური და ეკონომიკური გამოცდილების მქონე ადამიანი, რადგან მომავალი პრემიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება პასუხისმგებელი. ამიტომაც ბატონი ღარიბაშვილის წარსული საქმიანობიდან გამომდინარე გაკეთდა არჩევანი ივანიშვილის ხმრიდან.

**- როგორ ფიქრობთ, რა სახის ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მინისტრთა კაბინეტში და ვინ შეიძლება განიხილებოდეს ყველაზე სუსტ რგოლად?**

- პრემიერი წარადგენს ახალ გუნდს და არა მგონია, რომ მინისტრთა კაბინეტში რადიკალური ცვლილებები მოხდეს. შეიძლება ერთი-ორი მინისტრი შეიცვალოს. ვთქვათ, ვინ იქნება ახლა შინაგან საქმეთა მინისტრი. დავუშვათ კალაძე გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი, გასარკვევი იქნება ენერგეტიკის მინისტრის კანდიდატურა... თუმცა კალაძის კანდიდატურას შსს-ს მინისტრის პოსტზე ნამდვილად არ ვემხრობი, რადგან პოლიტიკურად ანგაჟირებულია. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები. ყოველ შემთხვევაში შსს-ს მინისტრი უნდა იყოს უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებში კომპეტენტური. რაც შეეხება სუსტ რგოლს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი სუსტი რგოლი იყო სწორედ შსს. რაც შეეხება სხვა სუსტ რგოლს, ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ ახორციელებს გარკვეულ რეფორმებს წარმატებით, ასევე ეკონომიკის სამინისტრო, რადგან ვერ იქნა უზრუნველყოფილი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარება. ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობა შარშან თუ 6%-ით იზრდებოდა, წელს 2%-ს თუ მიაღწია, ეგაც წარმატებაა... ასე რომ, ჩემი აზრით, დღეს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი მინისტრთა კაბინეტში სწორედ ეკონომიკის სამინისტროა.

**კახი კახიშვილი, ექსპერტი:**

- ჯერ მხოლოდ ის შემიძლია განვაცხადო, რომ რეალურად ივანიშვილმა წარადგინა პრემიერი, რომელიც არ იყო რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან მკვეთრად ასოცირებული და ის არ გაუცვნია მას პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ. შეარჩია ის ადამიანი, ვისაც წლებია იცნობს და ენდობა. და ასევე პრემიერის პოზიციიდან ის არ დაიწყებს რომელიმე პარტიის გამაგრებას. ეს პრინციპებია ღარიბაშვილის და მარგველაშვილის შერჩევის შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, ალბათ, ღარიბაშვილი შეეცდება გააგრძელოს ის კურსი, რომელიც ჰქონდა ივანიშვილს. ივანიშვილმა მასთან მკვეთრად ასოცირებული ფიგურა პრემიერად აირჩია. ფაქტობრივად, კოალიციის ლიდერებს ექნებათ განცდა, რომ როდესაც ელაპარაკებიან ღარიბაშვილს, ელაპარაკებიან ბიძინა ივანიშვილს.

**- მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ ცვლილებებზე მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, რა სახის ცვლილებები განხორციელდება და ვინ შეიძლება ყველაზე სუსტ რგოლად მივიჩნიოთ მინისტრთა კაბინეტში?**

- ჩემი გადასახედიდან მინისტრთა კაბინეტი გადასახალისებელია, მაგრამ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ირაკლი ღარიბაშვილი მე ამის შესახებ არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კმაყოფილია ყველა მინისტრით. ამავდროულად დასძინა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მიიღებს გადაწყვეტილებასო. მე რომ მკითხო, შესაცვლელები არიან.

**- ვინ არიან შესაცვლელები, როგორ ფიქრობთ?**

- მე ახლა სახელებზე და გვერებზე საუბარს ვერ დავიწყებ, მაგრამ ვფიქრობ, ზოგიერთმა მინისტრმა ეფექტური გადაწყვეტილებები ვერ მიიღო, რის გამოც, იმ დარგში სადაც მოღვაწეობს, პრობლემები შეიქმნა. მათ თავის მოვალეობას რთულ და გარდამავალ პერიოდში თავი ვერ გაართვეს. შესაძლებელია ეს მინისტრები იყვნენ წარმატებულები ნორმალურ, დალაგებულ ქვეყანაში, მაგრამ მათ ვერ შეძლეს კოჰაბიტაციის პერიოდში იმ რთული ამოცანების შესრულება, რომელიც ეკისრებოდათ. თუმცა ახლა სახელზე და გვარებზე აქცენტს ვერ გავაკეთებ. თუმცა ვურჩევს იმ გუნდს, რომელიც დაიწყებს მინისტრების შერჩევას, რომ გადაახალისონ მინისტრთა კაბინეტი, რადგან დღეიდან საქართველოში არანაკლებ რთული პერიოდი იქნება.

**- ცვლილებებში შესაძლებელია ირაკლი ალასანია მოხვდეს?**

- არ ვიცი, მოხვდება თუ არა ამ ცვლილებებში ირაკლი ალასანია. ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვით წინასწარ.

**გია ნოდია, ექსპერტი:**

- ივანიშვილმა მისი შემცვლელი შეარჩია პირადი ერთგულების ნიშნით და შეიძლება ველოდოთ, რომ ის იყოს ერთგვარი მარიონეტი ივანიშვილის ხელში. ყოველ შემთხვევაში პრინციპულ და ძირითად საკითხებში შეასრულებს ივანიშვილის რჩევებს და მითითებებს. ამდენად მინიმალურად შეიცვლება რამე იმ პოლიტიკაში, რაც აქამდე იყო...

**- რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის ცვლილებას, როგორ ფიქრობთ, რა სახის გადახალისებას უნდა ველოდოთ და ვინ შეიძლება იყოს ყველაზე სუსტი რგოლი მინისტრთა კაბინეტში?**

- ივანიშვილმა თვითონ თქვა, რომ მაქსიმუმ ერთი მინისტრი შეიცვალოსო. ეს თავისთავად ტესტი იქნება. თუ ერთზე მეტი შეიცვლება,ეს ნიშნავს, რომ ღარიბაშვილს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების უნარი და უფლება აქვს, თუ არ შეიცვლება, კეთებს იმას, ასაც ივანიშვილი ეუბნება. სუსტ რგოლს რაც შეეხება, მთავარია, ივანიშვილი ვის თვლის სუსტ რგოლად, თორემ მე ვის ვთვლი, ეს არ არის მნიშვნელოვანი. რადგან ივანიშვილმა ახსენა ერთი მინისტრი შეიძლება შეიცვალოსო, ალბათ, ვიღაცას თვლის სუსტ რგოლად.

**- შეიძლება ალასანია იყოს ის ვინც გამოიცვლება?**

- რა თქმა უნდა, შეიძლება. ნებისმიერი მინისტრი, რომელიც დღეს მინისტრთა კაბინეტშია, შესაძლოა შეიცვალოს. მათ გარდა ვინც ივანიშვილმა დაასახელა. მაგალითად, კვირიკაშვილზე თქვა,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იერის კანდიდატურაზე



# ვინ არის სუსტი რგოლი კაბინეტში

## გია ნოდია: „ივანიშვილმა მისი შემცვლელი პირადი ერთგულების ნიშნით შეარჩია და შეიძლება ველოდოთ, რომ ის იყოს ივანიშვილის ერთგვარი მარიონეტი“

რომ ვიცე-პრემიერად დარჩებაო. ვინც ამ კონტექსტში არ უხსენებია, შეიძლება შეიცვალოს.

**- გიორგი კვირიკაშვილი ახსენეთ, რომელიც პრემიერმა რამდენიმე თვის წინ დანიშნა ვიცე-პრემიერად. როგორ ფიქრობთ, ეკონომიკური კრიზისის ფონზე ეკონომიკის მინისტრის დაწინაურება სწორი გადაწყვეტილება იყო?**

- თვითონ ივანიშვილი არ თვლის, რომ ეკონომიკური კრიზისია და შესაბამისად, თუ აქედან გამოვალთ, მაშინ სწორია. თუ ივანიშვილი აღიარებს, რომ ეკონომიკური კრიზისია, მაშინ ყველაფერი უნდა შეცვალოს, უნდა შეცვალოს მთლიანად პოლიტიკა.

**- რაც შეეხება ღარიბაშვილს, როგორ ფიქრობთ, იყო ის წარმატებული მინისტრი?**

- ივანიშვილის თვალში იყო წარმატებული მინისტრი. იყო მომენტები, როდესაც პოლიციამ აჩვენა ძალიან დიდი სისუსტე. საბოლოოო ჯამში ვერ ვიტყვი, რომ რამე გაფუჭდა ამ სფეროში, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ რამე გაუმჯობესდა.

**მიხეილ თავხელიძე, ექსპერტი:**

- ივანიშვილმა ეს კანდიდატურა პირადი ლოიალურობიდან გამომდინარე შეარჩია. რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ეს ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეთ...

**- მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ გადახალისებაზე რას იტყვით. როგორ ფიქრობთ, რომელი მინისტრები შეიცვლებიან და ვინ შეიძლება იყოს ყველაზე სუსტი რგოლი?**

- ამ საკითხზე ძალიან გამიჭირდება პასუხის გაცემა. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეთ. მისი ლოგიკა აბსოლუტურად გაუგებარია.

**სოსო ცინცაძე, ექსპერტი:**

- ჩემი აზრით, არანაირი სერიოზული საკადრო ცვლილებები არ იქნება ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ. მგონი გასაგებად თქვა ივანიშვილმა, რომ არანაირი ცვლილებები არ იქნება. ყველაზე დიდი, შეიძლება ერთი მინისტრი შეიცვალოსო. ამიტომ საკადრო ცვლილებები ჯერჯერობით არ იქნება. აქ არ იქნება ისე, რომ ღარიბაშვილმა თქვას, მე ჩემი ხალხი მინდაო, რადგან მაგის ხალხი ივანიშვილის ხალხია. პოლიტიკურ კურსშიც არ არის დიდი ცვლილება მოსალოდნელი, რადგან კურსის განმსაზღვრელად კვლავ ივანიშვილი რჩება. აქ შეიძლება სხვა ნიუანსები გამოიკვეთოს. თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის, არასამთავრობოებისთვის უფრო ადვილი საკბენი იქნება ახალი პრემიერი. რასაც ვერ უბედავდნენ ივანიშვილს, ერიდებოდათ, ან მისი ავტორიტეტი არ აძლევდათ ამის საშუალებას, თუნდაც მისი ავტორიტეტის გამო, ეს დამცველი მექანიზმები ახალ პრემიერს აღარ ექნება. შეხედეთ როგორი სიტუაცია იყო დღემდე. საკმარისი იყო ვიღაცას რაიმე კრიტიკული ეთქვა, არა მინისტრზე არამედ მინისტრის მოადგილეზეც კი, რომ ივანიშვილი კლდესავით იყო აღმართული მის დასაცავად. ივანიშვილს სამოქალაქო სექტორიდან ამის საშუალება აღარ ექნება. ამიტომ ივანიშვილის იმედზე ვერც პრემიერი და ვერც მინისტრები ვეღარ იქნებიან. ეს იქნება სიახლე. მინდა აღვნიშნო, რომ პირველად საქართველოში პრემიერი ინიშნება ივანიშვილის კეთილი ნების თანახმად. ფაქტია ისიც, რომ ღარიბაშვილმა უკვე დაამტკიცა, რომ ის კარგი მენეჯერია. ადვილი არ იყო ივანიშვილის მილიარდიანი ფონდის ხელმძღვანელობა, მაშინ, როდესაც სააკაშვილის მთავრობა ჩასაფრებული იყო.

**- თქვენ თქვით, რომ მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, თუმცა, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საჭიროება მინისტრთა კაბინეტის გადახალისებისა და ვინ შეიძლება იყოს ყველაზე სუსტი რგოლი?**

- საჭიროება ერთია და რეალობა მეორე. რამდენიმე მინისტრმა დაამტკიცა, რომ ის კარგი მინისტრი არ არის. მე თუ მკითხავთ, რამდენიმე სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია. თუმცა მე არ ველოდები, რომ მოვა ღარიბაშვილი, ცოცხს აიღებს ხელში და დაგვის მინისტრთა კაბინეტს. ეს იქნება კენჭების სროლა ივანიშვილის ბოსტანში, რაზეც ღარიბაშვილი არ წავა.

**- რომელ მინისტრებს გულისხმობთ, ვინ უნდა შეიცვალოს?**

- მაგალითად, გარემოს დაცვის მინისტრი თუ გვყავს მე არ ვიცი, რადგან ტყის უკანონო ჭრა უფრო გაძლიერდა, ვიდრე აქამდე. ასევე ვერ ვხედავ ინტეგრაციის სამინისტროს მარგი ქმედების კოეფიციენტს. ზაქარეიშვილი კარგად ლაპარაკობდა მაშინ, როდესაც მას არაფრის გადაწყვეტილების უფლება არ ჰქონდა და ახლა, როდესაც რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, საერთოდ გაჩუმდა.

**- შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულად?**

- შეიძლება ითქვას, რომ შსს-მ თამასა იმ დონეზე შეინარჩუნა. 10 ათასამდე ადამიანი გამოვიდა ციხიდან, რომელთაგანაც უმეტესი დამნაშავეები იყვნენ. ამის მიუხედავად, კრიმინალი საგრძნობლად არ გაზრდილა. თავდაცვის სამინისტროზე ვერაფერს ვიტყვი. ეს უწყება ფასდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას ომის გადატანა უწევს. ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენ ამისგან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოყენება იკრძალება

# ელენე თევდორაძე დაკითხეს

# „ნაციონალების გუნდის წევრი არასოდეს ვყოფილვარ“

ელენე თევდორაძე მთელი რვა წლის განმავლობაში შეურაცხყოფილი იყო და ეს რატომღაც დღეს, ნაციონალების ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ გააცნობიერა. აქამდე მხოლოდ წუხდა და ახლა უკვე ხმამაღლა ლაპარაკიც დაიწყო. აღმოჩნდა, რომ სიები, რომელზეც საკუთარ კომისიასთან ერთად კვირების განმავლობაში მუშაობდნენ, პროკურატურაში იცვლებოდა, თანაც ისე, რომ თევდორაძეს არაფერს ატყობინებდნენ. ასევე აღმოჩნდა, რომ ადეიშვილი უსამართლო საქციელის გამო არც წუხდა, უფრო მეტიც, თევდორაძის ზარებს არც კი პასუხობდა. სამაგიეროდ არასოდეს მოსვლია აზრად ქვეყნის ლიდერთან დალაპარაკება, შეხვედრა ან თუნდაც დაკონტაქტება...



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი




თავად თევდორაძე ამბობს, რომ ყველაფერს ხმამაღლა ამბობდა და წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მის მიერ შედგენილი სიები პრეზიდენტთან სახეცვლილებით ხვდებოდა. ამტკიცებდა, რომ ციხის ბუნტის დროს ახალაიაზე მეტად ბოკერია და მერაბიშვილი აქტიურობდნენ... თუმცა მისი პროტესტი რატომღაც არავის ახსოვს, არც მედიას, არც პოლიტიკოსებს... მგონი, არც თავად თევდორაძეს...

რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს... ნაციონალების გუნდის წევრს ეშინია უფუნქციოდ დარჩენის და მარგველაშვილისგან წინადადებას, ახალ კომისიაში წევრად დარჩენის შესახებ, არათუ სიხარულით მიიღებს, არამედ ელოდება კიდეც....

**ელენე თევდორაძე, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე:**

- მე სულ ვამბობდი რა მძიმე მდგომარეობა იყო და შეურაცხყოფილები ვიყავით მთელი 8 წლის განმავლობაში. საერთოდ, მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, მაგრამ ეტყობა არ უსმენდნენ და ახლა უკვირთ რატომ იყავი ჩუმადო. როდესაც სიებზე მუშაობას ვასრულებდით, მედიასთან ყოველთვის ვამბობდი, ჩვენი სიები, სავარაუდოდ გაცხრილული იქნება მეთქი. როდესაც სიას გადავაგზავნიდით და ვნახავდი, რომ გათავისუფლებული 300 კაციდან ჩვენი გადაგზავნილი სიიდან მხოლოდ 4 კაცი იყო, ბუნებრივია, შემდეგ ვინტერესდებოდი. პრეზიდენტი ხომ ნახულობდა მასთან შეტანილ სიებს, როცა იქ დარღვევები იყო და სიაში ხვდებოდნენ ისეთი პირები, ვისაც არ ეკუთვნოდა კანონით გათავისუფლება, წესით, პრეზიდენტს ამაზე უნდა ჰქონოდა რეაგირება.

**- ამის გამო არც პროტესტი გიჩნდებოდათ?**

- იცით ასეთ დროს ჩემთვის იმ ოთხი ადამიანის თავისუფლებაც მნიშვნელოვანია. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ჩვენი გადაგზავნილი სიიდან 18 ან 28 პატიმარიც მოხვედრილა. მე რომ პროტესტის ნიშნად დამეტოვებინა კომისია ის რამდენიმე ადამიანი ხომ ვერ გათავისუფლდებოდა? ამიტომ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემი იქ ყოფნა მნიშვნელოვანი იყო.

**- პრეზიდენტთან არ გიცდიათ ამ საკითხის გარკვევა?**

- მე ექვსი წელიწადია პრეზიდენტი არ მინახავს, არც მისაუბრია.

**- სცადეთ შეხვედრა და არ მიგიღოთ?**

- შეხვედრა არც მიცდია.

**- რატომ?**

- იმიტომ რომ ვიცოდი რა იქნებოდა მისი პასუხი. ყველა ჩემი ნათქვამი იქნებოდა ჰაერში გასროლილი სიტყვები. ის მეტყოდა, რომ ის აწყობდა, როგორც ხდებოდა. მე სააკაშვილთან ერთხელ ვცადე შეხვედრა, ეს იყო ბოლოს, მინდოდა მისი ვადის ამოწურვამდე მენახა, მინდოდა გამეზიარებინა ჩემი მოსაზრება, თუ რატომ წააგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ასე. დაახლოებით ერთი თვის წინ დავურეკე მის მდივანს, თუმცა პასუხი, ან შეხმიანება არ ყოფილა. ასევე ვცადე ბაჩო ახალაიასთან შესვლა, მისი დაკავების შემდეგ, მინდოდა პრეზიდენტისგან მიმეღო ბრძანება და შევსულიყავი ციხეში, თუმცა არც აქ ყოფილა არანაირი რეაგირება ჩემს თხოვნაზე.

**- ბაჩო ახალაიასთან რატომ გინდოდათ შესვლა?**

- მასთან დალაპარაკება მინდოდა, მინდოდა მეთქვა, რომ ყველაფერს ნუ აიღებდა თავის თავზე.

**- რას გულისხმობთ?**

- მე არ დამიმალავს არც მაშინ, რისთვის მინდოდა მასთან შესვლა. დაპატიმრებამდე ამბობდა, რა ვქნა, სხვა არჩევანი არ მაქვს, ორივე სტრუქტურიდან დამირეკესო, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას გულისხმობდა. მინდოდა მერჩია, რომ ჩვენების მიცემისას ყველაფერზე ელაპარაკა. მაგალითად, ციხის ბუნტის დროს ვეძებდი ახალაიას და ის „პაბეგუშკებზე“ იყო, ძირითადად იქ იყვნენ მერაბიშვილი და გიგა ბოკერია.

**- თქვენ ამბობთ, რომ ადეიშვილის და ბოკერიას პასუხისმგებლობა უფრო იკვეთება ციხის ბუნტში?**

- მე ვერ მოვუხსნი პასუხისმგებლობას ბაჩო ახალაიას, რადგან ის უწყების ხელმძღვანელი იყო და როცა მსგავს მაღალ თანამდებობაზე ინიშნები, ყველაფერზე პასუხისმგებელი ხარ. თუმცა ვთვლი, რომ ვინც იმ პერიოდში იუსტიციის მინისტრი იყო, მანაც უნდა აგოს პასუხი. რადგან როდესაც ბუნტის დროს მინისტრი დილის ექვს საათზე მობრძანდა და განაცხადა, რა ხდება, არაფერი არ ვიციო... რას ნიშნავდა ეს?

**- გია ქავთარაძეზე საუბრობთ?**

- დიახ, შემდეგ ქავთარაძე რომელიღაც მინისტრის მოადგილედ უნდა დაენიშნათ, მაგრამ სწორედ ჩემი განცხადების შემდეგ გადაიფიქრეს.

**- თქვენ ამბობდით, რომ პროკურატურა არ მუშაობს კარგადო, დღესაც ასე ფიქრობთ?**

- ადეიშვილის დროს ვერც ერთი ადგილობრივი, საქალაქო, რაიონული პროკურორი ვერაფერს წყვეტდა. ყველაფერი მიდიოდა ცენტრალურ ორგანოებში და საბოლოოდ ყველაფერს ხელმძღვანელი წყვეტდა. ყოველთვის, როცა რაიმე საკითხზე დავურეკავდი ან პროკურორებს შევხვდებოდი, მიმანიშნებდნენ ზემოთ დაელაპარაკეო...

**- ადეიშვილთან გამისამართებდნენ?**

- დიახ. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდებმა ვერ გაიარეს პროფესიული გზა, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბებულიყვნენ, მათ ნაკლებად ჰქონდათ პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს შედეგი კი ახლა გამოჩნდა, პროფესიული ნაკლებობის პრობლემაა.

**- თქვენ ახლა საუბრობდით ციხის ბუნტზე, სიების შეცვლაზე... თუმცა რჩებოდით გუნდში, იყავით პარლამენტის წევრი...**

- ნუ მეუბნებით მაგას, რადგან მე გამუდმებით ვაკეთებდი განცხადებას, მათ შორის პარლამენტშიც.

**- ბოკერიაზეც გითქვამთ?**

- მე ბოკერიას პასუხისმგებლობა არასოდეს არ დამიყენებია, მაგრამ ყველგან ვამბობდი იმაზე, რაც ვნახე. ამის გამო ნაციონალებისგან საყვედურიც კი მივიღე. გარდა ამისა მე ნაციონალების გუნდის წევრი არასოდეს არ ვყოფილვარ.

**- პარლამენტში თქვენ უმრავლესობის წევრი იყავით...**

- მერე რა, პარლამენტში ვიყავი, მაგრამ გუნდში არა. არ შეიძლება გუნდში არ ვიყო და ისე ვიმუშაო? ბუნებრივია, ამ გუნდთან ერთად მოვდივარ 1996 წლიდან, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ვიყავი და ვარ ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი. არაერთი შემოთავაზება ყოფილა სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდან. თუმცა ყველას უარს ვეუბნებოდი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვიხსნი ჩემს წილ პასუხისმგებლობას, რაც აქვს მთლიანად გუნდს. თუმცა ჩემს მიმართ საზოგადოების მხრიდან ყოველთვის კეთილგანწყობა იყო, რადგან ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი და ყოველთვის ვაკრიტიკებდი გუნდს, სადაც ვიყავი.

**- თქვენ აპირებთ, კომისიაში დარჩენას?**

- არ ვიცი, კომისიის შემადგენლობა აუცილებლად შეიცვლება. მარგველაშვილი არ დატოვებს არსებულ შემადგენლობას, რადგან იქ ძირითადად სააკაშვილის მრჩევლები არიან. ვფიქრობ, სახალხო დამცველი აუცილებლად დარჩება, ასევე დარჩება მეუფეც. მე დამტოვებს თუ არა არ ვიცი.

**- შემოთავაზების შემთხვევაში დარჩებით?**

- იცით რა, დიდი სიამოვნებით დავრჩები, რადგან ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება უფუნქციოდ დარჩენა.

**- ჟვანიას საკითხთან დაკავშირებით არ მომხდარა თქვენი დაკითხვა?**

- არა, მე არც თვითმხილველი ვყოფილვარ და არც არაფერი ვიცი, უბრალოდ, ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდი ხოლმე. თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, მიშასთვის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება ისეთივე ტრაგედია იყო, როგორც ჩემთვის. მიშასთვის ჟვანია იყო ძალიან დიდი ავტორიტეტი, თუმცა ეს მის გარემოცვას ძალიან აღიზიანებდა.

**- ვანო მერაბიშვილს გულისხმობთ?**

- მერაბიშვილს ყველაზე ნაკლებად. საერთოდ, როცა ამდენი აგრესია მოდის მერაბიშვილზე, უფრო ადეიშვილი წყვეტდა ბევრ რამეს...

**- თქვენ განაცხადეთ, რომ გინდოდათ სააკაშვილთან შეხვედრა, ასევე თქვით, რომ იცით რატომ წააგეს არჩევნები, შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?**

- სახელმწიფო შენობა არ არის, არც ტერიტორია, სახელმწიფო არის ადამიანი. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ყველაფერი იზომება იმით თუ როგორ ეპყრობი შენ ადამიანს. ადამიანი კი ამათთვის არ იყო მნიშვნელოვანი. არსებობს ასეთი გამოთქმა - „лес рубят — щепки летят“. щепка-ც ადამიანია. აი, ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა და ასეთი სიყვარულით მოსული სააკაშვილი ასეთი სიძულვილით გააცილეს. მე ამაზე ძალიან მწყდება გული.

**- ფიქრობთ, რომ ნაციონალებს დაბრუნების შანსი აქვთ?**

- ამაზეც გიპასუხებთ: მიშა არის ფენიქსი.

**- შეიძლება „აღსდგეს“?**

- მე გითხარით და დანარჩენი ვნახოთ.

**- ბურჯანაძესთანაც გქონდათ ურთიერთობა, იყო პერიოდი, როდესაც ერთად იბრძოდით, როგორი მომავალი აქვს მას?**

- საერთოდ, მე ნინოს ყოველთვის დადებითად ვახასიათებდი. მე მას ვემადლიერები იმიტომ რომ ის ხშირად მიცავდა.

**- მაშინ, როდესაც თქვენ ბურჯანაძის პეტერბურგში გამოსვლა შეაფასეთ ცნობილი ფრაზით - „ბრავო ნინო, ბრავო ქალი“, ფიქრობდით, რომ ის რუსეთთან ასეთ ურთიერთობებს წამოიწყებდა?**

- არა, რა თქმა უნდა, არა. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიხს - იქით და ლიხს - აქეთ...

## საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხზე“ ახალი პროექტი დაიწყო








**საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველმა არხმა“ მაუწყებელი საინტერესო გადაცემებით გახსნა. პროექტების მრავალფეროვნებით საკუთარი მაყურებელი უკვე გაანებივრა კიდეც. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო გადაცემა სექტემბრიდან გავა - „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ -ნახევარსაათიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმებისგან შედგება, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე მოგვითხრობს. ფილმებში ასახულია ამა თუ იმ რეგიონის კულტურული ღირებულებები და სოციალური თავისებურებები. პროექტის ავტორი თამაზ ტყემალაძე გახლავთ, პროექტის დანიშნულება კი იმ მრავალფეროვნების გაცნობა და შემეცნებაა, რომლითაც ასე მდიდარია საქართველო. საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს მაყურებელს საქართველოს კუთხეების თავისებურებებზე მოუთხროს, ის ადამიანები გააცნოს, რომლებიც თავის დროზე საკუთარი კუთხის ისტორიას ქმნიდნენ.**

**„პრაიმტაიმი“ პროექტის - „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ - პროდიუსერებს დაუკავშირდა:**

თეა შანიძე (პროდიუსერი): - გადაცემა სექტემბრის შუა რიცხვებიდან გადის ეთერში, სამშაბათობით რვის თხუთმეტწუთზე. ეს გადაცემა მხატვრულ-დოკუმენტური სერიებია რეგიონებზე. ჩვენ საქართველოს ყველა რეგიონს მოვიცავთ. პირველად ჰერეთში წავედით. რთველის გამო ალმოსავლეთ საქართველოზე გავაკეთეთ არჩევანი.

**- კონკრეტულად სად იყავით ჩასულები?**

- კონკრეტულად, ლაგოდეხში. ეს ადგილი იმით გამოირჩევა, რომ აქ საქართველოს ყველა კუთხიდან არიან ჩასულები და დამკვიდრებულები: იმერლები, რაჭველები, აჭარლები... შეხვდით ეროვნულ უმცირესობებს: აზერბაიჯანელებს, ოსებს... ამის შემდეგ იყო საგარეჯო, მარტვილი. გადავიღეთ თელავი, გადამღები ჯგუფი ახლა ჩოხატაურში იმყოფება.

**- როგორ ხდება გმირების შერჩევა იმ ტერიტორიაზე სადაც გადამღები ჯგუფი ჩადის?**

- წინასწარი კოსნულტაციებით, მოძიებით. საინტერესო ადამიანებს ვხვდებით და ვაცნობთ საზოგადოებას, მათ შემოაქვთ სხვადასხვა თემები სასაუბროდ: სოციალური, კულტურული, რეგიონის წამყვანი დარგები...

**- რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ, სად გაქვთ დაგეგმილი შემდეგი გადაღებები?**

- საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გვაქვს, დაუზარელი ჯგუფია, ჟურნალისტების, რეჟისორების, ოპერატორების... მათი ხედვა ძალიან მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტური ფილმებისთვის. ახლა გადაღება რაჭაში გვაქვს დაგეგმილი, ამბროლაურის რაიონში. საახალწლოდ სვანეთში ასვლას ვფიქრობთ.

**- ვინ შედის ამ გუნდში, ვინ ამზადებს ასეთ საინტერესო მასალებს მაყურებლებისთვის?**

- ჩვენ შემოქმედებით გუნდს აძლიერებს როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა ძალა. ჩვენ რომ ასეთი გამოცდილი შემოქმედებითი ჯგუფი არ გვყავდეს, წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთ მცირე დროში და ამ სისტემატურობით (ყოველკვირეული) ფილმის გადაღება. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ქმნის თითოეულ სერიას - ჟურნალისტებს: ელენე პაპიაშვილს, ბარბარე ბენაშვილი, მარიამ წულაძეს, ხათუნა კაკიაშვილს, ნათია არველაძეს. რეჟისორებს: თამარ გელიაშვილს, მალხაზ მეძმარიაშვილს. ოპერატორებს: ზურაბ რიჟამაძეს, სანდრო ბერაძეს, ბაჩო კვირტიას, მამუკა ღვინერიას. მემონტაჟეები და ყველა ის ადამიანი ვინც ჩართულია გადაცემის წარმოებაში მადლობას იმსახურებს , მათი ნამუშევარი კი მაყურებლის მოწონებას. ამას „პირველი არხის“ ვებ.გვერდზეც შეგიძლიათ ადევნოთ თვალი.

მათ დიდ შრომასთან არის დაკავშირებული თითოეული გადაცემის შექმნა და ამ ხალხზე რომ არ იყოს გადანაწილებული, წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთ მცირე დროში მისი შექმნა.

**- ვის ეკუთვნის პროექტის იდეა?**

- პროექტის შექმნის იდეა ბატონ თამაზ ტყემალაძეს ეკუთვნის: ლიტერატორს, მასწავლებელს, დიდ და ღრმა პიროვნებას, კარგ ადამიანს... ის საზოგადო მოღვაწეა და მიხარია, რომ გვაქვს მასთან შეხვედრების შესაძლებლობა, მისი რჩევების მოსმენის და აზრის გაზიარების შანსი.

პროექტის მიზანია საქართველოს კუთხეები უფრო შევაყვაროთ ჩვენს ხალხს, პირველ რიგში მათ გავაცნოთ , რადგან წლების განმავლობაში გავუცხოვდით საქართველოს კუთხეები ერთმანეთისგან – ისტორიული დროისა თუ სირთულეების გამო. გვინდა, რომ კვლავ შევახსენოთ „თავი“ ერთმანეთს და შევაყვაროთ – წარსული, აწმყო და თითოეული ქალაქისა, თუ სოფლის პერსპექტივა დავანახოთ.

**ლექსო ქურხული, გადაცემის პროდიუსერი:** „გადაცემის გაკეთების იდეა ბატონ თამაზ ტყემალაძეს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქართველოს ბევრი კუთხე გვაქვს ნანახი, მათ ძირფესვიანად არ ვიცნობთ. გადაცემაში ბევრი სხავადასხვა თემა შემოდის: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, სოციალური თემები, სოფლის მეურნეობა. ერთი კონკრეტული რაიონის პორტრეტი კეთდება. ნახევარსაათიანი გადაცემაა და დოკუმენტური ფილმის მსგავსია. საკმაოდ რთული საკეთებელია და ამიტომ ორ ჯგუფად ვართ გაყოფილები, რადგან ერთ კვირაში ძალიან ძნელია ასეთი ტიპის გადაცემის გაკეთება.

**- რომელ რაიონზე მუშაობს თქვენი ჯგუფი?**

- ახლა მცხეთის მუნიციპალიტეტზე გადაღებული მასალის მონტაჟი მიმდინარეობს. დუშეთშიც ვიყავით. ძალიან საინტერესო რეგიონია, რადგან დუშეთის რაიონში შედის ფშავის ნაწილიც, ხევსურეთიცაა, გუდამაყრი და მთიულეთი. ვფიქრობ, საინტერესო გადაცემა უნდა გამოვიდეს.

**- კონკრეტულად რომელიმე საინტერესო ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ იქიდან, რაც ამ პერიოდისთვის გაქვთ გადაღებული?**

- განსაკუთრებით სასიამოვნოა რაიონის უხუცესებთან საუბარი. მაგალითად, დუშეთში დაგვხვდა 108 წლის მოხუცებული, რომელიც 1905 წელს არის დაბადებული და მის თვალწინ მთელმა ეპოქამ გაიარა. სწორედ ასეთი ადამიანებით იქმნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პორტრეტები. თვითონ ჯგუფის წევრებისთვისაც ძალიან სახალისოა მუშაობა, რადგან ბევრ საოცარ ადგილზე გვიწევს მოგზაურობა და ჩვენს ცხოვრებაში უამრავი ახალი ადამიანი შემოდის. მაგალითად, ლაგოდეხში მანამდე არ ვყოფილვარ, სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მომიწია მისი მონახულება. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი შთაბეჭდილებებით წამოვედი იქიდან. განსაკუთრებით გიყვარდება ის კუთხე, რომელსაც ახლოს ეცნობი და სულ სხვა დამოკიდებულება გიჩნდება. ის აღარ არის შენთვის უბრალოდ ადგილი რუკაზე და ვცდილობთ ჩვენი ემოცია მაყურებლამდე მივიტანოთ. სწორედ ეს არის გადაცემის მიზანიც.

**- რას იტყვით თქვენი ჯგუფის შესახებ?**

- ძალიან მეგობრული ჯგუფია. როდესაც ოთხი-ხუთი დღე მივლინებით მიდიხარ, უფრო მეტად უახლოვდები ადამიანს. თითქმის სულ ვმოგზაურობთ და შეიძლება ითქვას, რომ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ. Ⓐ















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ქიბარ ხალვაში: „რუსთავი 2“-ისთვის 2008 წლიდან ვიბრძვი, საჩივარი სააკაშვილის პროკურატურაში შევიტანე. ახლა პროკურატურაზეა დამოკიდებული, თუ უნდა, გამოიძიებს“





ხათუნა მგალობლიშვილი

**ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მფლობელი დაახლოებით 20-ჯერ შეიცვალა და საკითხი დღესაც დღის წესრიგში დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელევიზიის დაპატრონებისთვის პერიოდულად კვლავ იბრძვიან. მათ შორის ძველი მფლობელები. უფრო სწორად, განაცხადი ბრძოლის შესახებ „ოცნების ხელისუფლებაში“ მოსვლამდე ერთი დღით ადრე გააკეთეს და პირობაც დადეს, რომ ძალით წართმეულ ტელევიზიას ხალხის კუთვნილებად გადააქცევდნენ. თუმცა პირობა ჯერ ისევ პირობად რჩება და თავად ძველი მფლობელები ქმედებებს პროკურატურიდან ელიან...**

ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი იყვნენ პირველები, ვინც „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლა გამოაცხადეს. მათ ტელევიზია 1994 წელს ეროსი კიწმარიშვილთან ერთად დააარსეს და როგორც თავად აცხადებენ, 2004 წელს არაკანონიერად ჩამოართვეს. სწორედ ამ დროს შემოდის თამაშში ქიბარ ხალვაში. აქიმიძისა და დვალის 30-30%-იანი წილები სწორედ ხალვაშზე გადაფორმდა. თუმცა ესეც დროებით. სწორედ ეს პერიოდი აძლევს ხალვაშს უფლებას, მოითხოვოს საკუთარი წილი. ის დღესდღეობით გერმანიაში ცხოვრობს და მოქალაქეობის მიღებას ელოდება. ხალვაშმა საქართველო ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დატოვა. როგორც მისი დეპუტატი და აღნიშნავს, ქიბარი თავად გადაწყვეტს, როდის დაბრუნდეს სამშობლოში. მანამდე კი ის ბრძოლას სარჩელის პროკურატურაში შეტანით იწყებს. „რუსთავი 2“-ის დაბრუნების პრეტენზია ნამდვილად დაფიქსირდა პროკურატურაში, თუმცა მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. პროკურატურას ისედაც თავზე საყრელი აქვს საქმეები და მით უმეტეს, ხალვაშისა და ტელევიზიის საკითხს პრიორიტეტს ნამდვილად არ მიანიჭებს, რადგან ეს უფრო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ხალვაში შანსს არ უშვებს ხელიდან, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას არ დაუპირისპირდეს... ბოლოს ის ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას სოციალურ ქსელში დადებულ პოსტზე გამოეხმაურა და „დამარხვით“ დაემუქრა. თუმცა თავად ნიკა გვარამია მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის დამტკიცებით „დაიმუქრა“, თანაც ეს სულაც არ ეხებოდა არც ტელევიზიას და მით უფრო, არც ხალვაშს. გვარამიამ „თელასის“ საქმეზე აღძრული საქმის განხილვის პროცესის მორიგი გადადება შეაფასა.

**ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:**

– კიდევ გადაიდო დღეს ჩვენი პროცესი. 2 კვირით. ამჯერად პროკურორი „მივლინებაში“ მიიმალა. ეს ის შემთხვევა არაა, როცა რამის მომზადებისთვის დროის მოგება დასჭირდათ. ბრალდებამ ამოწურა თავისი საქმე და დღეს მხოლოდ ბრალდებულთა ბოლო სიტყვები უნდა მოესმინა. რას ემსახურება ეს ყველაფერი, გაუგებარი ხდება. მოწმეების „დაკაჩავებას“? – დიდი ხანია დაიწყეს. ბრალდებულების გაპრესვას? – უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ აზრი არა აქვს. „რუსთავი 2“-ის შანტაჟს – მიხვედრა არ უნდა, ტვ თუ ჩართული აქვთ, გასაგებია, რომ აზრი არა აქვს – მე ჩემს პირადსა და სამსახურს არ ვურევ ერთმანეთში. თუ იმას, რომ სააკაშვილი გადააგორონ და ვერ შეგვიწყალოს – პირდაპირ ვეუბნები მთავარ პროკურატურას: დარწმუნებული ვარ გამამართლებელ განაჩენში იმ მარტივი მიზეზით, რომ არავის არაფერი ჩაგვიდენია, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში არავითარ შეწყალებას არ ვითხოვ – ვიბრძოლებ ბოლომდე, გამამართლებელ განაჩენამდე და მაინც ამოგთხრით.

განცხადება საკმარისი აღმოჩნდა ხალვაშისთვის, რომ შეფასება გაეკეთებინა...

**ქიბარ ხალვაში, „რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელი:**

– მეც ვიბრძოლებ, ოღონდ მოსათხრელად არა – შენს დასამარხად. შენი წილი იმდენი არ იყო ჩვენს დანგრევაში, რამდენიც მაშინ სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ადეიშვილს ჰქონდათ, მაგრამ იმდენი კი იყო, რომ ცხოვრებას გისოსებიდან უყურო. შენი ორი კაპიკის საშოვნელად გაყიდე სიმართლე და სხვისი თავისუფლება! – დაგავიწყდა, ბიჭო?

„რუსთავი 2“-ზე აურზაური, პრინციპში, თავად პრემიერმა გამოიწვია თავისივე განცხადებით, რომ ტელეკომპანიების ძველ მფლობელებს სრული უფლება და შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი ქონება მოითხოვონ. ეს, ალბათ, ერთ-ერთი პირველი მითითება იყო ივანიშვილის პოლიტიკაში შემოვლის შემდეგ...

დღეს ქიბარ ხალვაში გერმანიაშია. ის უახლოეს მომავალში ჩამოსვლას არ აპირებს. თუმცა აცხადებს, რომ ტელეკომპანიისთვის ბრძოლას გერმანიიდანაც არ შეწყვეტს...

**ქიბარ ხალვაში:**

– ჩემი ჩამოსვლა 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ დამოკიდებული არ იყო იმაზე, მიშა იყო პრეზიდენტი თუ ვინმე სხვა. ეს დამოკიდებულია ჩემს სტატუსზე გერმანიაში, მოქალაქეობის მიღებას ველოდები. „რუსთავი 2“-ისთვის 2008 წლიდან ვიბრძვი, საჩივარი სააკაშვილის პროკურატურაში შევიტანე. ახლა პროკურატურაზეა დამოკიდებული, თუ უნდა, გამოიძიებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძე „სახალ

ქეთი ხატიაშვილი

**ჯერ მრავალპარტიული და შემდეგ ლამის ერთპარტიული მმართველობიდან საქართველო ორპარტიულ სისტემაზე გადადის. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სწორედ ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა გამოიკვეთა – კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“.**










მესამე ჯერ არ ჩანს და შესაძლოა, არც გამოჩნდეს. ნინო ბურჯანაძის მოლოდინები არ გამართლდა, მან იმდენად სუფთად წააგო, რომ ქუჩაში გამოსვლაც ვერ გარისკა. თუმცა 10% აიღო და მისთვის ესეც თავისებური გამარჯვებაა. მან უკვე გააკეთა განცხადება: ადგილობრივი არჩევნებისთვის მოვემზადებიო. წაგების შემდეგ მას არც ტოტალურ გაყალბებაზე ულაპარაკია და არც იმ შეთქმულებაზე, რომელიც თითქოს ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან ხდება. თუმცა, სწორედ ამ ორ ფაქტორზე ააგო საკუთარი საარჩევნო კამპანია. და კიდევ, გვარწმუნებდა, რამდენად კარგები იყვნენ ნაციონალები 2008 წლამდე და როგორ ჩამოყალიბდნენ შემდეგ ისინი სისხლისმსმელ რეჟიმად. ანუ, სანამ თავად იყო ხელისუფლებაში, ყველაფერი კარგად იყო 7 ნოემბრის ჩათვლით, აი, 26 მაისს კი ყველაფერი აირია.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ის არც ქუჩაში გამოსულა და პრემიერსაც მისცა იმის საშუალება, რომ ეთქვა: საქართველოში პირველად ჩატარდა დემოკრატიული და ევროპული არჩევნებიო. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების მეორე დღე იგულისხმა. ტრადიციულად ხომ ქუჩაში ყოველთვის გამორბოდნენ ოპოზიციური ძალები და წაგებას აპროტესტებდნენ. ნინომ წაგება აღიარა და ახლა ბევრი კითხულობს: ამ აღიარებასა და სიმშვიდეში რას მიიღებს ნინო?

პირველ რიგში, ერთ მილიონს. კანონის თანახმად, პარტიებს, რომლებმაც 10%-იანი ბარიერი გადალახეს, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, საარჩევნო მარათონზე დახარჯული ხარჯები აუნაზღაურდებათ.

მეორეც, ნინო ბურჯანაძეს გაუჩნდა შანსი, კამიკაძეობიდან ისევ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს. მართალია, ქუჩა ვერ აიღო, მაგრამ არასაპარლამენტო პარტიებს შორის ერთპიროვნულ ლიდერად მაინც დაფიქსირდა. შეიძლება ითქვას, რომ ბურჯანაძემ ნათელაშვილის სივრცე დაიჭირა. „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს წლების განმავლობაში სტაბილურად ჰყავდა ამომრჩევლის 11-12%. ახლა ეს ნიშა სწორედ ნინომ დაიკავა.

როგორია მისი გეგმები? თუ ის პოლიტიკოსობას აპირებს, მაშინ მას სერიოზული რეფორმების გატარება დასჭირდება. მას დასჭირდება პარტია და არა გაუგებარი „სახალხო კრება“, რომლის დანიშნულება და ფუნქცია გაურკვეველია. თუ ის უარს ამბობს ქუჩასა და აგრესიაზე, მაშინ მას პოლიტიკური პარტნიორები სჭირდება და არა ისეთი რადიკალები და აგრესიულად განწყობილი ფიგურები, როგორებიც არიან, მაგალითად, ნონა გაფრინდაშვილი და ელიზბარ ჯაველიძე.

ამბობენ, რომ პოლიტიკურ საკითხებში ბურჯანაძესა და „სახალხო კრებას“ შორის დისტანცია სულ უფრო იზრდება, ხშირ შემთხვევაში ისინი ერთმანეთთან საერთო ენასაც ვერ ნახულობდნენ. განხეთქილების ვაშლის როლი ითამაშა, მაგალითად, გიორგი თარგამაძის ფიგურამ. ბურჯანაძეს მასთან მოლაპარაკებები ჰქონდა, რაც „სახალხო კრებამ“ დაბლოკა. „სახალხო კრება“ ქუჩაში გამოსვლის იდეასაც უჭერდა მხარს. მოკლედ, ეს რა სტრუქტურაა, რა უნდა და რატომ ჰყავს ბურჯანაძეს, ანუ რა დატვირთვა აქვს, რთული სათქმელია.

მოკლედ, არ გამორიცხავენ, რომ ბურჯანაძე ამ სტრუქტურისგან განთავისუფლდეს და ადგილობრივი არჩევნებისთვის ორიენტაცია აიღოს პოლიტიკურ ფიგურებზე. მაგალითად, იგივე გიორგი თარგამაძეზე, კაკო ასათიანზე, რომელმაც არჩევნების წინ ბურჯანაძის სასარგებლოდ მოიხსნა კანდიდატურა, ასევე, კახა კუკავაზე. როგორც ჩანს, ადგილობრივი არჩევნებისთვის სწორედ ისინი გაერთიანდებიან.

ასე რომ, ბურჯანაძემ საკუთარ თავს პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბების შანსი დაუტოვა. რა გამოვა, ჯერ ძნელი სათქმელია.

ბურჯანაძე პრორუსული ორიენტაციისაა. ამიტომაც, შესაძლოა, გიორგი თარგამაძეს, თუ პიროვნულად არა, პარტიის სხვა წევრებს, მაგალითად, იგივე ლევან ვეფხვაძეს ამ კავშირმა გარკვეული დისკომფორტი შეუქმნას. ასეა თუ ისე, არჩევნებისთვის შექმნილი დროებითი გაერთიანებებიც ბევრჯერ გვინახავს. როგორც იტყვიან, მთავარია, სადმე მოხვდე და შემდეგ თემატურ თანამშრომლობაზეც შეიძლება წასვლა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან.

თუმცა ექსპერტები ბურჯანაძეს განსაკუთრებულ წარმატებებს არ უწინასწარმეტყველებენ. მაგალითად, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი ამბობს, რომ: „ნინო ბურჯანაძემ მოახერხა საკუთარი თავის, როგორც მოქმედი პოლიტიკოსის რეაბილიტაცია. თუმცა, ბურჯანაძესა და მის გუნდს თვითდამკვიდრება გაუჭირდება, რადგან ადგილობრივ არჩევნებში უკვე პარტიები მონაწილეობენ, ხოლო ბურჯანაძის პარტიას ლეგიტიმაციის დაბალი მაჩვენებელი აქვს“.

ადგილობრივი არჩევნები სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გაიმართება. ნინო ბურჯანაძე შეეცდება, სრულ პოლიტიკურ-სპორტულ ფორმაში ჩადგეს და საკუთარი მაჩვენებლები გააუმჯობესოს. თუმცა, ნინოს პრობლემა სწორედ პრორუსული ორბიტა დარჩება. ნათელაშვილის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსკოვის „ბალელშჩიკები“ 10%-ს არ სცილდებიან. ასე რომ, სად და რა რესურსებს მოძებნის ბურჯანაძე, ძნელი სათქმელია, თუკი მან საერთო ენა არ გამონახა ახალ ხელისუფლებასთან.

სხვათა შორის, ბურჯანაძის ფაქტორი შეიძლება „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური ეჭვიანობის ობიექტი გახდეს. ეს საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაადასტურა. „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წევრი ამბობდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ბურჯანაძეზე მუშაობდა.

ასე რომ, ქართულ პოლიტიკაში „სასიყვარულო“ სამკუთხედი შენარჩუნებულია, თუმცა მთავარ პარტიას



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ გახდება მისი პოლიტიკური პარტნიორი



**იგივე მაჩვენებლები თბილისის 10 ოლქში:**



მაინც „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ შეასრულებენ. შესაძლოა, გამაღიზიანებლის ფუნქცია დარჩეს ბურჯანაძეს. ხელისუფლება ზოგჯერ, ალბათ, მასაც გაურიგდება სხვადასხვა საკითხებზე...

ისე, ასე დაწმენდილი პოლიტიკური ველი ჯერ არ ყოფილა. გამსახურდიას დროს პოლიტიკური სპექტრი თითქმის მარტივ მამრავლებად იყო დაყოფილი, შევარდნაძის დროს პირველად დაიწყო გამსხვილება – „მოქალაქეთა კავშირი“ შეიქმნა, მეორე მხარეს კი ასლან აბაშიძის აღორძინება იყო. თუმცა, პოლიტიკურ პარტიებს მათ ვერ დაარქმევდი, ისინი პოლიტიკური ღირებულებების გარშემო კი არ იყვნენ გაერთიანებულნი, არამედ კონკრეტული ფიგურების გარშემო. შესაბამისად, იქ, სადაც აღორძინების გავლენები იყო მყარი, კანონზე მაღლა ასლანის პირადი შეხედულებები და მოსაზრებები იდგა. დაახლოებით ასეთივე სქემა მოქმედებდა „მოქალაქეთა კავშირში“, თუმცა შევარდნაძეს ჟვანია-სააკაშვილის რეფორმატორების სახით მაინც ჰყავდა ოპოზიცია“. მოგვიანებით სწორედ რეფორმატორებისგან შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობა“. მათ ჰყავდათ ქარიზმატული ფიგურა, მიხეილ სააკაშვილის სახით, და ამავდროულად, მათ უმრავლესობას პოლიტიკური ღირებულებები აერთიანებდა. მეორე მხარეს დიდხანს ვერ ჩამოყალიბდა ალტერნატიული ძალა. ვერ ჩამოყალიბდა მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილი არ გამოჩნდა, თავისებური ქარიზმითა და 7-მილიარდიანი ქონებით (ეს „ფორბსის“ შეფასებაა). მეორე პოლიტიკური ცენტრიც სწორედ მაშინ გაჩნდა. ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც „მიშა მაგარია“ დამაჯერებლად გადაწონა.

ასე რომ, ახლა ორი მთავარი ფიგურაა პოლიტიკაში – ვინც პოლიტიკური ცენტრის შექმნა მოახერხა. პოლიტიკიდან გადიან, თუმცა კარს არც ერთი არ იხურავს. როგორც ჩანს, „მოდას“ არც კობა დავითაშვილი ჩამორჩა და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება მანაც გააკეთა, – პარტიას ვტოვებ, მაგრამ პარლამენტში ვრჩებიო. როგორც ჩანს, კობა დავითაშვილმა პარტია გააუქმა... ახლა ის თავისუფალი პოლიტიკოსია. კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ხედავს საკუთარ მომავალს თუ ნინო ბურჯანაძესთან? ამ არჩევანის წინაშე, ალბათ, მალე დადგება.

ისე, ნინო ბურჯანაძემ, ალბათ, ყველას გაუცრუა იმედი, ვინც ქუჩაში გამოსვლას ელოდა, იმისთვის რომ კიდევ ერთხელ მომხვდარიყვნენ საყოველთაო ყურადღების ცენტრში და პოლიტიკური ქულებიც აეკრიფათ. მაგრამ ყველაფერი ევროპულად მოხდა. თუმცა, ბევრი დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლება ნინოს გაურიგდა და ახლა ისინი გარიგების საგანს ეძებენ.

**P.S. და კიდევ ერთი, საინტერესოა, რამდენ ხანს აპირებს ბადრი ბიწაძე პოლიტიკურ კულისებში ყოფნას და პროცესების იქიდან მართვას. რამდენად შეძლებს ან გეგმავს ის პოლიტიკურ პროცესებში უკვე ღიად ჩართვას...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 112 ახალ სერვისს ნერგავს




## დეტექტორი, რომელიც ადამიანს გაზით გაგუდვისგან იხსნის



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

გასულ კვირას თბილისში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მორიგი ტრაგედია დატრიალდა, დიღმის მასივში სამი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის მცირეწლოვანი გოგონა. არსებული ინფორმაციით, ბუნებრივმა აირმა წყლის გამათბობელიდან გაჟონა. სამწუხაროდ, სპეციალური სამსახურების ჩარევა უკვე დაგვიანებული იყო.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად მსგავსი შემთხვევების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, თუმცა ამიერიდან მოსახლეობას უკვე შეუძლია პრევენციული ღონისძიებების გატარება. საუბარია სპეციალურ დეტექტორებზე, რომელიც ბინებში დამონტაჟდება და გაზის ნამწვის მცირე გაჟონვისთანავე, შეტყობინებას აწვდის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს. ამ შემთხვევაში კი, სანამ ადამიანი იგრძნობს ბუნებრივი აირის გაჟონვისთვის მახასიათებელ სიმპტომებს, სამაშველო სამსახური და სასწრაფო დახმარება უკვე ადგილზე იქნება.



## გიორგი ბიჭაშვილი: „ეს არის პრევენციული ღონისძიება, რომელიც აუცილებლად შეამცირებს სავალალო შედეგებს“



**ამ სიახლის შესახებ „პრაიმტაიმი“ 112-ს დირექტორს, გიორგი ბიჭაშვილს ესაუბრა:**

- დიახ, 112-ს მიერ დაინერგა ახალი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც მოიცავს, როგორც სახანძრო, ისე „ცეო“ დეტექტორების დამონტაჟებას ბინებში და ორგანიზაციებში. ეს საწყის ეტაპზევე დააზღვევს და პრევენციის საშუალებას მისცემს ადამიანს, ვინადან ამ დეტექტორის საშუალებით ჩვენ მივიღებთ შეტყობინებას და სწრაფად და ეფექტურად გავაგზავნით შესაბამის სამსახურებს შემთხვევის ადგილზე. მინდა ხაზი გავუსვა, რომ „ცეო“ დეტექტორებს აქვს საშუალება, რომ საწყის ეტაპზევე, სანამ ადამიანი შეიგრძნობს ბუნებრივი აირის გაჟონვას, სიგნალი მოგვცეს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს. როდესაც ადამიანი იგრძნობს გაზის გაჟონვას შეიძლება ეს იყოს უკვე ბოლო სტადია, დაკარგოს გონება და ჩარევაც უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. ასეთი შემთხვევები, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ ხშირია, მით უმეტეს, რომ მოდის ზამთრის პერიოდი და ასეთი ფაქტები, ჩვენდა სამწუხაროდ, მატულობს. გაზის მცირეოდენი გაჟონვისთანავე დეტექტორი ირთვება, ჩვენთან მოდის შეტყობინება და ამის საფუძველზე ვაგზავნით ოპერატიულ სამსახურებს, იქნება ეს სასწრაფო, სახანძრო თუ სამაშველო სამსახური. ვფიქრობ, ეს თითოეული ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან, როგორც გითხარით, სამწუხარო ფატალური შედეგებისგან იქნებიან დაცულნი. ეს არის მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისი, რათა უფრო ოპერატიულად და ეფექტურად განახორციელოს 112-მა მათი დახმარება.

**- ანუ დეტექტორები დამონტაჟდება ბინებში, ან ორგანიზაციებში და გაჟონვის შეთხვევაში ოპერატიულად ირთვება?**

- დიახ, როგორც წესი, მოქალაქეები გვირეკავენ 112-ზე და გვთხოვენ დახმარებას. ამ შემთხვევაში კი შეტყობინებას განახორციელებს თავად დეტექტორი, რომელიც, დიახ, ბინებში იქნება დამონტაჟებული. ეს დეტექტორები ბევრ სასტუმროში, საწყობებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში უკვე მუშაობს, თქვენ, ალბათ, იცით, რომ დაახლოებით მსგავს მომსახურებას ეწევიან დაცვის სამსახურები, თუმცა ისინი ორიენტირებულნი არიან მსხვრევაზე, გატეხვაზე, ანუ როდესაც ხდება ბინის, ან დაწესებულების დაზიანება, დავუშვათ გაქურდვის მიზნით. რაც შეეხება „ცეო“ დეტექტორებს, ეს პირველად ინერგება საქართველოში. ამ შემთხვევაში ჩვენი სამიზნეა გაზის გაჟონვა და ხანძარი, რომელზეც ეს დეტექტორები რეაგირებს. თითოეული ჩართული დეტექტორი ჩვენთან ბაზაში იქნება რეგისტრირებული, წინასწარვე გვეცოდინება მისამართი, განლაგება და ოპტიმალური გზები, რითაც ყველაზე სწრაფი იქნება შემთხვევის ადგილზე გამოცხადება.



**- რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ეს მომსახურეობა მოსახლეობისთვის?**

- ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნება სხვადასხვა ვარიანტები. დიდ ორგანიზაციებში ამის შესაძლებლობა ნამდვილად იქნება, რადგან ფასი მათთვის იწყება 600 ლარიდან, რაც შეეხება ბინებს, შეიძლება გაკეთდეს ისე, რომ რამდენიმე მეზობელმა აკრიფოს თანხა და ერთიანი სახსრებით თითოეულმა დაამონტაჟოს ეს მოწყობილობა. ამ შემთხვევაში საკმაოდ შეღავათიანი ფასი გამოდის. ვფიქრობ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაერთვება ამ მომსახურებაში და უფრო ეფექტურად მიიღებს დახმარებას.

**- თუ არ ვცდები, ეს სერვისი საკმაოდ წარმატებით მუშაობს უცხო ქვეყნებში...**

- დიახ, საკმაოდ ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული. დაახლოებით მსგავსი რამ მუშაობს საქართველოში, კერძოდ, დაწესებულებებში, რომლებსაც თავიანთი მონიტორინგის სამსახური ჰყავთ და რაიმე საეჭვი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე ეს სამსახური გვიკავშირდება ჩვენ. ამ შემთხვევაში შუამავალი რგოლის გარეშეც შესაძლებელი იქნება ჩვენთან დაკავშირება, სწორედ ამ დეტექტორის მეშვეობით. ეს ტექნიკა არის თანამედროვე, ევროპული სტანდარტის.

**- როდიდან შეეძლება მოსახლეობას ამ მომსახურებით სარგებლობა?**

- ეს უკვე შესაძლებელია, როგორც კი იქნება პირველი მსურველი და მინდა გითხრათ, რომ ასეთები უკვე არიან, ჩვენ დავიწყებთ ადგილებზე დამონტაჟებას. მსურველებმა უნდა მოგვმართონ 112-ში, წინასწარ შევისწავლით ობიექტს და მოხდება მაღალ პროფესიულ დონეზე დეტექტორების დამონტაჟება და ჩვენს ბაზაში ჩართვა. ეს არის პრევენციული ღონისძიება, რომელიც აუცილებლად შეამცირებს სავალალო შედეგებს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აკაკი ასათიანი: „პატრიოტული კოალიცია მოიგებს“




## „თვითმმართველობის კონცეფცია რთულია, ჩახლართული და ბუნდოვანიც“

ნინო დათაშვილი

**არასაპარლამენტო ოპოზიცია უკვე ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება. ნინო ბურჯანაძის ნომერ პირველი პარტნიორი კაკო ასათიანი იქნება. თუმცა, ჯერ კონკრეტული მონახაზი არ არსებობს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში კი პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ამ კოალიციას უკვე უწოდა პატრიოტების კოალიცია და იქვე დაამატა, რომ ეს მხოლოდ მისი ტერმინია. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეების კავშირს რომელი პარტიები შეუერთდებიან, ჯერ უცნობია.**

მანამდე კი არასაპარლამენტო პარტიები თვითმმართველობის შესახებ კონცეფციის განხილვაში შეიძლება ჩაერთონ. აკაკი ასათიანი ამბობს, რომ მას აქვს საკუთარი კონცეფცია და ის გამსხვილებას უჭერს მხარს და არა დანაწევრებას.

**აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ თავმჯდომარე:**

– თვითმმართველობის კონცეფციის განხილვა უკვე დღეიდან დაიწყება პარლამენტში. ამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და მათ შორის მეც ვარ. ამ კონცეფციას არ აქვს მწყობრი სახე. მე და თქვენ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები და დავინტერესდით ამ რეფორმით, ვიკითხეთ, რა იქნება და ჩვენ როგორ ვმონაწილეობთ ამ პროცესში, ვის ვირჩევთ და როგორ ვირჩევთ – ეს აბსოლუტური ბურუსითაა მოცული. არადა, თვითმმართველობა უნდა იყოს ყველაზე მკაფიო რამ. ჯერ ერთი, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა უნდა იყოს განსაზღვრული. ის, რაც არის ამ კონცეფციის მიხედვით, ეს არის XIX საუკუნის დასაწყისის თეორია ევროპაში, როდესაც ფეხით დადიოდნენ და ანგარიშობდნენ, რომ ისეთ ტერიტორიას უნდა მოიცავდეს თვითმმართველობის ცენტრი, საიდანაც ადამიანი ფეხით დღის განმავლობაში მივა. ის, რომ ახლა ავტომობილებია, ავტობუსებია და თვითმფრინავებია, ეს არ იგულისხმება ამ კოდექსში და ისევ იმ ძველ პრინციპზეა ყველაფერი მორგებული.

**– მიგაჩნიათ, რომ თვითმმართველობის კონცეფცია რთულ მექანიზმს შეიცავს?**

– რთულია, ჩახლართული და ბუნდოვანიც. იმის ნაცვლად, რომ მაქსიმალურად გამარტივებულიყო, მარტივად თქმულიყო, რომ ქვეყანაში მართვის სამი დონეა, ზედა დონე არის ცენტრალური, ქვედა დონე არის დასახლებული პუნქტი (სოფელი, ქალაქი, დაბა), რომელსაც ექნება თავისი ბიუჯეტი, თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს და მას შეეძლება, რომ ადგილობრივი პრობლემები გადაჭრას. თვითმმართველობების მთელი ამოცანა რა არის? ამოცანა არის ის, რომ ადგილებზე ადამიანებს აქვთ ადგილობრივი პრობლემები. მაგალითად, წყალგაყვანილობა, ხიდები, გზის მონაკვეთების შეკეთება, საბავშვო ბაღებისა და სკოლების მოვლა... ეს პრობლემები ვიღაცამ ხომ უნდა მოაგვაროს? გამსხვილება რაიონებს მსგავსი პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას მისცემდა. მაგალითისთვის, ავიღოთ გურია. ვთქვათ, ჩოხატაურს 50 ლარი აქვს, ლანჩხუთს – 100 ლარი, ოზურგეთს – 200 ლარი. ერთად 350 ლარია. ვთქვათ, ასაშენებელია 200 ლარად საბავშვო ბაღი, ვერც ერთი მათგანი ვერ აშენებს. ერთად ერთ წელს ერთგან ააშენებენ, მეორე წელს – მეორეგან და მესამე წელს – მესამეგან.

ჩვენ ხომ კონკრეტული საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებაზე ვსაუბრობთ. ვთქვათ, დეცენტრალიზაცია თუ ხდება, კრიმინალური პოლიცია ცენტრალიზებული უნდა იყოს, მაგრამ პატრული უნდა იყოს ადგილობრივი. ვინ ინახავს ამას, თუ ადგილობრივია? თუ ისევ ცენტრი ინახავს, ესე იგი ისევ ცენტრალიზებული ყოფილა.

**– განხილვის პროცესში ჩართვას აპირებთ?**

– ჩვენ გვაქვს საკუთარი კონცეფცია. შევთავაზებთ მას სხვა პარტიებს, იმედია, გაიზიარებენ. თუ არადა საზოგადოებას შევთავაზებთ, დავბეჭდავთ, გავავრცელებთ.

**– მთავარი განსხვავება რა არის?**

– ჩვენ ვთვლით, რომ რაიონები უნდა გამსხვილდეს.

**– გამსხვილება ცენტრალიზებისკენ არ არის მიმართული?**

– პირიქით, ცენტრი აღარ იქნება. რეალურად გამსხვილება პარადოქსული ფოკუსი გამოდის. სინამდვილეში გამსხვილება მათ ფინანსურად დამოუკიდებელს ხდის. ადგილზე თავისი პატარა გადასახადების შემოღება შეეძლებათ. მაგალითად, კანადაში არის ასე, უძრავი ქონების გადასახადები რჩება ადგილებზე და მოგება მიდის ცენტრალურ ფედერალურ ბიუროში.

**– ეთნიკურად განსხვავებული ხალხით დასახლებულ რეგიონებში?**

– ანუ ვითომ სიტუაცია რომ არ გამწვავდეს? ეს არგუმენტი არ არის და მე მგონი, პირიქით. გავხსნათ ყველა წინწკლი. ვთქვათ, ერთიანდება ახალქალაქი და ჯავახეთი, მაშინვე იტყვიან, ეს რას შვრები, სომხური რაიონიაო. პირდაპირ ვთქვათ, მე არ მეშინია. ჯერ ერთი, სომხები ისეთი სულელები არ არიან, რომ საარსებო არტერია ჩვენთან გადაიჭრან. ეგენი ყოველთვის მიხვდებიან მაგას და იმედია, ჩვენც. ჩვენ ისიც გვეყოფა, 1918-ში ერთმანეთში რომ ვიომეთ. მაშინ მართლა დიდი კაცი იყო თუმანიანი და მან თავისი ოჯახის წევრებიც კი დაწყევლა, თუკი ქართველებთან იომებდნენ. თვითმმართველობა ისეთი რამაა, ასეთ პრობლემას არ ქმნის. თუმცა აფხაზებს სხვა საცხოვრისი არ აქვთ და ჩვენ ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა. რაც შეეხება სხვა ხალხებს, ყველას აქვთ ძირითადი საცხოვრისი.

**– ახალი რეფორმით აფხაზეთისა და ცხინვალის სტატუსი განისაზღვრება?**

– არა, სამწუხაროდ. 1995-ში მე არ ვიცი, რატომ ქნა ეს შევარდნაძემ. ეს არის ერთადერთი, რაზეც დღესაც არ ვიცით, რა მოსაზრება ჰქონდა: ვეუბნებოდით ასეთ რამეს, რომ ესპანეთის კონსტიტუციაში არის ძალიან საინტერესოდ ჩაწერილი ორი პრობლემური რეგიონი – ბასკეთი და კატალონია, თუმცა, კონსტიტუციაში ეს ორი მხარე სხვა მხარეებთან ერთად მოხსენიებულია როგორც ესპანეთი... ბოლოს წერია, რაც შეეხება კატალონიასა და ბასკეთს, მათი სტატუსი განიხილება ცალკე კანონითო.

**– ჩვენთან ჩამონათვალი არ არის ხომ?**

– არ არის. აღმოჩნდა, რომ ჩვენთან ჩამონათვალში აფხაზეთი და ცხინვალი არ არიან.

**– ახლა შეიძლება ასეთი ჩანაწერი გაჩნდეს?**

– შეიძლება, ახალი კონსტიტუცია კეთდება. მე შევთავაზებ და რამდენად გაითვალისწინებენ, არ ვიცი. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩანაწერი უნდა გაკეთდეს, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) სტატუსი განისაზღვრება ცალკე კანონით. ორივე კურდღელს ვიჭერთ. ერთი მხრივ, იხსენიებიან კონსტიტუციაში და მეორე მხრივ მათ ვუღებთ კარს.

**– როგორც ვიცი, ადგილობრივ არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას. არსებობს უკვე რამე მონახაზი? თქვენ მოხსენით კანდიდატურა ბურჯანაძის სასარგებლოდ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ უკვე გადაწყვეტილია თქვენი არჩევნებში ერთად გასვლა?**

– გადაწყვეტილი არაფერი არ არის. მიმდინარეობს მოლაპარაკებები და კონსულტაციები.

**– როცა კანდიდატურა მოხსენით, ალბათ, ამაზე საუბარი უკვე იყო...**

– არა, არ იყო. მე მქონდა ამოცანა, რომ ადამიანებს გაეგოთ ის, რასაც მე ვფიქრობ. შემდეგ შევხედე, რომ დებატებს არ აპირებდნენ, რეკლამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ნუ, რაღაც ჩაკეტეს წრე. ბურჯანაძე იყო, ვინც ეს წრე გაარღვია. ჩავთვალე, რომ არასაპარლამენტოებიდან მას ჰქონდა შანსი.

**– გაიზრდება ბურჯანაძისა და თქვენი შანსები ადგილობრივი არჩევნებისთვის?**

– ნებისმიერი პატრიოტული კოალიციის შემთხვევაში...

**– პატრიოტული რატომ გამოყავით?**

– პატრიოტულად მიმაჩნია ოპოზიცია, როდესაც ის დამოუკიდებელია. როდესაც არ არის ორიენტირებული უპირობოდ ნატოზე ან უპირობოდ ევრაზიაზე...

**– არ იცნობთ?**

– ნუ, არ ამხელენ და როცა გაამხელენ, მაშინ ვილაპარაკოთ...

**– როგორ ვარაუდობთ, შანსები როგორია?**

– ვფიქრობ, რომ პატრიოტული კოალიცია მოიგებს.

**– ეს ახალი კოალიციის სახელწოდებაა?**

– არა, ამას მე ტერმინად ვხმარობ, რადგან ეს რაღაც განსხვავებული იქნება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციიდან მიმართვის მოსმენა ზვიად ძიძიგურისთვის ერთადერთი მიზეზით იყო სასიამოვნო – „ვუსმენდი და ვფიქრობდი, ეს მისი ბოლო მიმართვაა პრეზიდენტის რანგში, ის გვემშვიდობება“... „ოცნება“ უკვე მარგველაშვილზე გადაერთო. მის ინაუგურაციაზე ფიქრობენ, მის მომავალს გეგმავენ, მისგან გარკვეული მოლოდინები უკვე შექმნილი აქვთ და რაც მთავარია, დარწმუნებულები არიან, რომ ის „პრობლემური“ მმართველი არ იქნება. პრინციპში, ამის გარანტია პრეზიდენტის მაქსიმალურად შეზღუდული უფლებებიცაა.**

ერთთვიანი წინასაარჩევნო არდადეგების შემდეგ საკანონმდებლო ორგანო სამუშაო რეჟიმს დაუბრუნდა. დროებით, უფრო სწორად კი თებერვლამდე მათ კიდევ მოუწევთ ქუთაისში მუშაობა. უკვე შემდეგ კი თავიანთი სურვილის ასრულებას გეგმავენ და პარლამენტს თბილისში დააბრუნებენ. ეს პარლამენტის მხრიდან, ალბათ, პირველი უხეში ნაბიჯი იქნება, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა საზოგადოების ნაწილთან და, პირველ რიგში, ქუთაისის მაცხოვრებლებთან. საპარლამენტო ქალაქში საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა მოთხოვნით – დატოვონ პარლამენტი იქ, სადაც არის.

პარლამენტი, მისი ადგილმდებარეობის საკითხთან ერთად, დანარჩენ საკონსტიტუციო ცვლილებებსაც განიხილავს. ზვიად ძიძიგურის განცხადებით, კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად ხმების 2/3 და სამთვიანი ვადა გახდება სავალდებულო. დანარჩენ ცვლილებებზე კი საკონსტიტუციო კომისია ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგენს ის პარლამენტს...

# ზვიად ძიძიგური: „საერთაშორისო იმიჯის კუთხით, დააპატიმრო პრეზიდენტი, რომელმაც ძალაუფლება მშვიდობიანი გზით გადასცა ოპოზიციურ ძალას, ძალიან ცუდ ტონად აღიქმება მთელ მსოფლიოში“

EXCLUSIVE

**ზვიად ძიძიგური, უმრავლესობის წევრი:**

– საკონსტიტუციო ცვლილებები შეეხება 2/3-დან 3/4-ით შეცვლას. მას შემდეგ, რაც ინაუგურაცია ჩატარდება და კონსტიტუციის ცვლილებები ამოქმედდება, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 3/4-ის მხარდაჭერის შემთხვევაში. ეს ბევრად მაღალი კვორუმია. ჩვენი აზრით, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არის პრაქტიკა 2/3-ით ცვლილების. ჩვენთან კონსტიტუციაში ცვლილება შეიძლება შეიტანო 2 კვირაში, სხვაგან კი ეს ვადა ორ და ხშირ შემთხვევაში სამ თვეზეა გაწელილი. ეს ნიშნავს იმას, რომ, თუკი 2/3-ით ცვლილება დაიწყება და გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვთქვათ, ორი თვის შემდეგ იგივე რაოდენობა თუ ისევ ძველ მოსაზრებაზე იქნება, ამ შემთხვევაში ცვლილებები შევა კონსტიტუციაში.

**– ანუ სამი თვე შეიძლება სავალდებულო გახდეს?**

– დრო ბარიერი იქნება. ეს ჩვენი იდეაა, რომ კვორუმი დარჩეს ისევ 2/3, ხოლო დრო გაიზარდოს სამ თვემდე. ვიცი, რომ ვენეციის კომისიას ამ სქემასთან დაკავშირებით დადებითი დამოკიდებულება აქვს. როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებას პირველად უყრის პარლამენტი კენჭს, მესამე კენჭისყრა უნდა მოხდეს სამი თვის შემდეგ. ეს იქნება დროის ბარიერი, რომელიც არის აპრობირებული მთელ ევროპაში. ჩვენ არ გვინდა, რომ ეს ცვლილებები ხელის გადაგრეხით განვახორციელოთ. შესაბამისად, გვინდა, რომ ოპოზიციასაც დაველაპარაკოთ ამ საკითხებზე. ოპოზიციაში ნაციონალებს ვგულისხმობ და თავისუფალ დეპუტატებსაც, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ არიან. ჩვენ წინ გვაქვს ახალი კონსტიტუციის შექმნის პროცესი, კომისია უკვე შექმნილია, მას დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს. ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავებთ ახალი კონსტიტუციის რედაქციაზე.

**– როგორი დამოკიდებულება აქვს ოპოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, ხომ არ იცით?**

– მათ მიაჩნიათ, რომ 3/4-ის არსებობის შემთხვევაში მათ მეტი გავლენა ექნებათ პროცესებზე და შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მათ გაუჭირდებათ ამ წინადადებაზე დათანხმება. თუმცა ვნახოთ, რა იქნება შემდეგ.

**– თითქოს ითქვა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება ძალიან შემცირებულია და უნდა გაიზარდოსო, განიხილავთ ამ საკითხს?**

– არა, არანაირი უფლებამოსილების გაზრდა კენჭისყრაზე არ დამდგარა. ყველა საკონსტიტუციო ნორმა, რომელიც ძალაში შედის, ინაუგურაციის შემდეგ ძალაში დარჩება. არანაირად არ ყოფილა საუბარი პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდაზე. ჩვენ გვქონდა აქტიურობა მხოლოდ პრემიერის უფლებამოსილებაზე, რომლის თანახმადაც მას შეეძლო კანონის მიღება ისე, რომ პარლამენტი საერთოდ არ მონაწილეობდა პროცესში. ეს იყო სერიოზული ნონსენსი. ეს ცვლილება ჩვენ განვახორციელეთ და ამას, სხვათა შორის, ოპოზიციამაც დაუჭირა მხარი.

**– გუბერნატორების შემცვლელებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

– ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში 17 ნოემბრის შემდეგ და მთავრობა სწორედ ამის შემდეგ დანიშნავს გუბერნატორებს. სამთავრობო გუნდი იგივე დარჩება, სავარაუდოდ. პარლამენტის მხრიდან გუბერნატორების შერჩევის პროცესში ჩარევა განსაზღვრული არ არის. ასე რომ, ეს მთლიანად მთავრობის პრეროგატივაა. გუბერნატორების შერჩევის პროცესი უკვე დაწყებულია.

**– ფიქრობთ, რომ გუბერნატორებად პარლამენტიდან შეიძლება გავიდნენ დეპუტატები?**

– არ ვიცი, ამას ვერ გეტყვით.

**– როგორ ფიქრობთ, 17 ნოემბრის შემდეგ რა ტიპის ურთიერთობა იქნება „ოცნებასა“ და მიხეილ სააკაშვილს შორის?**

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რა პოლიტიკურ გზას აირჩევს თვითონ სააკაშვილი და რის გაკეთებას აპირებს. ჯერ თქვა, რომ პოლიტიკიდან არ მივდივარო, რამდენიმე დღის წინ თქვა, უნდა წავიდე და დავასვენო ქართველი ხალხიო. არ ვიცი, რას იზამს. რაც შეეხება იმ კითხვებს, რომლებიც მასთან მიმართებაში არსებობს, ეს კითხვები აქვს პროკურატურას. თუ საქმე იქამდე მივა, შეიძლება სასამართლო პროცესიც გაიმართოს. ეს არ არის პოლიტიკოსების საქმე. ჩვენი საქმეა, თუკი სააკაშვილის თემა პროკურატურიდან, სასამართლოდან წავიდა ისე, რომ სააკაშვილი ბრალდებულად გამოაცხადონ, საქართველოს ახალ პრეზიდენტს შეეძლება, ის შეიწყალოს. პრეზიდენტს აქვს ამის უფლება, პირადი გადაწყვეტილებით შეაჩეროს პროცესი, თუმცა ეს ძალიან სამომავლო საკითხია. ის, რომ პროკურატურას აქვს კითხვები სააკაშვილთან, ფაქტია.

**– შეიძლება სააკაშვილი დააპატიმრონ და მარგველაშვილმა შეიწყალოს?**

– კი, ახალ პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება. მე არ ვიცი, რა იქნება გადაწყვეტით, მე ვამბობ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები კანონმდებლობის მიხედვით. საით წავა პროცესები, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მთავარი არის ის, რომ პროკურატურას კითხვების დასმის უფლებას ვერავინ აუკრძალავს, ვერც ერთი პოლიტიკოსი დედამიწის ზურგზე. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, პირადად მე მიმაჩნია, რომ ის, რომ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, არის პირადად სააკაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხი. თუმცა ეს ჩემი მოსაზრებაა.

**– სამართლებრივი რატომ?**

– სამართლებრივი იმიტომ, რომ ამ ყველაფერს წინ უძღოდა ისეთი პროცესები, რომლებიც სწორედ სააკაშვილის ხელით იმართებოდა და სწორედ ამ პროცესებმა მიგვიყვანა და განაპირობა ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ. შევარდნაძემ დაკარგა საქართველოს ტერიტორიები, თუმცა მისთვის არავის მოუკითხავს ამაზე პასუხი. რაც დარჩა, ის ტერიტორიები სააკაშვილმა დაკარგა და თან ამას ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაც მოჰყვა. ეს ძალიან სერიოზული დამამძიმებელი გარემოებაა. თუმცა საერთაშორისო იმიჯის კუთხით დააპატიმრო ის პრეზიდენტი, რომელმაც ძალაუფლება მშვიდობიანი გზით გადასცა სხვა ძალას, ეს ძალიან ცუდ ტონად აღიქმება მთელ მსოფლიოში. ამას არავინ უარყოფს და მეც ვაღიარებ.

**– თქვენ ახლა საუბრობთ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხსა და შეცდომებზე. შეგიძლიათ, თქვათ, რა იყო მის ცხრაწლიან მოღვაწეობაში დადებითი?**

– როგორ არ შემიძლია, გადასახადის გადახდა ისწავლა ბიზნესმა, ინფრასტრუქტურა განვითარდა, უცხოეთიდან რომ ჩამოფრინდები, ნახავ, რომ ყველაფერი მობილიზებულია, ბიუროკრატია გახდა მარტივი, გზები, პატრული... არის თემები, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში ქვეყანამ მიიღო, თუმცა მე თუ მკითხავთ, სასწორის ერთ მხარეს რომ დადოთ ყველა რეფორმა, რომელიც სააკაშვილმა განახორციელა, და მეორე მხარეს დაკარგული ტერიტორიები, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ცხინვალი და სოხუმია. პრობლემა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა. ყველანი ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვართ და ადრე თუ გვიან ქვეყანაში უშუქობის პრობლემა მაინც გადაწყდებოდა.

**„შევარდნაძემ დაკარგა საქართველოს ტერიტორიები, თუმცა მისთვის არავის მოუკითხავს ამაზე პასუხი. რაც დარჩა, ის ტერიტორიები სააკაშვილმა დაკარგა და თან ამას ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაც მოჰყვა“**







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.




**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.



**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გადამყვანები - როგორ გადადია

# EXCLUSIVE

„ეს უბანი სტამბულში ისეა, როგორც ჩვენი ვაგზალი. თუ ვინმე დედამ დაწყევლა, ყველა იქ არის“

მარიამ ნადირაძე

**რა საფრთხე ელით საქართველოდან უცხოეთში სამუშაოს მაძიებლად წასულ მოქალაქეებს, ვინ და რა მეთოდით აიძულებს მათ უფასოდ მუშაობას, როგორ ეჩვევიან ნარკოტიკებს და რატომ ვერ ახერხებენ სამშობლოში დაბრუნებას? – სამწუხაროდ, ეს კითხვები დღემდე აქტუალურია და პრობლემაც დღემდე პრობლემად რჩება.**



ყოველწლიურად უცხოეთში სამუშაოდ წასული ათობით ქართველი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დანაშაულებრივ ქსელში განსაკუთრებით ხშირად თურქეთში ჩასული საქართველოს მოქალაქეები ეხვევიან. ალბათ, ამიტომაც არის, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ადამიანების დაკარგვის გახშირებული ფაქტების ძიებისას, ხშირად დაკარგულების კვალს თურქეთში ეძებენ ხოლმე. მით უმეტეს, რომ უკვე არაერთი ფაქტი გამოვლინდა იმ დანაშაულებრივი დაჯგუფებების არსებობის შესახებ, რომლებსაც საქართველოდან არალეგალები თურქეთის გავლით სხვა ქვეყანაში გადაჰყავთ შემოვლითი გზებით, საზღვრის უკანონო გადალახვით. საქმეში ჩახედულები იმასაც აცხადებენ, რომ ამ რთული გზის გავლის დროს, არაერთი ადამიანის სიცოცხლე უბედური შემთხვევითაც დასრულებულა.

სისხლის სამართლის სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, ტრეფიკინგის გამოვლენა და ზოგადად ამ კატეგორიის საქმის გამოძიება განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, ტრეფიკინგის მუხლით აღძრული საქმეების რაოდენობა რეალობას ხშირად არ შეესაბამება...

**„პრაიმტაიმის“ დღევანდელი რესპონდენტი ინკოგნიტოა, მაგრამ ეს არის ადამიანი, რომელსაც უშუალოდ ჰქონია შეხება იმ ადამიანებთან, რომლებიც სტამბულში უპატრონოდ და უქომაგოდ დარჩენილები სწორედ მისგან ელიან დახმარებას. მისგან შევიტყობთ, რა პრობლემებს უმკლავდებიან ამ ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად წასული ადამიანები:**

– ამას წინათ შეხება მქონდა ე.წ. გადამყვანების საქმესთან. რომლებსაც არალეგალები გადაჰყავთ საბერძნეთისა და თურქეთის საზღვარზე. ამ საზღვრის გადასალახად იმასაც რისკავენ, რომ გასაბერი ნავებით ათეულობით ადამიანი გადაჰყავთ ძალიან ჩქარ მდინარეზე. იყო შემთხვევები, როცა ამ მდინარეზე გადასვლის დროს ადამიანები დაიღუპნენ, მათ შორის ერთი ბავშვიც იყო. თუ ამ მდინარეს მშვიდობიანად გადალახავენ, მერე ტყე-ღრე უწევთ სირბილი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. უნდა გაიარონ სასაზღვრო სოფლები. სასაზღვრო სოფელში თუ ადგილობრივმა მოსახლემ გნახა, ის აუცილებლად შეატყობინებს პოლიციას, რადგან ადგილობრივებს იქაური პოლიციელები ამისთვის საზღაურს აძლევენ.

**– რამდენს?**

– თუ არ ვცდები, 50 ევროს თითო დაჭერილ არალეგალზე. ამ ბოლო დროს, როგორც ამბობენ, გადაყვანის მეთოდები დახვეწილა, თუ აქამდე ტყე-ღრე გარბოდნენ, ახლა მდინარის შემდეგ ერთ კონკრეტულ, დათქმულ ადგილზე ტაქსი ხვდებათ. თუმცა, არც მისი მომსახურებაა იმის გარანტია, რომ არალეგალი აუცილებლად მიაღწევს სასურველ ადგილს... ამას წინათ ახლობელმა დამირეკა საქართველოდან, ნათესავი გოგო ჰყავთ გამოკეტილი სასტუმრო „ელჯისიში“. თუ შეგიძლიათ, უშველეთო. გოგონა, რომლისთვისაც უნდა გვეშველა, იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან იყო. დედა საბერძნეთში ჰყავდა. მასთან წასასვლელად საბუთები ვერ მოაწესრიგა და ლეგალური გზით ვერ მოახერხა გამგზავრება. როგორც ჩანს, ვიღაცამ ურჩია გადამყვანებისგან დახმარება და ესეც ბატივით ენდო. დედამ საბერძნეთში მომუშავე გადამყვანის საშუალებით ფული გადაიხადა შვილის ჩასაყვანად. თუ არ ვცდები, 2000 ევრო ჰქონდა გადახდილი. ეს გოგო სხვებთან ერთად ჩაიყვანეს თურქეთში და მოათავსეს სასტუმროში, სადაც ელოდებოდნენ სხვა ჯგუფებს იმისთვის, რომ მერე ყველა ერთად წაეყვანათ საზღვრების გადასალახად იმ გზით, რაზეც უკვე გესაუბრეთ. ის სასტუმრო, სადაც ამ ხალხს აჩერებენ, სასტუმროს გარდა, ყველაფერია. თუმცა, ისეთი ადამიანებიც ვიცი, რომლებსაც პერსონალურად აცილებენ ხოლმე ასეთ შემოვლით გზებზე, მაგრამ ისინი ასეთ სასტუმროებში არ ცხოვრობენ. ისინი მარმარისში ელოდებიან გადამყვანს. ანუ, გააჩნია კატეგორიას... ყველაფერი თანხის რაოდენობაზეა დამოკიდებული და კიდევ იმაზე, გადამყვანზე პირდაპირი ხაზით გადიხარ თუ შუამავლის მეშვეობით... ერთი სიტყვით, ეს იმერელი გოგო გამოიჭირეს, რაკი გაიგეს, რომ დედა საბერძნეთში ჰყავდა და წასვლა უნდოდა მასთან. ასე მოხვდა სტამბულში ამ სასტუმროს მსგავს დაწესებულებაში, საიდანაც გადამყვანმა სხვების ლოდინში რამდენიმე დღე არ გაიყვანა. მერე კი სასტუმროს მეპატრონემ, ერთმა ბებერმა კაცმა, პასპორტი წაართვა, ჩემი ვალი დაგიგროვდა, სანამ არ გადაიხდი, ვერსადაც ვერ წახვალო. ეს გოგო ამტკიცებდა, ჩემს გადახდილ 2000 ევროში სასტუმროს ხარჯიც შედიოდაო. სასტუმროს მეპატრონე კი ამბობდა, ჩემამდე ფული არ მოსულაო. ამასობაში კი ოჯახი და ნათესავები შეწუხდნენ, გოგო დაიკარგა... ბოლოს და ბოლოს, ამ ე.წ. სასტუმროში მიაგნეს. ვალის გადასახდელი ფული მე გამომიგზავნეს, შენ გამოიყვანე იქიდანო. ჩემი მეგობრის დახმარებით მივაგენით ამ სასტუმროს. ეს იყო ჩვეულებრივი ბორდელი, რომელიც მდებარეობდა ერთ-ერთ უბანში, აქსარაიში. ეს უბანი სტამბულში ისეა, როგორც ჩვენი ვაგზალი. თუ ვინმე დედამ დაწყევლა, ყველა იქ არის.

**– ქართველები ბევრნი არიან?**

– ძალიან. თუ ვინმე უპატრონოს ნახვა გინდა, იქ შეგიძლია მოძებნო, თუ, რა თქმა უნდა, უკვე წამალში არ არის გაპარული. იმ ქუჩაზე რომ გაიარო, გული გაგისკდება. იქ ნახავ ყველას, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაუკეთებია, ან უყნოსია... ქართველებს პირდაპირ ქუჩაში სძინავთ. ამ ქუჩაზე წამალს ზანგები ყიდიან და ეს საქმიანობა დასჯადი არ არის. თუ ზემოქმედების ქვეშ ვინმეს დაიჭერენ, მას შეუძლია სთხოვოს პოლიციელს და პირიქით, წაგიყვანს, დაგასვენებს, ტკივილებს მოგიხსნის, გიპატრონებს... ერთი სიტყვით, ასეთ უბანში იყო ის სასტუმრო, სადაც ამ დაკარგულ გოგოს მივაგენი.

**– რამდენი წლის იყო?**

– 25-26 წლის იქნებოდა. სასტუმროს რეგისტრაციაში ქართველი გოგო დაგვხვდა, ქუთაისელი, ვინმე მარი. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ის ამ სასტუმროს ბებერი მეპატრონის საყვარელი ყოფილა და ისიც შეკრული იყო ამ გადამყვანებთან.

**– ამ საქმიანობაში რამდენი ადამიანია ჩართული?**

– პირობითად რომ გითხრათ, არის



„ქართველებს პირდაპირ ქუჩაში სძინავთ. ამ ქუჩაზე წამალს ზანგები ყიდიან და ეს საქმიანობა დასჯადი არ არის“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნ ქართველი ქალები თურქეთში





**„ამ ბოლო დროს, როგორც ამბობენ, გადაყვანის მეთოდები დახვეწილა, თუ აქამდე ტყე-ღრე გარბოდნენ, ახლა მდინარის შემდეგ ერთ კონკრეტულ, დათქმულ ადგილზე ტაქსი ხვდებათ“**



**იმდენად ბევრია იქ რაღაცების გამფუჭებელი ქართველი, რომ თითქმის ყოველდღე ხდება მათი დაჭერა, დეპორტაცია... დეპორტაციას უკეთებენ, ვთქვათ, წვრილმანი ქურდობისთვის, პროსტიტუციისთვის...**

უფროსი გადამყვანი, მოადგილეები და შნირები. ერთ-ერთ ბოსად ვინმე ფრიდონს მოიხსენიებდნენ. ეს მარი იცით, რაზე მუშაობდა? თუ ვინმე ქართველ არალეგალს იშოვიდა, მასაც გადაუგდებდნენ კაპიკებს... ერთი სიტყვით, ეს გოგო დავიხსენით. რომ მოგვყავდა, გვითხრა, ჩემთან ერთად ერთი მეგრელი გოგოა, ძალიან ცუდ დღეშია, არავინ ჰყავს პატრონი და ისიც წამოვიყვანოთო... მისთვის გამოგზავნილი თანხიდან ნაწილი დარჩა და იმით დაიხსნა თავისი მეგობარი. ეს გოგონა, ალბათ, 23 წლის იქნებოდა. მას მართლა ეტყობოდა, რომ დატყვევებული ჰყავდათ. თვალები ტირილისგან დასიებული ჰქონდა. სახლში წამოვიყვანეთ, ტანსაცმელი მივეცით, რადგან იმდენ ხანს მოუწიათ თურქეთში ყოფნა, რომ მათი გარდერობი სეზონს აღარ შეესაბამებოდა. ეს მეგრელი გოგო ძალიან განიცდიდა ყველაფერს. იმას ვერ ივიწყებდა, რომ მის თვალწინ სასტუმროს მეპატრონეს მისი მეგობრისთვის ხელი დაურტყამს. გაირკვა, რომ მასთან ყოფნა შეუთავაზებია და უარის მიღების გამო გაარტყა. ამის შემხედვარე, ის შოკირებული იყო. აღმოჩნდა, რომ გარდა იმისა, რომ პასპორტები ჩამოართვეს და გარეთ არ უშვებდნენ, არც საჭმელს აძლევდნენ.

**– რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა?**

– დაახლოებით ორი კვირა. უფრო დიდხანს იყვნენ თურქეთში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს დავა წარმოიშვა ფულზე, დაახლოებით ეს დრო იყო გასული.

**– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, არალეგალებად თურქეთის გავლით წამსვლელთა ნაკადი რამდენად ინტენსიურია?**

– მიუხედავად ამ რისკებისა, მაინც ძალიან დიდი ნაკადია. უფრო მეტიც, ადამიანები, რომლებსაც თურქეთიდან ადეპორტებენ, ნეიტრალური ტერიტორიიდან ერთ საათში ისევ თურქეთში ამოყოფენ თავს სწორედ შემოვლითი გზების წყალობით. იმდენად ბევრია იქ რაღაცების გამფუჭებელი ქართველი, რომ თითქმის ყოველდღე ხდება მათი დაჭერა, დეპორტაცია... დეპორტაციას უკეთებენ, ვთქვათ, წვრილმანი ქურდობისთვის, პროსტიტუციისთვის... თუ, რა თქმა უნდა, ორგანიზებულ დანაშაულთან არ გვაქვს საქმე. გასაკვირია, მაგრამ იმ გოგოებს, რომლებსაც ასეთი ისტორია გადახდათ თავს, საქართველოში დაბრუნება მაინც არ უნდოდათ. ჩვენ ვთავაზობდით, რომ ბილეთს ავუღებდით, ყველა საჭირო ნივთსაც შევუძენდით მგზავრობისთვის და საქართველოში გამოვამგზავრებდით, მაგრამ უარი გვითხრეს. ორივეს ჰყავდა საქართველოში შვილები. გვითხრეს, აქ დავრჩებით და ვიმუშავებთო.

**– სად უნდა ემუშავათ?**

– ფაბრიკაში. იქ მომუშავეები ცხოვრობენ ნახევარსარდაფებში. ძალიან პატარა ოთახში ათი ქალი ერთად ცხოვრობს. ამ ყოფისთვის იცით, რა ანაზღაურებას იღებენ? 400 ლირას, რაც დაახლოებით 300 ლარია. ასეთი ანაზღაურებისთვის მოწყდე ქვეყანას, შენს შვილებს, ალბათ, ძალიან ბევრისთვის წარმოუდგენელი რამ არის, რადგან ამ თანხას საქართველოშიც მიიღებ, ალბათ, სადმე დამლაგებლადაც რომ მოეწყო სამუშაოდ. ამიტომაც ჩნდება ბუნებრივი ეჭვი, რომ ასეთ კატეგორიას იქ ფაბრიკაში საქმიანობის გარდა, კიდევ სხვა საქმიანობის იმედიც აქვს. ასე რომ, ზრდასრული ადამიანები იყვნენ და ჩვენც აღარ გაგვიწევია მათთვის წინააღმდეგობა. მეორე დღეს ისინი თავის გზაზე წავიდნენ – „ფაბრიკაში სამუშაოდ“.

**– ძალიან ხშირად გვსმენია, რომ თურქმა სამართალდამცველებმა ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს პროსტიტუციით დაკავებული ადამიანების ჯგუფი და ხშირად მათი უმრავლესობა ქართველია... ეს რამდენად რეალური ინფორმაციებია?**

– რეალურია და ძალიან სამწუხარო... მეტიც, ქართველ ქალებს იქ იშვიათად ნახავ, ვთქვათ, სასტუმროში მომუშავეს, თუნდაც პროსტიტუციის კუთხით. იქ ამ საქმიანობით ძირითადად სლავები არიან დაკავებულები. ჩვენი თანამემამულეების კლიენტები ძირითადად მძღოლები არიან. თანაც ასეთებს სტამბულში ცოტას შეხვდებით. ძირითადად თურქეთ-საქართველოს საზღვრისპირა ქალაქებში საქმიანობენ. სტამბულში თუ ვინმე ამ საქმიანობით არის დაკავებული, ძირითადად აქსარაიში დგანან 20 ლირაზე.

**– როდესაც თურქეთში ქართველების უფლება ილახება, რამდენად ერევა ამ პრობლემის მოგვარებაში საელჩო?**

– თუ ვინმეს პროსტიტუცია უნდა, ეს მისი არჩევანია და ამაში საელჩო რატომ ჩაერევა? მაგრამ როცა საქმე ტრეფიკინგთან გვაქვს, ან უფლებების შელახვასთან, საელჩოს თითქმის არავინ მიმართავს, რადგან ასეთ პრობლემებში ძალიან იშვიათად ერევიან. ერთხელ პროცესიდან მოვდიოდით მე და ჩემი მეგობარი და დაგვირეკეს, პოლიციის განყოფილებაში ქართველი ქალი ჰყავთ დაკავებულიო. მივედით და დაგვხვდა გაგიჟებული ჩვენი თანამემამულე. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ოჯახში დაიწყო მუშაობა. ძალიან ისტერიული და ჭირვეული დამქირავებელი შეხვდა. იმუშვა ერთი თვე და ხელფასი რომ მოითხოვა, იმან შარი მოსდო, რაღაც მომპარეო. გამწარებულ ქალს სიბრაზისგან მისი ქოთნები გადაუყრია აივნიდან. ბუნებრივია, პოლიცია გამოიძახეს. განყოფილებაში ძალიან ცუდად ექცეოდნენ, აბუჩად აიგდეს. ამ ქალს მიუმართავს საელჩოსთვის დახმარებისთვის, მაგრამ არავინ შეეხმიანა... საბოლოოდ გამოაძევეს ქვეყნიდან, ისე რომ თავისი შრომის ანაზღაურება მისთვის არავის მიუცია და კიდევ ათასი დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა მოუხდა. სტამბულში 20 მილიონი ადამიანია რეგისტრირებული და კიდევ რამდენიმე მილიონი შედის და გამოდის ყოველდღიურად. ყველაზე უბედურ დღეში იქ მაინც ჩვენი ხალხია. მე იქ გახარებული არავინ მინახავს. იმ წრეში, სადაც ჩვენები მიდიან სამუშაოდ, ბოსები თურქები კი არა, ქურთები არიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




დეა თავბერიძე

# ქართველი პიანისტის კიდევ ერთი გამარჯვება უცხოეთში

# და „კლასიკური მუსიკა საქართველოს ყველა კუთხეში“






**უცხოეთში მოღვაწე ქართველი პიანისტის მიერ მოპოვებული კიდევ ერთი პირველი პრემია, აჭრელებული უცხოური პრესა და ლუქსემბურგის აღფრთოვანებული მსმენელი. თამუნა ბერაია ჯერ ფრანგი იმპრესარიოს რჩეული გახდა, შემდეგ კი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული... ქართველი პიანისტი ამ სახის კონკურსში უკვე მესამედ მონაწილეობს. პირველად პირველი პრემიის მფლობელი 2012 წელს პარიზში გახდა, შემდეგ 2013 წელს ბერნში მეორე პრემია მოიპოვა, ამჯერად კი გამარჯვება ლუქსემბურგში ხვდა წილად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პიანისტი საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებს. ამ კონცერტი-კონკურსის ყველაზე დადებითი მხარე კი ის იყო, რომ გამარჯვებული კენჭისყრით ხალხმა აირჩია, ანუ დარბაზში მჯდომმა აუდიტორიამ. გაზაფხულზე კი თამუნა ბართაია ლუქსემბურგის ფილარმონიაში სოლო კონცერტს დაუკრავს. ამ კონცერტზე დასწრების სურვილი ლუქსემბურგის პრინცმა და მისმა მეუღლემ გამოთქვეს.**

**თამუნა ბერაია:** „ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფრანგმა იმპრესარიომ მარიან რიბისკიმ მიმიწვია. მან მე სანტანდერის საერთაშორისო კონკურსზე აღმომაჩინა. მას შემდეგ მისგან მიწვევა სამჯერ მივიღე. ამ კონკურსებში განსაკუთრებული ის არის, რომ პუბლიკა ირჩევს მის სიმპათიას და ხმას აძლევს იმ პიანისტს, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ. ამ კონკურსებში მხოლოდ 4 პიანისტი მონაწილეობს, რომელიც ბატონი რიბისკის მიერ არის შერჩეული. ოთხივე პიანისტს აქვს საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და დაუკრას დაახლოებით 30-წუთიანი პროგრამა. მე, ამ ყოველივეს, როგორც კონცერტს ისე აღვიქვამ და არა როგორც კონკურსს. არანაირი დაძაბულობა და მონაწილეების მიმართ კონკურენციის შეგრძნება არ მეუფლება. ეს არის კონცერტი დღესასწაული, სადაც მე ვუკრავ პუბლიკისთვის და ვენდობი მათ. გამარჯვების შემთხვევაში კი ენით აუწერელი სიხარული მეუფლება და მადლიერების გრძნობა პუბლიკის მიმართ. ჩვენთვის, მუსიკოსებისთვის არაფერია იმაზე უფრო სასიამოვნო, როდესაც პუბლიკას მოსწონხარ და გირჩევს“.

თამუნა ბერაია თავისი ნიჭით უცხოელ მსმენელს ანცვიფრებს, ხოლო მისი და ნათია ბერაია კი, აქ საქართველოში, მათთვის უკრავს ვისაც კლასიკური მუსიკა უყვარს. „კლასიკური მუსიკა საქართველოს ყველა კუთხეში“ ეს არის პროექტი, რომელსაც მუსიკოს მეუღლესთან დაჩი თაქთაქიშვილთან ერთად აკეთებს. ამ პროექტით მათ ერთად თითქმის მთელი საქართველო მოიარეს.

**ნათია ბერაია:** „იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ძალიან რთულია მუსიკოსის ცხოვრება და პიანისტებისთვის თითქმის არაფერი ხდება, გადავწყვიტეთ დაგვეწყო ეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას საქართველოში. იდეის განხორციელება რეგიონებიდან დავიწყეთ. იქ მცხოვრებ ბავშვებს პირველ რიგში, ვასმენინებთ კლასიკური მუსიკის კონცერტს, რომელსაც მე ვმართავ, მერე კი ჩემი მეუღლე ატარებს მასტერკლასს, თვითონაც აქვთ იმის საშუალება, რომ დაუკრან, თავიანთი თავი გაგვაცნონ და სამომავლოდ ნიჭის რეალიზება მოახდინონ.

2 ნოემბერს სკრის დევნილთა დასახლების სახელოვნებო სკოლაში ჩავატარე კლასიკური მუსიკის კონცერტი და მასტერკლასები ადგილობრივი მოსწავლეებისთვის“...







## პაატა ბურჭულაძის სახელით სპეკულირებენ

**რამდენიმე დღეა, რაც სოციალურ ქსელში თვითმარქვია-თაღლითი გამოჩნდა, რომელიც თანხის გამოძალვის ხერხად პაატა ბურჭულაძის სახელს იყენებს. მსოფლიოში ცნობილი მომღერლისა და ფონდ „იავნანას“ დამაარსებლის სახელით სპეკულირება რამდენიმე „ფეისბუკის“ გვერდით ხდება. ამასთან დაკავშირებით „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი თეო ჯორბენაძე, „ფ.ბ“-ით განცხადებას ავრცელებს.**

„პაატა ბურჭულაძის სახელით გახსნილია რამდენიმე ფბ.გვერდი, ერთ-ერთი მათგანი ბოლო დღეებში გააქტიურდა. პაატა ბურჭულაძის სახელით სოციალურ ქსელში ავრცელებს განცხადებებს, უმეგობრდება ადამიანებს და მიმართავს თხოვნის წერილებით დახმარებისა და თანხის გადმორიცხვის შესახებ. დღეს ასეთი ტიპის წერილი ჩვენმა თანამშრომელმაც მიიღო თვითმარქვია პიროვნებისგან. გთხოვთ ნურავის მიენდობით, პაატას სახელით სარგებლობენ თანხის გამოძალვის მიზნით. პაატა ბურჭულაძეს საკუთარი ფბ.გვერდი არ გააჩნია, გთხოვთ საერთოდ წაშალოთ მეგობრებიდან პაატას სახელით დაფიქსირებული ყველა პიროვნება“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



თამარ გონგაძე

# საბავშვო ევროვიზიაზე ჯგუფი „The Smile Shop“-ი წარგვადგენს



2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს ჯგუფი „The Smile Shop“-ი წარადგენს. ჯგუფი საზოგადოებრივ მაუწყებელზე კასტინგის მეშვეობით ივლისში შეკრიბეს. „The Smile Shop“-ი ექვსი წევრისგან შედგება. ოთხი გოგონა თბილისელია, ერთი ბიჭი ბათუმელი, ერთიც სამტრედიელი. „ძნელია სიმღერის ექვს ბავშვზე მორგება და გადანაწილება, მაგრამ ყველანი ისეთი კარგები იყვნენ, რომ ვერც ერთს ვერ შეველიეთ“, - ამბობს საბავშვო ევროვიზიის მუსიკალური პროდიუსერი გიგა კუხიანიძე. საკონკურსო სიმღერის სახელწოდებაა „Give me your Smile“, რომელზეც კლიპი ალექსანდრე გრიბოედოვის თეატრში გადაიღეს. სიმღერა გიგა კუხიანიძისაა და არანჟირებაზე ზაზა ხუბუკელაშვილმა იმუშავა. ჯგუფი „The Smile Shop“-ზე „ბზიკების“ სტუდიის ფროდაქშენი სექტემბრიდან მუშაობს. სასცენო ქორეოგრაფიას თამარ გოგორელიანი დგამს, კოსტიუმებსა და იმიჯზე მარინე ქურდუბაძე მუშაობს, ვიდეო რგოლი რომა გიორგაძემ გადაიღო, ჯგუფს ვოკალში სოფო ოყროშიძე ამზადებს. ბავშვებთან ინტენსიურად მუშაობს ნათია უზნაძე. ის ასწავლის, როგორ მოიქცნენ პრესკონფერენციებზე, როგორ წარადგინონ თავი. კლიპი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ტრიალებს.

**გიგა კუხიანიძე**: - სიმღერა ჯაზ-როკის სტილშია გაკეთებული. არანჟირება იმით არის მდიდარი, რომ სულ ცოცხალი საკრავებია ჩაწერილი.

2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უკრაინის მაუწყებელი (NTU) 30 ნოემბერს, შაბათს კიევში უმასპინძლებს.

„მადლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს იმისთვის, რომ ეს პროექტი არ შეჩერებულა და ყოველ წელს წარმატებით მიმდინარეობს. 30 ნოემბერს ამ არხზე უგულშემატკივრეთ „The Smile Shop“-ს. არ ვიცი, როგორ რეზულტატს მივიღებთ. როგორ გადაიტანენ ბავშვები სცენაზე ჩვენს ნამუშევარს. ჩვენ ხუთეულისთვის ვიბრძვით. იმედია, კარგად წარვდგებით“, - აცხადებს გიგა კუხიანიძე.




# Halloween














## ჰელოუვინი მომღერლებითა და მსახიობებით

**უკვე რამდენიმე წელია ჰელოუვინის დღესასწაულს ქართველებიც აღნიშნავენ. მართალია, ხშირ შემთხვევაში ინციდენტებით სრულდება, თუმცა მაინც არ ნებდებიან. ეს ამერიკული „საშიშად სახალისო“ საშემოდგომო ღონისძიება 31 ოქტომბერს სხვადასხვა ბარში მოეწყო. ერთ-ერთის ორგანიზატორი და წამყვანი მსახიობი ნატა გულიაშვილი იყო. „Famous Room“-ში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მომღერლები: „ვოისის“ კონკურსანტი ანჩო დოლიძე, „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალისტი ანი გოზალიშვილი, „ნუცას სკოლის“ მონაწილე ვერიკო გავაშელი, დავით სარდლიშვილი და ირაკლი ნიკაჩაძე. მონაწილეებიც და დამსწრე საზოგადოებაც ჰელოუვინის შესაფერის კოსტიუმებში იყვნენ. ორგანიზატორმა პერფორმანსი სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე ააგო. მომღერლებმა კი სიმღერებით აიყოლიეს საზოგადოება. ნატამ და ანი გოზალიშვილმა ერთად შეასრულებს „Maroon 5“-ის სიმღერა „This Love“.**

**ნატა გულიაშვილი:** - ყველა ისე იყო გამოწყობილი, თავი ვამპირების სახლში გეგონებოდათ. ყველა კმაყოფილი იყო, კარგი შოუ გამოვიდა. უკვე მომავალი წლის ჰელოუვინზე ვფიქრობ. მინდა უფრო მასშტაბური შოუ მოვაწყო. ეს დღე არ არის წარმართული. დღესასწაულმა ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა და ბოროტი ძალების განდევნას ემსახურება. ჩვენც განვდევნეთ ბოროტი ძალები, გავავლეთ ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აფრიკული მოტივები გიორგ



**my View**
**დეა თავბერიძე**

**ყველასთვის ცნობილი დიზაინერი გიორგი შალაშვილი კვლავ საქართველოშია. აქ, აფრიკიდან „თბილისი ფეშენ ვიკისთვის" სამზადისმა ჩამოიყვანა. კოლექციაზე მუშაობა თითქმის დამთავრებული ჰქონდა, როდესაც შეატყობინეს მოდის კვირეული არ ჩატარდებაო. თუმცა დიზაინერმა ამ გაუგებარ მოულოდნელობას თავი გაართვა და პერსონალური ჩვენების მოწყობა გადაწყვიტა. დიზაინერი, რომლის ხელწერა და ხედვა არ იცვლება, წელს მომხმარებლის დაინტერესებას აფრიკული მოტივებით შეეცდება. უკვე რამდენიმე თვეა, რაც გიორგი შალაშვილი, ოჯახთან ერთად, დანიიდან აფრიკაში გადასახლდა. ამიტომ მის კოლექციაში წელს უხვად არის ისრისებური გამოსახულებები, რკალისებური სიმბოლოები და აფრიკული ორნამენტები. პერსონალურ ჩვენებამდე კი დიზაინერი თამარაშვილის ქუჩაზე საკუთარ მაღაზიას ხსნის. მას სწორედ მაშინ ვესტუმრეთ, როცა სარემონტო სამუშაოებში ჩართულ ხელოსნებთან მითითებებს აზუსტებდა...**



**- გვეგონა ფეშენ ვიკის მზადებამ ჩამოგიყვანათ, თურმე რემონტიც წამოგიწყიათ და მაღაზიას ხსნით.**

- პირველ რიგში, მოდის კვირეულის გამო ჩამოვედი, პარალელურად, მაღაზიაზე ზრუნვაც დავიწყე. ჩავთვალე, რომ მაღაზია აუცილებლობას წარმოადგენდა, გაჩნდა მომხმარებლების ჯგუფიც, არადა, როცა საქართველოში არ ვარ, გაყიდვები ვერ ხერხდება, ახლა კი ნებისმიერ დროს თუ სურვილი გაუჩნდებათ მოვლენ აქ და შეიძენენ. რთულია აწარმოო ბიზნესი, როდესაც წელიწადში ორჯერ თვე-ნახევრით ან ორი თვით ჩამოდიხარ. რადგან მოდის კვირეული აღარ ტარდება უფრო მეტი დრო მეძლევა იმისთვის, რომ კოლექცია უფრო გავამდიდრო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. უფრო მეტი დრო გვაქვს, ბევრად ნაკლები სტრესი.

**- ბევრს უკვირდა ამდენი ხანი მაღაზიის გარეშე რომ იყავით.**

- თავს ვიკავებდი, რადგან არ ვიცოდი რამდენად მოთხოვნადი იქნებოდა ჩემი სამოსი, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა და ძალიან ბევრი კითხვა დაისვა, გადავწყვიტე გამეხსნა მაღაზიაც და ატელიეც, ახლა უკვე მომხმარებელს ინდივიდუალურად შევუსრულებთ დაკვეთებს. მაღაზიის გახსნას 20 რიცხვისთვის ვვარაუდობ... საერთოდ, არასდროს ვდგამ გაუცნობიერებლად ისეთ ნაბიჯებს, რომლებმაც შეიძლება ჩემს საქმიანობას ავნოს. მიყვარს რისკი, მაგრამ არ მიყვარს ისეთი შეცდომები, რომელიც შეიძლება ამ რისკს მოჰყვეს და რომელსაც ვერასდროს გამოასწორებ. რისკი ყოველთვის არის, ნებისმიერ ბიზნესში. მაგრამ მიყვარს ნელი სვლით სიარული, ვიდრე სირბილი.

**- გამოდის, რომ ზომიერად რისკავთ.**

- კი, შეიძლება ითქვას, რომ ზომიერად ვრისკავ. თუნდაც ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მე არ მყავს სპონსორი, რომელიც ფინანსურად დამიდგება გვერდით, ამ ყველაფერს ჩემი სახსრებით ვახერხებ და ძალიან ნელა იზრდება ჩემი ბიზნესი, შესაბამისად რისკიც არ არის მასშტაბური. იყო შემოთავაზებები, რომ თანხები ჩაედოთ ჩემს საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც დამფინანსებელია, ის, მერე თავის წესებს გკარნახობს, მისი დაკვეთით მოქმედებ. უფრო კომერციული უნდა გახადო, ამიტომ, როდესაც არავინ ერევა ჩემს ფინანსურ საქმიანობაში შემოქმედებითადაც გავლენას ვერავინ ახდენს და სრულიად თავისუფალი ვარ. შემოქმედისთვის კი თავისუფლება პირველია, ვიდრე შემოსავალი. ყოველთვის ვდგამ შემოქმედებით ნაბიჯს და მერე ვფიქრობ ფინანსებზე. ბოლომდე ვიხარჯები და არ ვიცი რა შედეგს მოიტანს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ამართლებს ეს ყველაფერი, ყალბი არ ხარ შენს საქმიანობაში და აკეთებ იმას, რაც შენ ხარ. ეს იგრძნობა კიდეც, მე არ დავხტივარ კალიასავით ჩემი ხელწერა არ იცვლება.

**- რას იტყვი ფასებზე, მაღაზია ხომ არ გააძვირებს „GEORGE SHAGASHVILI" -ს?**

- ფასები ნორმალური და ხელმისაწვდომი იქნება. ვისაც ჩემი სამოსი შეუძენია გადახდა არასდროს გაჭირვებია. რა თქმა უნდა, არის რამდენიმე კაბა, რომელიც ძალიან ძვირფასი ქსოვილისგან იკერება, ზოგჯეც დიდი რაოდენობით ქსოვილი და ენერგია იხარჯება, ამიტომ ამ სახის სამოსი შედარებით ძვირია, თუმცა ძირითადად ხელმისაწვდომი. არ მიყვარს საზოგადოების ფენებად ან სეგმენტებად დაყოფა. მომხმარებელი არის მომხმარებელი. უბრალოდ, გააჩნია განწყობას, როგორ მოირგებს, რამდენად კომფორტულად იგრძნობს თავს, რამდენად ულირს და რამდენად კმაყოფილი წავა აქედან. რომელ სოციალურ ფენაზე გავა ეს და რა სეგმენტზე, ამას არ ვაქცევ ყურადღებას. მინდა ყველა დავაკმაყოფილო.

**- თქვენი კოლექციები გარკვეულწილად ერთმანეთს ჰგავს ხელწერით, რა ხდება წელს? აფრიკაში თქვენი გადასახლების შემდეგ აქ ძალიან დიდი მოლოდინია, ბევრს აინტერესებს თუ როგორ იმოქმედა აფრიკამ დიზაინერის შემოქმედებაზე, რით გააკვირვებთ წელს მოდის მიმდევრებს?.**

- ჩემი გათვლები რამდენად გათვლილია გაკვირვებაზე არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის მინდა, რომ ვაჩვენო კონცეფცია რითი არის შთაგონებული ჩემი კოლექციები, რას ვიყენებ იმ კონსტრუქციულ ხაზებში, რომელიც სამოსშია. ამ ეტაპზე ვცხოვრობ კენიაში, ნაირობიში, ეს იყო ჩემი სამწლიანი გეგმა, ეს სურვილი სამი წლის წინ გამიჩნდა და აი, განვახორციელე კიდეც.

**- რამ გაგიჩინათ აფრიკაში ცხოვრების სურვილი?**

- აბსოლუტურად არ ვიცნობდი აფრიკას. ევროპაში კი ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, ევროპაში ბევრი რამ ძალიან შეფუთული, გაპრიალებული და თვითმყოფადობა დაკარგულია. რამაც ჩემში ინტერესი უკვე დაკარგა. ძალიან მინდოდა პირველსაწყისებს დავბრუნებოდი, აფრიკაში კი ყველაზე მეტად შენარჩუნებულია მიწასთან და რეალურ ყოფასთან სიახლოვე, ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ის ხასიათი, რაც მათია, რაც თვითმყოფადია. მიმაჩნდა, რომ აქედან ნაღდი და სუფთა ენერგიები შემოვიდოდა ჩემში, როგორც შემოქმედში. ასეც მოხდა, სრულიად აღფრთოვანებული ვარ ამ ქვეყნით, კერძოდ კენიით, სამომავლოდ აფრიკის სხვა ქვეყნებშიც ვგეგმავ მოგზაურობას. კენიაში 42 ტომია, შთაგონება ორი ტომისგან წამოვიდა, ეს არის მასაი და სუდანის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები დინკები. გავაერთიანე ეს ორი ტომი, რომელსაც ძალიან ბევრი რამ აქვს გადამკვეთი და ბევრი რამ მივიღე მათგან. აფრიკული სამოსი ძალიან მარტივი თარგია ეს არის მოხვეული ოთხკუთხედი ნაჭერი მხრებზე ან თეძოზე შეკვანძული, არ ვლაპარაკობ დასავლეთ აფრიკაზე, იქ უფრო მეტად დეკორირებული სამოსი აქვთ, ძირითადი დატვირთვა აქ აქვს ფერს და ქსოვილების სახეს, ორნამენტებს, ამის გადმოტანა ჩემს სამოსზე ცოტა რთული იყო, რადგან შავ ქსოვილზე და ძირითადად აქრომატულ გამაზე ვმუშაობ. თუმცა, მე ეფექტზე არ ვმუშაობ, ჩემთვის მთავარი სიღრმეებია და კონსტრუქციული ფორმები, ამიტომ გადმოვიტანე სამოსში მოხვევის ხაზები, როგორც კონსტრუქციები და ის სიმბოლიკა, რომელიც ამ ორ ტომს ახასიათებს. ისრისებური გამოსახულებები, ნაჭდევები სხეულზე, სუდანელი დინკები შრამებს იკეთებენ შუბლზე, თვალის კუთხესთან, აქსესუარების სახითაც არის აფრიკული ნივთები, ძალიან ძვირფასი რელიკვიები ჩამოვიტანე.

**- უკვე რამდენი ხანია, რაც იქ ხართ, თავიდან არ გაგიჭირდათ შეგუება?**

- სამი თვეა რაც ნაირობიში ვცხოვრობ, საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, რთული იყო შეგუება. უცხო გარემო აბსოლუტურად სხვა რასა, ასევე ბევრი ყოფითი სირთულე. როდესაც ევროპული კომფორტიდან გადადიხარ დისკომფორტში, იგივე კომფორტი რომ შეიქმნა, რთულია და არც ვეძებდი ასეთ კომფორტს. აფრიკაში კომფორტისთვის არ ჩავსულვარ, უფრო სხვა იმპულსებისთვის ჩავედი, მაგრამ, როდესაც სამი შვილი, მეუღლე, ოჯახი გყავს, რთულია. მე შემიძლია ვიცხოვრო, ხელოვანი ვარ და არ მოვითხოვო ეს ყველაფერი... მაგრამ ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუ მშობლები ერთად ბედნიერები არიან, შვილები ყველგან კომფორტულად გრძნობენ თავს. ამიტომ ვფიქრობ, რომ შეეგუენ.

**- მეუღლე როგორ დაითანხმეთ?**

- ჩვენ ბოლოს გამუდმებით ვსაუბრობდით იმაზე, რომ დანია დაგვეტოვებინა,

**„რისკი ყოველთვის არის, ნებისმიერ ბიზნესში, მაგრამ ნელი სვლით სიარული უფრო მიყვარს, ვიდრე სირბილი"**

**„ყველაზე საინტერესოდ ქალი მაშინ გამოიყურება, როდესაც ის თავის ინდივიდუალობას უსვამს ხაზს"**








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი შაღაშვილის კოლექციაში



## „ცხოვრების თავიდან დაწყება, ან ნებისმიერ ასაკში გარემოს შეცვლა, არასდროს არ არის გვიან. პირიქით, გადაახალისებ და ყველაფერი ლაგდება“

**GEORGE SHAGHASHVILI**

**EXCLUSIVE**



რადგან მე ვერ ვგრძნობდი დანიაში თავს კარგად, მზის დეფიციტია, დღე ძალიან მოკლე, ბნელი, კლიმატი, მკაცრი ზამთარში, ეს ყველაფერი ძალიან მოქმედებდა ჩემზე. მერე აღმოჩნდა, რომ D ვიტამინის დეფიციტი მქონდა. ეს პირდაპირ კავშირშია დიფ დეპრესიასთან. იყო რაღაც ფაქტორები, რომლებმაც ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე. ახლა კი ყველაფერი დალაგდა. ცხოვრების თავიდან დაწყება, ან ნებისმიერ ასაკში გარემოს შეცვლა, არასდროს არ არის გვიან. პირიქით, გადაახალისებ და ყველაფერი ლაგდება. ამ ეტაპზე ჩემს შემოქმედებაში არის აფრიკული შთაგონება ორი ტომის მასაი და დინკი.

**- ბევრი აღნიშნავს „შაღაშვილში“ ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავსო, ქართველ დიზაინერთა უმეტესობა ამით ვერ დაიტრაბახებს, თქვენ როგორ ახერხებთ?**

- მე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები იმაში, რასაც ვაკეთებ. არ ვიტყუები, ვქმნი სამოსს, რომელიც ჩემი ხელწერით არის და ჩემს ხედვას ექვემდებარება... სამოსი თუ კომფორტს არ გიქმნით, ძალიან რთულია, რომ ის მოიხმარო. მეორედ იმ ადამიანს არ გაუჩნდება სურვილი, რომ შენი სამოსი შეიძინოს.

**- წელს პოდიუმზე მამაკაცებიც გეყოლებათ?**

- მამაკაცები ყოველთვის არიან ჩემთან პოდიუმზე, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით არა, მაგრამ არიან, რადგან ჩემი კომპანია მხოლოდ ქალებისათვის არ მუშაობს. ასევე არ არის მხოლოდ ლუქსის ტიპის სამოსი, არის სპორტულიც და ყოველდღიური პრეტაპორტეც. ფართო არჩევანია, შეზღუდვები კონკრეტული ფორმით არ არის, რომ ყველა ტიპის მყიდველს შეეძლოს შეიძინოს ის, რაც სურს.

**- საერთოდ, ჩვენებას სპორტული ხასიათით იწყებთ ხოლმე და საღამოს კაბებით ამთავრებთ. ახლაც ასე იქნება?**

- ჩემი ხელწერაც ამაშია, რომ ვაჩვენო განვითარების ხაზი და პასაჟებიც იყოს. როგორც მუსიკა, ყველაზე დიდი მუსიკა პაუზააო ნათქვამია. ეს მომენტი ჰარმონიული განვითარება, მასალაში, ხასიათში სამოსიდან სპორტულიდან ლუქსამდე, ეს ყველაფერი მაყურებლისთვისაც საინტერესო და სასიამოვნო სანახავია. ასევე, როდესაც მასალაში ცვლილებებია და ეს ისე ლამაზად გადადის, რომ არ ჭრის თვალს და არ აღიზიანებს მერე მნახველი აუცილებლად ნასიამოვნები მიდის სახლში.

**- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სადაც ორი ფეშენ ვიკი გვქონდა, დღეს არცერთი არ ტარდება?**

- არ მინდა ჩემი შეფასება მცდარი იყოს, რადგან ზუსტად არ ვიცი შიდა სამზარეულო, თუ რა ხდება. სუბიექტურად, ჩემი გადმოსახედიდან გულდასაწყვეტია. ვფიქრობ, რომ ეს დროებითია, ერთხელ ვერ მოხერხდა და მომავალში ნამდვილად იქნება. ეს ყველაფერი აგებული იყო კონკრეტულ დამფინანსებლებზე. მე მხოლოდ „თბილისის ფეშენ ვიკთან“ მითანამშრომლია და ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული დიზაინერებისთვისაც და მოდის ინდუსტრიის განვითარებისთვისაც. მაგრამ ამ საკითხს ძალიან დრამატულად არ ვუდგები, მე მაქვს ჩემი თავის, ჩემი საქმიანობის და ხალხის წინაშე იმის პასუხისმგებლობა, რომ სიძნელეების მიუხედავად აუცილებლად უნდა გავართვა თავი ამ პრობლემას და აუცილებლად უნდა ვაჩვენო ჩემი კოლექცია.

**- და ბოლოს, შაღაშვილის რჩევა ქალებს, რა ჩავიცვათ?**

- ამაზე შაღაშვილს ყოველთვის ერთი პასუხი აქვს. ჩაიცვით ის, რაშიც თავს კომფორტულად გრძნობთ და რაც მიგაჩნიათ, რომ თქვენია. ტენდენციურობის მოწინააღმდეგე ვარ. ეს არის მორგებული ჩარჩო, რომლის იქითაც გასვლა უჭირთ სეზონის თუ წლის განმავლობაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველაზე საინტერესოდ ქალი მაშინ გამოიყურება, როდესაც ის თავის ინდივიდუალობას უსვამს ხაზს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაია დარსმელიძე თავისი გუნდის წევრის დასაცავად ბოლომდე იბრძოლებს

**my View**

**თამარ გონგაძე**

**„როგორი სირცხვილია აი ამ დისლაიქების რაოდენობა, დაბოღმილო ქართველო გოგოებო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დისლაიქების პატრონები, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, სულ ქლიბები და ჩაქუჩები ხართ. რა იმღერა „ისე ცუდად“, რომ „ვერ აპატიეთ“ და ამხელა ომი გამოუცხადეთ??? ელენე, ძალიან მაგარი გოგო ხარ და არ მიაქციო ყურადღება, ეს ის ლუზერები არიან რომლებიც, როგორც წესი, შენი წარმატების მთავარი მოტივატორები გახდებიან“. ეს ისევ მაია დარსმელიძის პოსტია. ელენე, ვისაც ის მიმართავს და ვინც „დაბოღმილი გოგონებისგან“ დისლაიქები მიიღო, დარსმელიძის გუნდის ბოლო წევრი ელენე საბიაშვილია. ის ბოლო ბრმა ქასთინგზე ბოლო გამომსვლელი იყო. თავისუფალი, ლაღი და შეყვარებულია. გარეგნულად ვანესა პარადისს ჰგავს. ელენემ თავის ინტერვიუში „ვოისის“ მაყურებელს თამამად განუცხადა, რომ შეყვარებულია. მისი რჩეული კი იოანე არაბულია, „ვოისის“ წინა სეზონის მონაწილე და მაოს და სტეფანეს გუნდის წევრი. ელენეს მწვრთნელები სრულად შემოუბრუნდნენ. „მე შენ გიცნობ“ - ნაცნობობა არც მაიას დაუმალავს და არც სტეფანეს. ჩვენ ვიცით, რა აქვს ელენეს ჩასაჭერიო, იქვე თქვეს. სადღაც ისიც დაიწერა, ნაცნობობით აიყვანა მაიამ ელენე თავის გუნდშიო. მოკლედ, „ვოისის“ გარშემო ხმაური არ წყდება.**

„ფეისბუქზე“ ელენესაც უდევს პოსტი: „მეგობრებო, იცით, რომ არ მიყვარს მსგავსი თხოვნებით მომართვა. რაც აქამდე არასდროს მითხოვია, ახლა გთხოვთ - შეხვიდეთ youtube-ზე მოიწონოთ და გააზიაროთ ჩემი გამოსვლა. ვიღაცები თავიანთი დისლაიქებით მებრძვიან და არ მინდა იფიქრონ, რომ მარტო ვარ. მადლობა წინასწარ“.

ერთი ასეთ კომენტარს წერს: „ეს ბოლმა იოანეს თაყვანისმცემელი გოგონებისგან მოდის“. იოანე მართლაც სიმპათიური ბიჭია. როგორც ჩანს, ელენეს გოგონების მოგერიება უხდება. თუმცა ამჯერად უკვე არც იოანეს უწევს გულხელდაკრეფილი ჯდომა. ბრმა ქასთინგის შემდეგ ელენეს მიმართ სოციალურ ქსელებში ბიჭები გააქტიურდნენ. ლამაზი გოგონაა, ეს კარგად იცის. კოზირად ჩემი გარეგნობა არ მქონია, ბრმა ქასთინგზე მხოლოდ ხმა ესმოდათ და ისე შემობრუნდნენო“.

ელენეს შარშან იოანესთან ერთად უნდოდა „ვოისში“ მონაწილეობა. მაგრამ ძლიერი კონკურსანტების შეეშინდა. როცა გაერკვა, რაც ხდებოდა შოუში, თავისი თავის გამოცდაც მოუნდა.

**ელენე საბიაშვილი:** „არ მეგონა, რომ შემომიბრუნდებოდნენ, რადგანაც ბრმა ქასთინგზე ჩემი შესაძლებლობების ხუთი პროცენტიც ვერ წარმოვაჩინე. თავის მართლება არ მიყვარს, მაგრამ ცუდად ვიყავი, თან ვნერვიულობდი. სიმღერის დროს რომ მწვრთნელების შემობრუნებას ელოდები, ნერვიულობ. მერე, რომ შემოგიბრუნდებიან, ირევი, არაფერი გესმის, დიდი ნერვიულობაა. გარდა ამისა, კომპოზიციაში თუ თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ, ვერ მღერი. მე არ ვარ ვოკალისტი, რომ სისტემები ვიმღერო. მე ვმღერი იმას, რითიც ვკაიფობ. პინკის სიმღერა არ იყო „ჩემი“... ეს შემსრულებელი არ მომწონს. რა უნდა მექნა, მოცემული სიიდან ჩემთან ეს იყო შედარებით ახლოს“.





## ელენე საბიაშვილი: „გამოდის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ვარ, რომ ვიღაცებს არ მოვწონვარ და „მმტრობენ“, ჩემ ცხოვრებას განიხილავენ, ეს კიდევ სტიმულია“

## „იოანე ბევრ რამეში დამეხმარა. როცა ის უკრავს და მე ვმღერი, სულ სხვანაირი ვხდები“





**ExCLUsiVe**

**- ძალიან კარგად კი არა, კარგადაც ვერ იმღერაო, დაწერეს. ამ პოსტს ეთანხმები?**

- არ ვბრაზდები ასეთ პოსტებზე. არც ვეთანხმები. ყველაზე კრიტიკულად მე ვაფასებ ჩემს თავს, რადგან მათზე კარგად მე ვიცი, რა შესაძლებლობა მაქვს. შეიძლება ძალიან მაგარი იყო და სცენაზე ცუდად იმღერო და პირიქით. ჩანაწერის ტელევიზიით გასვლამდე ამ ნამღერზე მეც ვნერვიულობდი. თავიდან კარგად შევედი და მერე გავაფუჭე. ავირიე, არ იციან ასეთი პოსტების ავტორებმა იქ დგომა რას ნიშნავს. რინგებზე ნახავთ ყველა მაგარი ბავშვები ვართ. უკვე აზარტულია პროექტი ჩემთვის. ისეთ რამეს გვამღერებენ, რაც მოგვწონს. ველარ წარმოიდგენია, რომ კვირაში შვიდი დღე „იმედში“ არ მივიდე:) თუმცა ფაქტია - ისეთი კონკურსანტები არიან შოუში, რომ ისინი უფრო არიან გამარჯვების ღირსნი, ვიდრე მე. ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

**- დისლაიქებით რატომ შეგიფასეს ვიდეო?**

- არ მოეწონათ და დააფიქსირეს. რაც შეეხება იოანეს გამო დისლაიქებს, ეგ ფოტოებს და ჩემს ნამღერს „ვოისამდეც“ ჰქონდა, მაგრამ არ მოქმედებს. რა ვქნა? ნუ მოვწონვარ. ვისაც მოვწონვარ, იმათთვის ვიმღერებ. გამოდის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ვარ, რომ ვიღაცებს არ მოვწონვარ და „მმტრობენ“, მათვალიერებენ და ჩემს ცხოვრებას განიხილავენ, ყურადღების ცენტრში ვარ, ეს კიდევ სტიმულია.

**- ეჭვიანობ?**

- არ ვარ ეჭვიანი. არც იოანე მაძლევს ამის საბაბს და მეც ამაყი და თავდაჯერებული ვარ. თავში არც გავივლებ, რომ შეიძლება სხვანაირად შეხედოს ვინმეს.

**იოანე ბურდული:** „ელენემ მაჩვენა პოსტები, გაბრაზებული გოგონების არმია:) არ ვიცი, ვინ არიან ეს გოგონები, შეიძლება მართლა ისინი არიან, ვინც ჩემი გულშემატკივარი იყო... ყველას ვეტყვი, რომ დაწყნარდნენ, ყველაფერი კარგად არის. აზრი არ აქვს, აგრესიას ასე ნუ გამოხატავენ“.

**- შენ ეჭვიანობ? მესაკუთრე ხარ?**

- მესაკუთრე ვარ. გოგოების გამოხტომები არ მაღიზიანებს, ბიჭების უტაქტო აქტიურობამ კი შეიძლება ჩემში გაღიზიანება გამოიწვიოს. არც გოიმი ვარ, მაგრამ ეგეთ რამესაც ვერ „გავატარებ“. ვიცი, რომ შეიძლება ელენეს თაყვანისმცემლების ჯარი წამოვიდეს, ამ ჯარს კი ტანკით დავუდგები.

ელენეს მიმართ ისეთივე კრიტიკული ვარ, როგორც ჩემი თავის მიმართ. მინდა ორივე პროფესიონალი დავდგეთ. მე მომეწონა მისი ნამღერი, არ იყო ისე სალანძღავი, თუმცა უკეთ მღერის.

**- ელენე, ახლა იოანემ უნდა იბრძოლოს შენი თაყვანისმცემლების წინააღმდეგ?**

- და თან დიდი არმიის წინააღმდეგ. საერთოდ, ყურადღება ძალიან მსიამოვნებს, ეს გოგოსგან იქნება თუ ბიჭისგან. ეს რომ არ მომწონდეს, შოუში არც გამოვიდოდი და ჩემთვის ვიმღერებდი, მინიმუმ ტუალეტში:) მე რომ მხოლოდ დისლაიქი მენახა და არ მენახა ბევრჯერ მეტი დადებითი კომენტარები, შეიძლება ცუდ განწყობაზე დავმდგარიყავი. ბევრი პოზიტიური კომენტარი წავიკითხე. „იუთუბზე“ დაწერეს, ისე იმღერა, ჯოპლინი საფლავში ტრიალებსო. ვუპასუხე - ფინქი ვიმღერე და ჯოპლინი რატომ უნდა ტრიალებდეს საფლავში-მეთქი? რახან ვთქვი, ჯოპლინი მიყვარს-მეთქი, ალბათ, იმიტომ დაწერეს... მეც ავუხსენი, რას ნიშნავს მღელვარება გადაფარული ნამღერი.

### სიყვარულის ისტორია

**ორი წელი სრულდება, რაც ელენე და იოანე შეყვარებულები არიან. როგორც ამბობენ, კონფლიქტები იშვიათად მოსდით, თუმცა არც უამისობაა. ელენე თვლის, რომ ჩვეულებრივი შეყვარებულები არ არიან. მუსიკა აერთიანებთ.**

„სხვათა შორის, ჩვენ მუსიკამ დაგვაახლოვა. ერთმანეთი ამერიკულ მიუზიკლში -„საშინელებათა პატარა სახლი“ თამაშისას გავიცანით. შეყვარებულებს ვთამაშობდით.



## იოანე არაბული: „გოგოების გამოხტომები არ მაღიზიანებს, ბიჭების უტაქტო აქტიურობამ კი შეიძლება ჩემში გაღიზიანება გამოიწვიოს. არც გოიმი ვარ, მაგრამ ეგეთ რამესაც ვერ „გავატარებ“. ვიცი, რომ შეიძლება ელენეს თაყვანისმცემლების ჯარი წამოვიდეს, ამ ჯარს კი ტანკით დავუდგები“

პრემიერამდე შეგვიყვარდა ერთმანეთი. არ ვჩხუბობთ. ვლაპარაკობთ და დასკვნებს ვაკეთებთ, კონსენსუსამდე მივალთ თუ არა, სხვა თემაა. მუსიკის აღქმა ერთნაირი გვაქვს. იოანე ბევრ რამეში დამეხმარა. როცა ის უკრავს და მე ვმღერი, სულ სხვანაირი ვხდები და სულ სხვანაირად ვმღერი ხოლმე. აი, ეს გვხვდის არაორდინარულებს. ქუჩაში? მე შეიძლება უცებ დაყვირება მომინდეს და ვიყვირო, გავთავისუფლდე. ჯერჯერობით ამაში ვერ ავიყოლიე იოანე, სერიოზულია. მაჩერებს, ირგვლივ ხალხიაო. ისე, რაც ძალიან პირადული გვაქვს, საჯაროზე არ გამოგვაქვს, არც ახლო მეგობრებმა იციან.

9 ნოემბერს იოანე 22 წლის ხდება. ელენე სიურპრიზზე ფიქრობს.

„თქვენი ფურცლებით ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს“.

### პორტრეტული

**ელენე საბიაშვილი:** „არ ვარ ჩაკეტილი და დეპრესიული. ყველგან კარგად ვგრძნობ თავს, სადაც მუსიკაა. ექვსი წლიდან ვუსმენდი ირაკლი ჩარკვიანს. კომპოზიციებიდან გამოვყოფ - „ნაიარევს“ და „სექსს“. საყვარელ მუსიკოსებზე რომ ვსაუბრობდი ინტერვიუში ამომიჭრეს და მხოლოდ ჯენის ჯოპლინი დამიტოვეს. ჩამოთვლილი მქონდა „პინქ ფლოიდი“, „ლედ ზეპელინი“, ჯიმი ჰენდრიქსი. ერთი წელია ახალი მიმდინარეობა აღმოვაჩინე, რომელმაც გამიტაცა. ეს ელექტრონიკის, ფსიქოდელიას, როკის ნაზავია...

ჰობი? ვხატავ შავი კალმით ბლოკნოტში. მაგრამ ხელის ტრავმის გამო დიდხანს ვერ ვხატავ. თითი მომტყდა და არასწორად შემიხორცდა. გიტარაზე დიდ ხანს ვერც ვუკრავ. მუზა მაშინ მოდის, როცა ცუდ ხასიათზე ვარ“.

მსახიობობა უნდოდა და გადაიფიქრა. სამომავლოდ ერთად აპირებენ მუსიკალური მომავლის შექმნას. „შეიძლება დუეტი არ შევქმნათ, მაგრამ რაღაც კომპოზიციებს ერთად შევასრულებთ. მალე ლაუნჯბარ - „ტერასაში“ იოანესთან ერთად ვიმღერებ“.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მეგი გოგიტიძე ორკვირიანი სიყვარულის ისტორიით



**my View**

**თამარ გონგაძე**

**15 ოქტომბერს მომღერალ მეგი გოგიტიძეს ქობულეთში ქორწილი ჰქონდა. ჯვარი მანამდე, 27 ივნისს ჯვარზე დაიწერა. 23 წლის მომღერლის რჩეული 25 წლის დათუნა მერაბიშვილია. მეგის ერთ-ერთი მეჯვარე მსახიობი ჯაბა კილაძეა. როგორც ამბობს, უცებ, გიჟურად მიიღო გათხოვების გადაწყვეტილება. რამდენიმეთვიანი ნაცნობობის შემდეგ სულ რაღაც ორკვირიანი სიყვარულის პერიოდს ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა მოჰყვა. ახლა ამ სიგიჟეზე იცინის. ვინც მეგის მსმენელის დონეზე მაინც იცნობს, იცის, როგორია მისი საშემსრულებლო მანერა. ალბათ, მისნაირი ემოციური და ექსცენტრიკული მომღერლისგან არც არის ასეთი საქციელი გასაკვირი. მისთვის უცხო არ არის სცენაზე ემოციას აყოლა, სიმღერის დროს დაჯდომა, გადაწოლა... აბსოლუტური თავისუფლება. დღეს უკვე გათხოვილია და ახალმა მდგომარეობამ შეცვალა. „მუსიკას ჩავუჯექი, სახლში ვარ. უნივერსიტეტი, სახლი და მუსიკა“. მსახიობობას დაემშვიდობა და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიდა. უკვე შვილს ელოდება. მდგომარეობამ სენტიმენტალური გახადა. „აქამდე მეგონა, ფეხმძიმეები თავიანთ მდგომარეობას იფერებდნენ. მივხვდი, რომ მართლა იცვლები შინაგანად. შემიძლია სისულელეზე ვიტირო, რაც არასდროს მახასიათებდა“.**





**„ის შეყვარებულობის ორი კვირა გიჟური და შოკური გვქონდა. დილის ექვს საათზე გამომივლიდა, გაილვიძე და გარეთ გამოდიო. მეც გავახელდი თუ არა თვალს, გავდიოდი. ხელი აბასთუმანში მთხოვა. დღეს უკვე ბედნიერი წყვილი ვართ“**

**„დათუნა ძლიერი პიროვნებაა. არ მიჭირს მასთან ერთად ახალი ცხოვრება. ბევრი ისეთი ადამიანი ჩამომაშორა, ვინც არ იყო საჭირო, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო. თურმე ბევრი ცუდის მსურველი მყოლია გვერდით“**

### ორ კვირაში

დათუნამ არაჩვეულებრივი მასპინძლობა გამიწია, თუმცა კადრს მიღმა დარჩენა ამჯობინა: მომიტევეთ ჩემი დამოკიდებულებისთვის, მეგი ისაუბრებს ჩემს ნაცვლადაც, მე მერე შემოგიერთდებითო.

„მე და დათუნა ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. გასულ ზაფხულს კი ყველაფერი სხვნაირად აეწყო. ერთად ცხოვრება მალე გადავწყვიტეთ. ხუთი თვე ფლირტის დონის ურთიერთობა გვქონდა. ვგრძნობდი, რომ ეს ის ადამიანი იყო, რომელიც მე აუცილებლად შემიყვარდებოდა, რადგან ჩემი სულის ნაწილი და ჩემიანია. ასეც მოხდა. შეყვარებულები ორი კვირა ვიყავით და ვიქორწინეთ. დღეს უკვე ბედნიერი წყვილი ვართ.

ის შეყვარებულობის ორი კვირა გიჟური და შოკური გვქონდა. ზაფხულის პერიოდი იყო. დილის ექვს საათზე გამომივლიდა, გაილვიძე და გარეთ გამოდიო. მეც გავახელდი თუ არა თვალს, გავდიოდი. გადაბმულად 24 საათი ერთად ვიყავით. ერთხელაც მითხრა, აბასთუმანში წავიდეთო. წავედით. ვიცოდი, რატომაც მივდიოდით ერთად, თუმცა არ დაგვიკონკრეტებია. იქ მთხოვა ხელი... თუმცა მანამდე მაგრად ვიჩხუბეთ. წავედიმეთქი, ვუთხარი. ერთ საათში ხიდზე მეკითხება - ცოლად ხომ გამომყვებიო? კი-მეთქი. დედა და ძმა ორი კვირა არ მელაპარაკებოდნენ. მერე დათუნა რომ გაიცნეს, მიხვდნენ, რომ ეს ის ადამიანია, ვისაც შეიძლება შვილი ანდო. შეგვირიგდნენ თუ არა, ქობულეთში ჩავედით, ჩემებთან. ჩემი ძმა 9 წლით უფროსია, მისი გაზრდილი ვარ. რომ გავთხოვდი, ბელორუსიაში იყო, იქიდან დამირეკა, ხმას არ გაგცემო. პრინციპულია. სანამ არ ჩავეხუტე და არ შევრიგდით, მანამ დაძაბული ვიყავი, ვერ ამოვისუნთქე. დათუნას ბაბუა ცნობილი მხატვარი ხასან ინაიშვილია. მოკლედ, მე და ჩემი დედამთილი ქობულეთელები ვართ“.

### „დათუნა უზომოდ მზრუნველია“

„150-კაციანი ქორწილი ქობულეთში გვქონდა. ტრადიციულიც იყო, მეც ვიმღერე და დიჯეიც გვყავდა. ბოლოს უკვე ავოე იყო. კაბა? არ მიყვარს ბრენდები. დედამთილის დაქალმა შემიკერა“.

**- შენს მეუღლეზე მოგვიყევი...**

- დათუნა ძლიერი პიროვნებაა. არ მიჭირს მასთან ერთად ახალი ცხოვრება, პირიქით, გამიადვილა. ბევრი ისეთი ადამიანი ჩამომაშორა, ვინც არ იყო საჭირო, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო. ხან სად ვმღეროდი, ხან - სად. დიდი სანაცნობო წრე მაქვს. თურმე ბევრი ისეთი ცუდის მსურველი მყოლია გვერდით, რომ დათუნამ მიმახვედრა. კარგად გავახილე თვალი და დავინახე. კარგია, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს. კიდევ შეიცვალა ის, რომ ფეხმძიმედ ვარ. ჯერ სქესი არ ვიცი, ორი თვის ვარ. მგონია, რომ ბიჭია. ექოსკოპიის დროს გულისცემის ხმა რომ გავიგე, მივხვდი, რომ უკვე ცვლილებაა ჩემში. მარტო არ ვარ, ახალი სიცოცხლეა ჩემში. ნამდვილად გული უცემს-მეთქი, ვკითხე ექიმს:) სასწაული შეგრძნებაა. დათუნა უზომოდ მზრუნველია. აღარ მინდა ხაჭო-მეთქი, ვეუბნები. იფერებს და უხდება ეს მზრუნველობა. მიყვარს, ასე რომ ზრუნავს“.



### „გარემო და რიტმი იცვლება, შენ კი მას მიყვები“

„ღმერთის წყალობით თავს მშვიდად და კარგად ვგრძნობ. ყველას სულიერ სიმშვიდეს ვუსურვებ. აქამდე მაინც ფორიაქი იყო, აქეთ, იქეთ... ჩემს მუსიკაშიც შეიცვალა რაღაცები. თითქოს დავსვი. შიგნიდან სულ ვმღერი, მაგრამ ახლა უკვე თავს მეტად ვუსმენ. ადრე არ ვუსმენდი. ეს ასაკობრივიც არის. ამიერიდან ქმარ-შვილისთვის დავწერ სიმღერებს.





**„ექოსკოპიის დროს გულისცემის ხმა რომ გავიგე, მივხვდი, რომ უკვე ცვლილებაა ჩემში. აქამდე მეგონა, ფეხმძიმეები თავიანთ მდგომარეობას იფერებდნენ. მივხვდი, რომ მართლა იცვლები შინაგანად. შემიძლია სისულელეზე ვიტირო“**

**„მე მაინც იმას გავაკეთებ სცენაზე, რაც იმ დროს მომინდება. ეს ემოციაა, რომელსაც ვყვები. თუმცა უკვე იმას არ გავაკეთებ, რაც დათუნას არ მოეწონება“**

**Exclusive**

გეგმები გვაქვს - ორ თვეში მე და დათუნა მოსკოვში წავალთ და იქ ავაწყობთ ცხოვრებას. მოლაპარაკება არის კლუბებთან, კონცერტები იგეგმება, დათუნასაც თავისი საქმე აქვს. ახლა ორი ქართული სიმღერის ჩაწერას ვაპირებ. დათუნამ ჩვენი სახლის მესამე სართულზე პატარა სტუდია მომიწყო. იქ ვრეპეტიციობ. მუსიკას ჩავუჯექი. ის მუსიკა, რასაც ვწერ და ვაკეთებ, ჩემი სულის ნაწილია, ბუნებრივია, დათუნას მოსწონს. თვითონ ხატავს ხოლმე. მის შემხედვარეს მეც მომინდა დამეხატა. ადგა და მაჩუქა მოლბერტი. დავხატე ქალი, კაცი და ბავშვი ხელებით ცისკენ აპყრობილი. მომეწონა ხატვა“.

**- იავნანას არ დაუწერ შვილს?**

- კარგი იდეა მომაწოდე, ბასთან ერთად კარგი იქნება.

**- თავის გადაპარსვა, სიგიჟეები - ეს უკვე შენი წარსულია?**

- ეს პერიოდი იყო... მე მაინც იმას გავაკეთებ სცენაზე, რაც იმ დროს მომინდება. ეს ემოციაა, რომელსაც ვყვები. თუმცა უკვე ვგრძნობ, დათუნას რა მოეწონება და რა - არა. იმას არ გავაკეთებ, რაც არ მოეწონება. არც მეტყვის, რატომ გააკეთეო, ჩემში დარწმუნებულია. დათუნა ჩემი მეორე ნახევარია და სიგიჟემდე მიყვარს. მეც ისე შემცვალა გათხოვებამ, როგორც ზოგადად ცვლის ქალს. უფრო სწორად გარემო იცვლება, მდგომარეობა და რიტმი იცვლება, შენ კი მას მიყვები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რეიტინგული შოუს ენერგიუ



**my View**
**დეა თავზერიძე**









**სხვადასხვა პროფესიის ადამიანები „ნიჭიერმა“ ერთად შეკრიბა და მათ მეტად საპასუხისმგებლო მისია დააკისრა. თითოეული მათგანის შეფასებაზე ბევრის მომავალია დამოკიდებული. გეგა ფალავანდიშვილი, ხატია ბუნიათიშვილი, ია ფარულავა და ნიკა გვარამია დღეს „პრაიმტაიმთან“ ბევრ საინტერესო დეტალზე საუბრობენ. გაზეთის მკითხველი შეიტყობს, თუ როგორია ყველაზე რეიტინგული შოუს მსაჯულთა დამოკიდებულება შოუსა და შოუს მონაწილეების მიმართ. როგორია მათი შინაგანი განწყობა და სამომავლო გეგმები... არადა მათი გამოჩენისთანავე მაყურებელს ბევრი კითხვა გაუჩნდა. ჟიურიში არავინ ელოდა მსოფლიოში აღიარებული პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის გამოჩენას. ყოფილი მინისტრისა და პროკურორის ნიკა გვარამიას ჟიურის წევრობაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა არხის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ეს ამპლუაც ძალიან მოიხდინა.**

**- ბატონო ნიკა, რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს ამ ახალ ამპლუაში?**

- მართალი გითხრათ, არც ისე კომფორტულად. საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა, არ მეგონა. საათების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩაწერები, ამიტომ ნამდვილად დამღლელია. რადიკალურად განსხვავებული, სხვადასხვა მონაცემების ადამიანების ნახვა გიწევს. თან გააჩნია იმ დღეს რა ხასიათზე ხარ. ჩემზე ეს ძალიან მოქმედებს, ამიტომაც ვარ განსხვავებული სხვადასხვა დღეებში. შეფასებებში ზოგჯერ უფრო მკაცრი ვარ, ზოგჯერ ნაკლებად. თუმცა ზოგადად ცხოვრებაში უფრო მკაცრი ვარ, ვიდრე იქ. იქ კეთილგანწყობა გაცილებით მეტი მაქვს. ვაფასებ ამ ადამიანების შრომას და იმას, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდნენ რაღაცას. ზოგი შეიძლება მოგვეწონოს, ზოგი არა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კარგია, როცა ფიქრობ, რომ აჩვენო საზოგადოებას ის, თუ რა შეგიძლია.

**- სიმკაცრეზე გამახსენდა, ადრე ინტერვიუშიც თქვით, რომ მკაცრი ხართ და სამართლიანი, სამართლიანი შეიძლება, მაგრამ სიმკაცრე მართლა ნაკლებად ჩანს...**

- ვეცადე კასტინგის დროს ასე არ ყოფილიყო. მაინც დამწყებები არიან, არ არიან პროფესიონალები, და სხვა ტიპის რაღაცას უნდა გაუსვან ხაზი, ამიტომ, რაღაც თვალსაზრისით კეთილგანწყობილი ვარ, მაგრამ თუ მართლა ნიჭიერი გვხვდება, რაც იშვიათია, მაშინ ძალიან კეთილგანწყობილი ვარ. იყო ნომრები, რომლებიც ძალიან მომეწონა, ნომრების დიდი რაოდენობა არც თუ ისე მომწონს და კიდევ უფრო დიდი რაოდენობა საერთოდ არ მომწონს. მეორე ტურში, როგორც მოგეხსენებათ, არის მსჯელობა იმაზე თუ ვინ გადადის ფინალურ ეტაპზე და იქ გავცხრილავთ იმ ხალხს, რომლებიც მაინცდამაინც არ იმსახურებენ ფინალურ ეტაპზე გადასვლას. გაცილებით უფრო პირდაპირი ვიქნები ლაივ ჩაწერებზე, რადგან იქ მაყურებელსაც უნდა შევუქმნათ სწორი შთაბეჭდილება, გამომდინარე იქიდან, რომ მაყურებელი გადაწყვეტს ვინ გადაიყვანოს ფინალში. რა თქმა უნდა, მოლოდინი მათგან უფრო მეტია, ვინც მესამე ტურში გადადის, შესაბამისად მოთხოვნაც მეტი იქნება.

**- საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენი კი და არა გადამწყვეტია, სხვა ჟიურის წევრებისგან განსხვავებით.**

- უბრალოდ, მიეწყო რამდენიმეჯერ. გეგადან ვიწყებთ ხოლმე ხმის მიცემას და სანამ ჩემამდე მოვა, როგორც წესი, ერთი არა და ორი კი არის ხოლმე. მეც, მაშინ, როცა გადამწყვეტი იყო ჩემი ხმა, უფრო ხშირად ვთქვი არა, ვიდრე კი, როცა ეს ხმა გადამწყვეტი იყო. ეს ძალიან რთულია, რადგან ადამიანის ბედს წყვეტ იმ წუთში, მაგრამ სამართლიანობაც არსებობს და რაღაც პრინციპები. მე ვცდილობ, რომ თანმიმდევრული ვიყო.

**- როგორ ფიქრობთ, ამ პროექტის შემდეგ რა იმიჯი შეგექმნებათ მაყურებლის თვალში და როგორ მოგიწონეს გადაწყვეტილება ახლობლებმა.**

- არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს, ამაზე არც მიფიქრია. ალბათ, უნდა მეფიქრა, ცხადია, მაგრამ რეალურად დავაკმაყოფილე ჩემი კრეატიული გუნდის მოთხოვნები, მათ გადაწყვიტეს, რომ ეს კარგი იქნებოდა. მეც დავემორჩილე, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანია, ეს არხისთვის პროექტია და თუ ისინი თვლიან, რომ არხის რეიტინგისთვის შესაბამისად შემოსავლებისთვის და იმიჯისთვის ეს მნიშვნელოვანია, დავემორჩილე. მგონი არ გამოვიდა ცუდად. ჩემს თავს არ შევაფასებ, მაგრამ წლევანდელი ჟიური ვფიქრობ, რომ ყველაზე საინტერესოა, რაც კი ჰყოლია აქამდე „ნიჭიერს“ და არა მხოლოდ „ნიჭიერს“, მნიშვნელოვანწილად ეს ქალების დამსახურებაა. მგონი არც მე და გეგა ვაფუჭებთ სურათს. არ ვიცი ეს რას გამოიწვევს, თუმცა რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ მოვწონვარ ჟიურის წევრის ამპლუაში, ვიღაცებმა მითხრეს, რომ არ იყო ეს ჩემი საქმე და არ ღირდა და იმიჯისთვის დამაზიანებელია. მე ამაზე ასე ღრმად არ მიფიქრია, მე ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ამ წუთას მაბარია და ამ საქმისთვის მზად ვარ ჟიურის წევრიც ვიყო და სხვა ტექნიკურ რამესაც გავაკეთებდი, რომ შემეძლოს. „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელი ვარ, ამ არხის პირველობა არის ჩემთვის ამოსავალი წერტილი ყველაფერში და შესაბამისად, როცა ამ თვალსაზრისითაც შემეძლო რაღაც წვლილი შემეტანა ამაში, გადავწყვიტე, რომ დავთანხმებოდი და არ მიფიქრია ეს რა ზემოქმედებას მოახდენდა ჩემს იმიჯზე, რომელიც საზოგადოებისთვის გარკვეულწილად ისევ პოლიტიკას და სამართალდამცავ ორგანოებს უკავშირებდა. ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ისევ აღვნიშნავ, რომ შესაბამისად თავისუფალი ვიყავი ჩემს არჩევანში.

**- რას იტყვით ფრაზაზე, რომელიც მთვრალ კონკურსანტს უთხარით, - თქვენ გერშვინის ცნობილი ნაწარმოები გააუპატიურეთ სცენაზე. ახლა ხომ არ ნანობთ ამ ფრაზას, ამ შოუს მაყურებელნი ბავშვებიც არიან?**

- გაუპატიურება, მგონი სალიტერატურო სიტყვაა და ამაში ცუდი არაფერია. არ მინანია ნამდვილად და არ მიმაჩნია, რომ რამე უხამსი ვთქვი. საკმაოდ კორექტულად გამოვთქვი ჩემი დამოკიდებულება. მით უმეტეს სიტყვა გაუპატიურება მხოლოდ ფიზიოლოგიურ აქტს არ გულისხმობს, პატივის აყრას გულისხმობს, რაც შეიძლება თავისუფლად განახორციელო მუსიკალურ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რაც თვალნათლივ ვნახეთ კიდეც. მე მიყვარს აზრის პირდაპირ გამოხატვა, ზოგჯერ შეიძლება ზედმეტად ნატურალისტურადაც, მგონი ყველაზე კარგად გასაგები იქნებოდა, სწორედ ამ ფორმით გამომეხატა.












© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი და ხალისიანი მსაჯულები



**ხატია ბუნიათიშვილი: „პუბლიკის არ მეშინია, არც მკაცრის, არც რეალურის, „ნიჭიერის“ წევრებსაც იგივეს ვურჩევდი, არც პუბლიკის შეეშინდეთ და არც ჟიურის წევრების“...**

**ნიკა გვარამია: „შეფასებებში ზოგჯერ უფრო მკაცრი ვარ, ზოგჯერ ნაკლებად. თუმცა ზოგადად უფრო მკაცრი ვარ ცხოვრებაში... ლაივ ჩაწერებზე გაცილებით პირდაპირი ვიქნები“**





## EXCLUSIVE

**- სამომავლოდ თუ იგეგმება არხზე საინტერესო პროექტები?**

- იგეგმება და ძალიან საინტერესო პროექტები, მე ვფიქრობ, რომ არხის კრეატიული გუნდიც მივიდა იმ კონდიციამდე, როცა კიდევ უფრო საინტერესო რამ უნდა გააკეთოს და ნაბიჯი წინ გადადგას. არის პროექტები, რომლებიც სატელევიზიო პროექტების კუთხით უმაღლეს მწვერვალად ითვლება. ჩვენ ვგეგმავთ, რომ სწორედ ეს პროექტები შემოგთავაზოთ მომავალ წელს. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ „ნიჭიერი“ ისევ აქტუალური იყოს.

**ია ფარულავა: -** ნამდვილად არ მეგონა თუ ასეთი საინტერესო იქნებოდა „ნიჭიერის“ ჟიურიში ყოფნა. ძალიან გამიმართლა, რომ ერთ-ერთ წევრად ამირჩიეს. ბევრგან ვყოფილვარ იგივე ამპლუაში, მაგრამ აქ ბევრად უფრო საინტერესოა. „ნიჭიერში“ ადამიანმა შეიძლება გაშალოს ფრთები, გააკეთოს იმპროვიზაცია. დააფიქსიროს თავისი აზრი, მიმართოს კონკურსანტს, მაყურებელს, რომელიც დარბაზშია და ასევე იმ ადამიანებსაც მისწვდეს, ვინც გადაცემას უყურებს.

**- ამბობენ, ია ფარულავას გამოთქმები სახალისოს და ყურებადს ხდის შოუსო, ამაზე წინასწარ ფიქრობთ თუ მართლა სპონტანურად ხდება?**

- როდესაც „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში ვიჯექი, იმდენად რამდენადაც ცეკვების არაფერი გამეგებოდა, წინასწარ ვმეცადინეობდი, ვიცოდი ვინ რას იცეკვებდა და ამასთან დაკავშირებით ვაგროვებდი ხოლმე ინფორმაციას. რაც შეეხება „ნიჭიერს“ აქ გამორიცხულია ამგვარი რამ, აქ მართლა სპონტანურად მიდის ყველაფერი იმპროვიზაციის, იუმორისა და კაი შოუმენობის ხარჯზე.

**- არასოდეს გიფიქრიათ, საკუთარ თოქ-შოუზე, ან რომელიმე თოქ-შოუს წამყვანი ყოფილიყავით?**

- არ მიფიქრია, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც ჩემს თავზე ვერანაირად ავიღებ. რეიტინგებზე, სტუმრებსა და თემებზე ფიქრი ეს ძალიან სერიოზული სამუშაოა. სიმართლე რომ გითხრათ, ცოტათი მეზარება ამ ყველაფრის კეთება. „ნიჭიერში“ კი ადვილია, მივედი, ვიმაიმუნე, დავიმსახურე მაყურებლის ტაში, გავაცინე ჟიურის წევრები, ხალხი, მაყურებელი, რომელიც ეკრანს უზის, ეს ჩემთვის საკმარისია. საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობის აღება კი მიჭირს, არ მინდა.

**- თავად მონაწილეებზე რას მეტყვით, რამდენად საინტერესონი და ნიჭიერები არიან?**

- ყველა ჟანრში ძალიან მრავალფეროვანნი არიან, და ეს ძალიან საინტერესოს ხდის გადაცემას. თითოეული მათგანი საინტერესო კონკურსანტია. ზოგი, მეტ-ნაკლებად ეპატაჟურია, ესეც შოუს ნაწილია და მომწონს. აღფრთოვანებული ვარ პროდიუსერების მიერ შერჩეული ტიპაჟებით.

**- რომელია გამორჩეული ნომერი, რომელიც დაგამახსოვრდათ და არასოდეს დაგავიწყდებათ?**

- არასოდეს დამავიწყდება ის ძვირადღირებული შოუ „წინ წყარო“ რომ იმღერა გოგომ. ასევე საოცარი იყო ადამიანი, რომელიც უსტვენდა, აკრობატები, რომლებიც დაფრინავდნენ, ძალიან საყვარლები იყვნენ პატარა „ფოკუს-მოკუსნიკები“, რა დამავიწყებს იმ კაცს, რომელიც წიწაკას ჭამდა. „პავლოვიჩი“ თავისი უზრდელობებით, რომელიც გაიყვანეს, რომელი ერთი დაგისახელოთ? ძალიან ბევრია და ძალიან მაგარი ტიპები არიან ყველანი. ტრადიცია გვაქვს, ორშაბათობით ვიკრიბებით ხოლმე და ერთად ვუყურებთ შოუს. სიმართლე გითხრათ ხელახლა ვიხსენებ ყველა კონკურსანტს. როდესაც იქ ვზივარ, ჩართული მაქვს შოუს რეჟიმი არ მამახსოვრდება რა ვთქვი, თუ რაიმე ძალიან ეპატაჟური არ იყო. ამიტომ, როგორც პატარა ბავშვი ისე ვხალისობ ჩემივე კომენტარებზე...

**- თქვენს ეპატაჟურ გამოსვლებთან დაკავშირებით რას მეტყვით?**

- ჩემი ეპატაჟური ნომრები და სცენაზე გავარდნები, რა თქმა უნდა, შოუს ნაწილია, მაგრამ არავინ მაძალებდა ამის გაკეთებას, ყველაფერს ჩემი ინიციატივით ვაკეთებდი, რომ გამეხალისებინა შოუ და მგონი ნორმალურიც გამოვიდა.

**გეგა ფალავანდიშვილი: -** ეს „ნიჭიერი“ გასული სეზონის „ნიჭიერი“-სგან ბევრი რამით განსხვავდება. ერთადერთი, რითიც არ განსხვავდება მაღალრეიტინგულობაა. ისევ საოცარი რეიტინგები აქვს. სხვა კი ყველაფერი ახალია - ბევრად უფრო შოუმეიქერი და ენერგიული ჟიურით, არაჩვეულებრივი ახალი მონაწილეებით, ბევრი საინტერესო წინ გადადგმული ნაბიჯია და უფრო ცოცხალი. ჟიურის ახალი წევრები ძალიან მაგრები არიან. ყოველთვის მიხარია, როდესაც წარმატებული, შემდგარი და პროფესიონალია ჩემს გვერდით.

**- ხატია ბუნიათიშვილზე თუ იფიქრებდით, რომ დაგთანხმდებოდათ და ასე კარგად გაართმევდა თავს ჟიურის წევრობას?**

- კი, რადგან ნაწილობრივ ხატიას ჟიურიში ყოფნა ჩემი იდეაც იყო. არაჩვეულებრივი ადამიანია, პასუხისმგებლობის გრძნობით, ძალიან შრომისმოყვარე. როდესაც ასეთი ხარ, შესაბამისად ნებისმიერ რაღაცას კარგად გაართმევ თავს.

**- რამდენად რთულია ხოლმე შენთვის გადაწყვეტილების მიღება?**

- საერთოდ, ცხოვრებაში ყველანაირი გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაგრამ აქ მაინცდამაინც არ მიძნელდება. არის რამდენიმე კრიტერიუმი რასაც ვაფასებ: კარგი შოუ, ნიჭიერება, კარგი სანახაობა, აქედან რომელიმე თუ არის, კარგია, ყველა ერთად კი გადასარევი. ხოლო თუ არც ერთი არ არის, მაშინ ვამბობ არას და მორჩა.

**- უმეტეს შემთხვევაში სწორედ არას ამბობთ. რომელიმე გადაწყვეტილებაზე შემდეგ ხომ არ დაფიქრებულხართ და გინანიათ თქვენი არა?**

- არას იმიტომ ვამბობ ხშირად, რომ არ არის კარგი. ვინც ცოტათი მაინც საინტერესო იყო ყველას კი ვუთხარი. ერთადერთხელ ვინანე არა, როცა ბოლო ტურში გავიდა „ილუზია“. ძალიან ვინანე, რატომ ვუთხარი არა-მეთქი. იმდენად უნიკალური იყო მთლიანობაში და საოცარი, რომ გული დამწყდა.

**- თავად თქვენ თუ გაქვთ განსაკუთრებული ნიჭი, რომლის წარმოჩენასაც „ნიჭიერში“ შეძლებდით?**

- არა, განსაკუთრებული არაფერი მაქვს. ცოტ-ცოტა მაქვს, მაგრამ ისეთი, რომ ეს რამედ ღირდეს, არა. ბოლომდე არ განმივითარებია. ბევრი რომ მემუშავა, შეიძლება რაღაცაში კარგი ვყოფილიყავი, თუნდაც დაკვრაში ან ხატვაში...

**- სამომავლოდ რა ნომრების ხილვა მოუწევს მაყურებელს?**

- სამომავლოდ საოცარი ნომრები გელოდებათ, ამაში თავადვე დარწმუნდებით. უყურეთ, ყველაფერი წინ არის.

**ხატია ბუნიათიშვილი:** - მართალი გითხრათ, სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს წინადადება, თან დიდი ინტერესით შევხვდი. მიყვარს არასტერეოტიპულ სიტუაციებში მოხვედრა და დათანხმებაც. ასეთი სიტუაციები უფრო მეტად მაგრძნობინებს, რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ცხოვრება. ისე, ცოტა აბსურდულად მეჩვენება, რომ ვინმე რაღაც ნომერს შეასრულებს და პასუხს ჩემგან ელის. რეალურად ადამიანი იმ შედეგს ელის, რაც სურს. უბრალოდ, ეს ამ შემთხვევაში კონკრეტულ 4 ადამიანზეა დამოკიდებული. ამიტომ მე არ აღვიქვამ თავს ჟიურის წევრად, აღვიქვამ ადამიანად, რომელიც რაღაც-რაღაცებთან დაკავშირებით მხოლოდ თავის მოსაზრებას ამბობს. სხვებთან შედარებით, მგონი, მკაცრი არ ვარ. მონაწილეები კი ძალიან განსხვავებულნი არიან. ალბათ, ამით გამოირჩევა ეს პროექტი. ძალიან ჭრელია. ამ მხრივ, უფრო მიმარტივდება შეფასება, ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ, ემოციებზე ვარ დამოკიდებული.

**- თქვენ, თავად, როდესაც მაყურებლის წინაშე წარსდგებით და უკრავთ, თუ ფიქრობთ ხოლმე ამას რა შეფასება მოჰყვება?**

- ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, პროცესი, როცა ადამიანები თვლიან, რომ ვიღაცა უნდა განსაჯონ, დროის დაკარგვაა, ეს აფერხებს იგივე ადამიანის მსვლელობას ცხოვრებაში. ჩვენც, „ნიჭიერის“ ჟიურის წევრები, ვამბობთ აზრს, ვაჩერებთ მომენტს, ვაანალიზებთ იმას, რაც მოხდა. ამ დროს თვითონ „ნიჭიერის“ კონკურსანტები მთლიანად იმ მომენტით ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ბევრად საინტერესოა თვითონ პროცესი, ვიდრე გაანალიზება. აქედან გამომდინარე, პუბლიკის არ მეშინია, არც მკაცრის, არც რეალურის, „ნიჭიერის“ წევრებსაც იგივეს ვურჩევდი, არც პუბლიკის შეეშინდეთ და არც ჟიურის წევრების...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოთოსა და იულიას შოუში დაბრუნე

**my View**
**თამარ გონგაძე**

ამ წყვილის შოუდან წასვლა ყველასთვის მოულოდნელი იყო. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ძლიერი კონკურსანტის შემთხვევაში ხდება ხოლმე. მაყურებელი ადუნებს ყურადღებას, ისედაც ფავორიტები არიან, არ გავარდებიანო და ზუსტად ამ დროს ვიღებთ არასასურველ სიურპრიზს. ნიკო ბერიძეც ანალოგიურად გავარდა „ჯეოსტარიდან“. მახსოვს, შოკი იყო. გასულ ორშაბათს შოუში ოთოს და იულიას დაბრუნებაზე წავიდა საუბარი. გვაჩვენეს „ფეისბუქის“ გვერდი, რომელსაც 14 ათასი მომხმარებელი ალაიქებდა. გულდაწყვეტილ კომენტარებს აკეთებდნენ ჟიურის წევრები. მოკლედ, ოთოსა და იულიას დაბრუნება ბევრს სურს. თუმცა ეჭვი გაჩნდა, რომ ეს შეგროვილი ლაიქები ნაყიდია. ამაზე ოდნავ ქვემოთ, რესპონდენტი ლაპარაკობს. ამასობაში კი ერთმა კულუარულმა ინფორმაციამ გაჟონა. თითქოს წყვილის დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტები თანახმანი არიან. ამბობენ, ოთოსა და იულიას დაბრუნებაზე სამი კონკურსანტის გარდა ყველა წინააღმდეგი წავიდაო. მაყურებლის სურვილის მიუხედავად ოთო და იულია შოუს ვერ უბრუნდებიან, თამაშის წესები არ ირღვევა.

კონკურსანტები ოთოსა და იულიას დაბრუნებაზე





**ოთო ფოლადაშვილი:** **„შოკში ვარ! მაბოდებს. ყველაზე მაგარი დაბადების დღე მაქვს! ასეთი საჩუქარი ჯერ არ მიმიღია. ყველაზე ბედნიერი ვარ!“**





## იულიამ ოთოს შარპეის ლეკვი აჩუქა

**იულია: „დედა მამშვიდებდა, სულ ვტიროდი. მერე უკვე მივხვდი, რომ ეს იმ ადამიანების საქმეა, ვისაც პირადი ცხოვრება არ აქვს. ლაპარაკობენ და ილაპარაკონ“**

**ნინა წკრიალაშვილი:** - მე ოთოს და იულიას დაბრუნებაზე თანახმა ვიყავი, რატომაც არა. თუმცა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ არ დაბრუნებულიყვნენ. ყველას თავიანთი არგუმენტი ჰქონდა. კონკურსია და შეიძლება მათაც დაეთანხმო, ვერც შეეწინააღმდეგები რატომ არ უნდოდათ მათი დაბრუნება. მე ვფიქრობ, იულია უხდებოდა პროექტს და კარგი იქნებოდა რომ დაბრუნებულიყო. თავდაჯერებულია, არავულგარულად ცეკვავს, სექსუალურია, ლამაზია, მოწესრიგებული. მაგარი გოგოა, ღირსეული და თავშეკავებული. არ ჭორაობს. თუ გასავარდნი იყო, მაინც გავარდებოდა. არ ვიცი, შეიძლება მე ვუყურებ ადვილად ამ კონკურსს.

***ნანა ნებიერიძე:*** - არაერთხელ ვთქვი, მათი დაბრუნება არასწორი იქნება, ეს კონკურსია. ერთი აგებს, მეორე იგებს. ეს რეალური სპორტია, რეალური ცხოვრებაა. მესმის, რომ კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ეს კონკ-



ურსია. ყველა თუ უკან დაბრუნდა, „სანტა ბარბარა“ გამოვა და კონკურსი არასდროს დამთავრდება. მე რომ იულიას ადგილას ვყოფილიყავი, ვინ დამაბრუნებდა? ატეხეს მთელი ამბავი. მითხრეს, რომ 5 ათასი ლაიქი 100 დოლარი ღირს. ლაიქების დადება პრობლემა არ არის. ამას ყველა გეტყვით, „ფეისბუქში“ ვინც კარგად ჩახედულია. პრობლემა ესემესებშია.



**თაკო ჩორგოლაშვილი:** - ყველამ ერთხმად ვთქვით - ეს არის პროექტი, რომელსაც ადრე თუ გვიან ყველა ტოვებს. შესაბამისად, არ არის მათი დაბრუნება სწორი. თუმცა ვთვლი, რომ არ უნდა გავარდნილიყვნენ, მე მათ ფინალში მოვიაზრებდი. სწორი იქნებოდა, რომ ჟიურის იქვე ვეტო გამოეყენებინა. მე რომ გავვარდნილიყავი, დაბრუნებაზე არ ვიფიქრებდი. ეს კონკურსია, თავისი წესები აქვს და მას ყველა უნდა დავემორჩილოთ.





### სტრესი და იმედი

„ჩემი დაქალები მირეკავდნენ: შოკში ვართ, უნდა ჩამოვიდეთ და საქმე გავარჩიოთო“ - იცინის იულია. ძალიან უნდა პროექტში დაბრუნება. ამის იმედი აქვს. გვპირდება, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პარკეტზე აუცილებლად იცეკვებს. ოთოსა და იულიას წყვილის ცეკვა მაყურებელს იმდენად ჰარმონიულად ეჩვენებოდა და მოსწონდა, რომ ეჭვიც გაუჩნდა - ამათ შორის რომანი ხომ არ არისო? ჭორს წყვილი ღიმილით შეხვდა, სიამოვნებით „უარყო“ და დაგვამშვიდა. ან კარგი მსახიობი და სუპერ პროფესიონალი უნდა იყო წყვილში ასე რომ იცეკვო, ან გრძნობის არსებობა დაიჯერო. ეს თავად გადაწყვიტეთ. 1 ნოემბერს ოთოს დაბადების დღე ჰქონდა. 20 წლის გახდა. ინტერვიუზე მისულს ხელში შარპეის შვიდი კვირის ლეკვით დამხვდა - იულიამ მაჩუქაო.

**იულია ქავთარაძე:** - ძალიან უნდოდა შარპეი ჰყოლოდა. ორი თვეა მხოლოდ ამ ძაღლზე ოცნებობს და სიურპრიზი მოვუწყვე.

**ოთო ფოლადაშვილი:** - მიყვარხარ!

**იულია:** - თბილისში მხოლოდ ერთი ლეკვი იყო და ისიც მე ვიყიდე. ძალიან ყოჩაღიაო გვითხრეს და „ზევსი“ დავარქვით.

**ოთო:** - შოკში ვარ! მაბოდებს, ყველაზე მეტად ძაღლებიდან ეს ჯიში მიყვარს. შემიძლია ახლა შევჭამო. გაკვეთილს ვასრულებდი რომ მომიყვანა. ყველაზე მაგარი დაბადების დღე მაქვს! ასეთი საჩუქარი ჯერ არ მიმიღია. ყველაზე ბედნიერი ვარ.

**იულია:** - ვის არ უყვარს ადამიანების ასე გაბედნიერება. ფილმი „მიმინო“ ხომ გახსოვთ?

**- ახლა მითხარით პროექტს მიღმა დარჩენილები ისევ სტრესში ხართ?**

**იულია:** - ძალიან დიდი სტრესი გვაქვს. არ ველოდით, არც შემიძლია იმის გადმოცემა, რა გადავიტანე. არ მინდოდა იმ წუთებში ოთოს სახისთვის შემეხედა, ბოლო მომენტამდე არც შევბრუნდი. კარგად ვცეკვავდით, მაგრამ ესემესების გამოუგზავნელობამ...

**- რატომ მოხდა ასე?**

- ბევრმა თქვა, რომ დარწმუნებულები იყვნენ ფინალამდე მივიდოდით. ფინალთან ახლოს უკვე მხარს დაგიჭერდით, მანამდე სუსტებს ვუგზავნიდით ესემესებსო.

**ოთო:** - შოკში ვიყავით, არ მოველოდით. ვერ ვხვდებოდი, რომ მე და იულია შოუში აღარ ვიცეკვებდით. გვინდოდა ხალხისთვის ბევრჯერ შეგვეთავაზებინა ლამაზი და სანახაობრივი ცეკვები. რატომღაც არ გვაცალეს. პროექტს ტოვებენო რომ გამოგვაცხადეს - გული დამწყდა, რაღაცამ ჩამიტანა. წინა სეზონის გამარჯვებული ვიყავი, აქ ფავორიტ კონკურსანტებს შორის მოვიაზრებოდით. ჩვენ ცეკვებზე მთელი საქართველო ლაპარაკობდა. პიკისკენ რომ მიდიხარ და უცებ პროექტში არ ხარ, ძნელია. იფიქრეს, რომ ისინი ძალიან მაგრები არიან, ისედაც გადავლენო, მაგრამ ვეღარ გადავედით. თითოეული ესემესი ნებისმიერ დროს გადამწყვეტია.

**იულია**: – სოციალურ ქსელებში იმასაც წერდნენ, რომ არხის და პროდიუსერის ბრალიაო. ეს ესემესების არ გამოგზავნის ბრალი იყო. ასე მოხდა. ძალიან სასიამოვნო იყო ჩვენ დაბრუნებაზე 14 ათასი ლაიქი. ეს თითქოს გვიმსუბუქებს ამ სტრესს. ვხედავთ, რამდენ ადამიანს ვუყვარვართ, გვერდში გვიდგას, მოვწონვართ. უდიდესი მადლობა ყველას. მათთან შეხვედრის მოწყობა გვინდა. დიდი შრომა გაწიეს, თვალს გვადევნებდნენ, ინტერნეტით ყველა კომენტარს პასუხობდნენ.

**- გავიგე, რომ თითქოს კონკურსანტები წავიდნენ თქვენი დაბრუნების წინააღმდეგ?**

**იულია:** - ეს ინფორმაცია ჩვენამდეც მოვიდა. არ შემიძლია ვთქვა, რომ რომელიმე კონკურსანტი ჩვენ წინააღმდეგ წავიდა. ჩვენ ყველასთან ვმეგობრობთ. ნანა ნებიერიძესთან საუბარი მახსენდება. ვუთხარი, ნანა, ისე მეშინია ეს მეგობრული ურთიერთობა ფინალისკენ ინტრიგებში გადავა-მეთქი. მეც ამის მეშინია და არ მინდა, რომ ასე მოხდესო, მიპასუხა. ჩვენ შორის ეს არ მოხდებაო, კარგი შემადგენლობა შევიკრიბეთო.

**- ეს ხომ მაინც კონკურსია?!**

- კონკურსია, მაგრამ ომში მტრები ხომ არ ვართ? მოგება ყველას გვინდა, მაგრამ ადამიანები ვართ.

**ოთო:** - მე არ მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ თითქოს კონკურსანტები გადაგვიდგნენ წინ და ჩვენ დაბრუნებაზე უარი თქვეს. ჩვენს წინააღმდეგ ამას ვერ იზამდნენ, ყველასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მტრობა არავისთან გვქონია. თუ შოუსთვის მოიქცნენ ასე, არ ვიცით. ვერ დავიჯერებთ. თუ ეგ სიმართლეა, მეწყინება. მაგრამ არა მგონია, რომ სიმართლე იყოს. წარმოუდგენელია, რომ ვიღაც გახარებულია ჩვენი გავარდნით. ჯერ ამ შოუში არ ყოფილა, რომ ვიღაც გადამტერებული ყოფილიყო და ჭიკარტი დაედო სხვისთვის.

**იულია: -** მე მაინც იმედი მაქვს, რომ რამეს მოიფიქრებენ და შოუში დაგვაბრუნებენ. ჩვენ ეს ძალიან ძლიერ გვინდა. ერთ დღეს მეგონა, რომ ყველაფერი და-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბას კონკურსანტები აპროტესტებენ



**ოთო ფოლადაშვილი: „წარმოუდგენელია, რომ ვიღაც გახარებულია ჩვენი გავარდნით. თუ შოუსთვის მოიქცნენ ასე, არ ვიცით. ვერ დავიჯერებთ. თუ ეს სიმართლეა, მეწყინება“**

**იულია ქავთარაძე: „სოციალურ ქსელებში იმასაც წერდნენ, რომ არჩის და პროდიუსერის ბრალიაო. ნანა ნეზიერიძესთან საუბარი მახსენდება. ვუთხარი, ნანა, ისე მეშინია, ეს მეგობრული ურთიერთობა ფინალისკენ ინტრიგებში გადავა-მეთქი. მეც ამის მეშინია, ჩვენ შორის ეს არ მოხდებაო“**

**EXCLUSIVE**



სრულდა. მეორე დღეს ვიფიქრე, როგორ დასრულდა, ასე უცებ და მარტივად არ დასრულდება-მეთქი. დაბრუნების იმედი მაქვს. ქართულ ტურს ცრემლიანი თვალებით ვუყურებდი. ჩემეულად ვიცეკვებდი. დიდი ხანია მინდა ქართული ცეკვის სწავლა. ნინო სუხიშვილი „ხორუმის“ ცეკვას გვთავაზობდა. სევდიანი ვიჯექი, არ შემეძლო ყურება და არც მონაწილეობა.

**ოთო:** - იმედი არც მე მაქვს გადაწურული. მინდა დაბრუნება. ისევ იმ თაყვანისმცემლების გამო. არ ვიცი, როგორ, რა შანსით, მაგრამ გვინდა ხალხს ისევ ვასიამოვნოთ. ასეთი აჟიოტაჟი არც ერთ გავარდნილ წყვილს არც ერთ სეზონზე არ მოჰყოლია. მესამე ტურზე გავვარდით, ყველა ატირებული იყო. იცით რამხელა სიყვარულს ვგრძნობთ? ქუჩაში, მაღაზიაში, „ფეისბუქზე“... ყველგან. ეს ძალიან გვახარებს. პირველი ტურია ქართული, რომ ვერ ვიცეკვე. არადა, დიდი მოლოდინი მქონდა.

**იულია:** - სამაგიეროდ ნერვიულობის მერე დასამშვიდებელი პრიზი გაგვიკეთეს, იორდანიაში მივდივართ. თვენახევრიანი ვარჯიშის მერე ზღვაზე დასვენებას ვნატრობდი და ამიხდა.

**- მარტოები მიდიხართ?**

**იულია:** - ტელევიზიიდან გადამღები ჯგუფი მოდის. ბევრი საინტერესო ადგილებია და ყველაფერს გადავიღებთ. აქტიური დასვენება მიყვარს. ოთოც აქტიური ტემპერამენტით გამოირჩევა. ამდენად, კარგად დავისვენებთ. უდაბნოებს, მკვდარ ზღვას, წითელ ზღვას მოვინახულებთ... დაივინგი დავგეგმეთ. დაივინგისთვის წითელი ზღვა ყველაზე მდიდარი ადგილია. წინ ბევრი საინტერესო რამ გველოდება. ამას ჯერ არ ვიტყვით. სიურპრიზები იქნება.

## „ჰარმონიული წყვილი ვართ“

**- როგორი პარტნიორია ოთო?**

**იულია:** - ძალიან განათლებული, პროფესიონალი, ჩემ ასატანად ნებისყოფა როგორ ყოფნიდა, არ ვიცი. რომ ვაკვირდები, ისეთი დონის პროფესიონალია, რომ ვერ ვხდები, როგორ შეიძლება იყო ასეთი. კარგი აღზრდილია, ეს მისი მშობლების დამსახურებაა. კეთილია. ვმეგობრობთ, საერთო ენა გამოვნახეთ. აქ ძმაც მყავს, მეგობრებიც, მაგრამ ადამიანთან, ვისთან ერთადაც 24 საათს ატარებ, მნიშვნელოვანია შეეწყო. ურთიერთგაგების გარეშე ეს წარმოუდგენელი იქნებოდა. შემოქმედებით პროცესში ნორმალურია კამათი, ჩხუბი, უამისობაც არ ყოფილა. მოკლედ, კმაყოფილი ვარ ის რომ ჩემი პარტნიორია.

**ოთო:** - იულია ძალიან საყვარელი და ნიჭიერია. უნაკლო ადამიანია. საოცრად მეგობრულია. იცოდა, რომ შარპეი მიყვარდა და მაჩუქა. არ არსებობს ადამიანი, ვისაც იულია არ მოსწონდეს. გამიმართლა, რომ ჩემი პარტნიორი იყო.

**- „იჩალიჩე?“**

- შეიძლება მე „ვიჩალიჩე“, შეიძლება მან, შეიძლება - ორივემ. დაგვაწყვილეს და ასე მოხდა. მიხარია, რომ გავიცანი.

**- მეგობრები არ გეუბნებოდნენ, გაგვაცანი იულია, როგორი გოგოა?**

- ყველა მაგას მეკითხებოდა. გავაცანი ჩემი სამეგობრო წრე. თბილი, ჭკვიანი და უსაყვარლესი ადამიანია. ჩვენი მეგობრობა გრძელდება.

**- თქვენი ურთიერთობა მეგობრობას არ სცდება?**

**ოთო: -** ჯერჯერობით - არა.

**- ჯერჯერობით?**

- ვხუმრობ.

**იულია:** - ანეკდოტი იცით? გოგონა ამბობს: „იცით, რომ ორსულად ვარ და ვთხოვდები? მართლა? ჰო, მეზობლებმა თქვეს და რომ არ დავუჯეროთ, შეიძლება?!“ დაე, ილაპარაკონ, არა?

ოთო: - დაე, იჭორაონ.

**იულია:** - კარგია თუ ჩვენს წყვილზე ასე ლაპარაკობენ. ესე იგი ჩვენ ჰარმონიული წყვილი ვართ.

**- დავიჯერო, ასეთ მოცეკვავე წყვილს ფლირტიც არ გაქვთ?**

**იულია:** - აქამდე ვფიქრობდი, ასეთი მგრძნობიარე ცეკვების დროს როგორ შეუძლიათ თავის შეკავება-მეთქი. ამიხსნეს, რომ მათთვის ეს მხოლოდ საქმე და პროფესიააო. მე კიდევ მიჩვეული ვარ ჭორებს, არ ვაქცევ ყურადღებას. ერთი საშინელი წელი მქონდა. ყველა გაგონილ და წაკითხულ ჭორს ძალიან განვიცდიდი. დედა მამშვიდებდა, სულ ვტიროდი. მერე უკვე მივხვდი, რომ ეს იმ ადამიანების საქმეა, ვისაც პირადი ცხოვრება არ აქვს. როცა პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება, საშინელებაა. ძალიან მოსაწყენია. ლაპარაკობენ და ილაპარაკონ.

**- ოთო, შენ რას იტყვი შენსა და იულიას რომანზე გაჩენილ ეჭვზე?**

- ჩვეულებრივად მივიღე, ილაპაკონ. უცხო არ იყო. წყვილებზე ხშირად უჩნდებათ ეს ეჭვი. არ ვაქცევ ყურადღებას, არც კომენტარს ვაკეთებ. ილაპარაკონ, არა იულია?

**იულია:** - აბა რა!

**ოთო:** - ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კარგი მეგობრები ვართ.

**- იულია, რა ეტაპია შენს ცხოვრებაში „ცეკვავენ ვარსკვლავები“?**

- დაწყება ვერ მოვასწარი, რომ ეს ეტაპი უკვე დასრულდა. ბევრი მკვეთრად პოზიტიური ემოცია მომიტანა. პირველ რიგში საქართველოში ვარ, სულ მინდა აქ ყოფნა. ბევრი ახალი მეგობარი მყავს. ცეკვა ვისწავლე, რაც აქამდე ჩინურის გრამატიკასავით იყო. სცენა, კოსტიუმები, შემოქმედებითი პროცესი მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ზურგი და კიდურები მტკიოდა, ბევრი დადებითი ემოცია მივიღე. დილაობით წუწუნის მერე – „როდის მოვახერხებ გამოძინებას-მეთქი“, გავრბოდი რეპეტიციაზე, სადაც სიახლე მელოდა. ახლა ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს არდადეგები მაქვს. გპირდებით, რომ ამ პარკეტზე აუცილებლად გამოვალთ, არ ვიცი როგორ, სტუმრის ამპლუაში თუ ისე, მაგრამ გამოვალთ.



**ნანა ნეზიერიძე: „ყველა თუ უკან დაბრუნდა, „სანტა ბარბარა“ გამოვა და კონკურსი არასდროს დამთავრდება. მითხრეს, რომ 5 ათასი ლაიქი 100 დოლარი ღირს“**

**თაკო ჩორგოლაშვილი: „სწორი იქნებოდა, რომ ჟიურის იქვე ვეტო გამოეყენებინა. მე რომ გავვარდნილიყავი, დაბრუნებაზე არ ვიფიქრებდი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

N44 (242), ორშაბათი 4 ნოემბერი 2013 წ.

# PRIME Time

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.



**ნანა ნეზიერიძე:** „ყველა თუ უკან დაბრუნდა, „სანტა-ბარბარა“ გამოვა და კონკურსი არასდროს დამთავრდება. მითხრეს, რომ 5 ათასი ლაიქი 100 დოლარი ღირს“

## EXCLUSIVE

## ოთოსა და იულიას შოუში დაბრუნებას კონკურსანტები აპროტესტებენ



## EXCLUSIVE

## რეიტინგული შოუს ენერგიული და ნიჭიერი ხალისიანი მსაჯულები

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება